რევოლუცია დამთავრდა, წინ ახალი რევოლუციაა A2

დასწყისი - კიდევ ერთი A3

ფოტორეპორტაჟი B6



# 24 საათი

www.24hours.ge

ყოველდღიური

სამშაბათი, 25 ნოემბერი, 2003 წელი. №306 (518)

ფასი 50 თეთრი


© გაზეთი 24 საათი

## პოლიტიკა

### ნინო ბურჯანაძე უცხოელ დიპლომატებს რიგგარეშე არჩევნების ჩატარების საქმეში დახმარებას სთხოვს

ნინო ბურჯანაძე უცხოელებს დახმარებას სთხოვს საარჩევნო სიების მომზადებისა და საიდენტიფიკაციო ბარათების დამზადების საქმეში.

A3

## ეკონომიკა

### საბანკო და სავალუტო კრიზისი არ იქნება

პოლიტიკური რისკის დონე ყოველთვის პირდაპირპროპორციულია ფინანსური რისკებისა. ასეა ნებისმიერ ქვეყანაში. უკანასკნელი დღეების მოვლენების ფონზე აშკარად ჩნდება შეკითხვები - რა ფინანსური რისკების წინაშე იდგა საქართველო უკანასკნელი დღეების განმავლობაში და რა ხდება დღეს?

A4

## უცხოეთი

### ხანძარი საერთო საცხოვრებელში

გუშინ გამთენიისას მოსკოვის პატრის ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ძლიერი ხანძარი გაჩნდა, რამაც 32 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო 140-ზე მეტმა სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო.

A5

## საზოგადოება

### „კმარა გამარჯვებით ტკბობა!„

*დაუმორჩილებლობის კომიტეტი, რომელიც აქტიურად ამზადებდა საზოგადოებას "ვარდების რევოლუციისთვის", დროებითი ხელისუფლებისადმი მიმართვას ამზადებს. მიმართვის ტექსტის განხილვა გუშინ ეროვნულ ბიბლიოთეკაში შედგა. კომიტეტის წევრები მიიჩნევენ, რომ 2003 წლის ისტორიული გიორგობით საქმის კეთება ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ დაიწყო.*

A6

## სამართალი

### პოლიცია კვლავაც ხელისუფლებას - ამჯერად, ახალს ემორჩილება

*საქართველოს პოლიციას ხელისუფლების ცვლილება არ დასტყობია, ყოველ შემთხვევაში ასე ირწმუნებიან საქართველოს სხვადასხვა მხარეების პოლიციის სამმართველოების უფროსები.*

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | |
| ქუთაისი | 20 | |
| ბათუმი | 20 | |
| სოხუმი | 20 | |
| ფოთი | 21 | |
| თელავი | 16 | |
| ზუგდიდი | 21 | |
| გორი | 13 | |
| ახმეტა | 16 | |
| ჭიათურა | 17 | |
| გაგრა | 19 | |
| სამტრედია | 20 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2100 |
| ევრო | 2.6217 |
| გირვანქა სტერლ. | 3.7590 |
| რუბლი | 0.0743 |

# სტაბილურობის შენარჩუნების წინაპირობები სახეზეა

## უშიშროების საბჭოს პირველი სხდომა

*გუშინ საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე თავის პირველ შეხვედრებს მართავდა ახალ რანგში. თავისთავად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლდათ უშიშროების საბჭოს გუშინდელი სხდომა, რომელიც ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით შეიკრიბა და რომელსაც უშიშროების საბჭოს თითქმის სრული შემადგენლობა დაესწრო.*

თამარ ხორბალაძე

შეხვედრას ესწრებოდნენ: თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ავთანდილ იოსელიანი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რუბენ ასანიძე, დედაქალაქის მერი ვანო ზოდელავა, საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, პრეზიდენტთან არსებული რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსი ირაკლი ბოჭორიძე, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე, უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ჯემალ გახოკიძე, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის უფროსი სულხან პაპაშვილი, საბაჟო და საგადასახადო სამსახურების შეფები და თედო ჯაფარიძე. სხდომაზე არ გახლდათ კობა ნარჩემაშვილი. ასევე - მირიან გოგიაშვილი და კახა უგულავა. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი - ფინანსთა მინისტრი და ანტიკორუფციული საბჭოს ხელმძღვანელი, "ორგანიზაციული ხარვეზების" გამო, სხდომაზე მიწვეულნი არ გახლდნენ. იმასაც ამბობენ, რომ "ორგანიზაციულ" საქმეს ჯემალ გახოკიძე აგვარებდა.

თედო ჯაფარიძე, რომელიც პრეზიდენტ შევარდნაძის განკარგულებით, ორი დღის წინათ უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობიდან გადააყენეს, დღეს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომას ძველი თანამდებობის სტატუსით დაესწრო.

გაგრძელება A2 გვერდზე

# უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მიმართვა

ქრისტესმიერ საყვარელო ჩვენო სულიერო შვილებო, საქართველოში არსებული რთული ვითარება ღვთის შეწევნით, წმიდა გიორგის ხსენების დღეს, მშვიდობიანად დასრულდა.

პრეზიდენტმა გადადგა ბრძნული ნაბიჯი. მისი გადადგომით განიმუხტა ის მძიმე პოლიტიკური და საზოგადოებრივი კრიზისი, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი. საქართველო გადაურჩა სისხლისღვრას...

ეს არის დაპირისპირებულ მხარეთა სახელმწიფოებრივი და კეთილგონივრული აზროვნებისა და მოქმედების დიდი შედეგი.

მოვუწოდებ სრულიად საქართველოს მოსახლეობას, მივიდნენ ტაძრებში, აღავლინონ სამადლობელი ლოცვები უფლისადმი და კვლავაც შესთხოვონ ღმერთს სამშობლოს მშვიდობა და კეთილდღეობა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საზოგადოების აქტიური მხარდაჭერით, ხელისუფლებისა და პოლიტიკურ ძალთა ძალისხმევით, საქართველოში დღეს შექმნილი სიტუაცია ჩვეულ რიტმს დროულად დაუბრუნდება და ქვეყნის ერთიანობასაც საფრთხე არ შეექმნება.

აუცილებელია, რომ მშვიდობიანი ურთიერთობები ჩამოყალიბდეს პოლიტიკურად განსხვავებულ პარტიებს შორის და ადგილი არ ჰქონდეს ამ ნიშნით მოქალაქეთა ფიზიკურ დაპირისპირებასა და შურისძიებას.



*საპატრიარქოს დერეფანში, მიმართვის გაკეთებამდე.*

მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე მცირე დროა დარჩენილი. ხალხი აუცილებლად უნდა განიმუხტოს დაძაბულობისაგან, რომ საქართველო კვლავაც სერიოზული საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდეს. ეს ალბათ ყველასა აქვს გაცნობიერებული.

მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებიდან და ქვეყანაზე ზრუნვიდან გამომდინარე, ყველა პოლიტიკურმა ლიდერმა თავის მომხრეებს და საერთოდ მოსახლეობას უნდა მოუწოდოს შერიგებისა და მშვიდობისაკენ.

პოლიტიკურ ლიდერებს შორის უნდობლობისა და დაპირისპირების მოსახსნელად კი ჩვენ მზად ვართ, უახლოეს დღეებში მოვიწვიოთ ისინი საპატრიარქოში, რათა პირველ რიგში თვითონ მიაღწიონ შერიგებას და ურთიერთთანხმობით მოამზადონ ქვეყანა ახალი არჩევნებისთვის. შევთხოვთ უფალს, მოგვმადლოს მეტი რწმენა, გული გონიერი, სიბრძნე და ურთიერთშენდობის უნარი.

"აცხოვნე უფალო ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი". ამინ.

# თავისუფლების პირველი დღე

B2



*დიდი სახალხო კონცერტი იქ, სადაც საქართველოს უახლესი ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა.*

# ჩემი პრეზიდენტობა? - ეს ქუჩაში ხალხს ჰკითხეთ

## ამბობს მიხეილ სააკაშვილი

*"რა ურთიერთობა გექნებათ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან, ედუარდ შევარდნაძესთან?"*

*"იცით, მე სამი თვეა, ჩემი ბაბუა არ მინახავს, ამიტომ არ ვიცი, მექნება თუ არა ურთიერთობა შევარდნაძესთან..." - ვარდების რევოლუციის დასრულების შემდეგ, თავის პირველ პრესკონფერენციას მართავს მიხეილ სააკაშვილი. მთავარი რევოლუციონერი ოფიციალურად აცხადებს, რომ დაუმორჩილებლობის კამპანია დასრულებულია და ყველა ვალდებულია, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძეს დაემორჩილოს.*

სოფო ბუკია

სააკაშვილის თქმით, "ნაციონალების" მიერ დაკავებული ყველა სახელმწიფო დაწესებულების, მათ შორის სახელმწიფო კანცელარიის და პარლამენტის კონტროლი სრულად გადაეცა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძეს. **"იყო ინციდენტები, როდესაც ვიღაც ცალკეული პიროვნებები "ნაციონალური მოძრაობის" დროშით ხელში მიდიოდნენ ცალკეულ ადგილებზე და სახელისუფლებო დაწესებულებების პარალიზებას და იქ შესვლას ცდილობდნენ. მინდა განვაცხადო ყველას გასაგონად, რომ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კამპანია დასრულებულია, ჩვენ არ ვიღებთ ჩვენს თავზე სახელისუფლებო უფლებამოსილებებს ახალ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებამდე. ამიტომ, ყველა ძველი ხელმძღვანელი, ყველა პროფესიონალი უნდა დარჩეს თავის ადგილას, ცალკეული გამონაკლისების გარდა.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# კანონიერი პარლამენტი მუშაობას გააგრძელებს

თამარ მჭედლიშვილი

დღეს, საღამოს ოთხ საათზე 1999 წლის მოწვევის პარლამენტი უნდა შეიკრიბოს. ბუნებრივია, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია – ქვეყანაში არ უნდა არსებობდეს სამართლებრივი, საკანონმდებლო ვაკუუმი და ახალი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნამდე, ქვეყნის პარლამენტმა ფუნქციონირება უნდა განაგრძოს. მართალია, ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლთა ნაწილი ცალსახად აცხადებს, რომ ლეგიტიმური მხოლოდ ორ ნოემბერს არჩეული პარლამენტია, ეს ცარიელი სიტყვებია – მათ ვერ მოასწრეს, ეცნოთ საკუთარი უფლებამოსილება. შესაბამისად, 1999 წლის მოწვევის პარლამენტი, ჯერჯერობით, საკუთარ უფლებამოსილებას ინარჩუნებს. თანაც, დღეს უზენაესმა სასამართლომ, წესით, უნდა დააკმაყოფილოს "სამართლიანი არჩევნების" მიერ შეტანილი სარჩელი და ბათილად ცნოს ორ ნოემბერს გამართული პროპორციული არჩევნების შედეგები. მით უფრო, რომ ცესკო-ს წარმომადგენელთა ნაწილი ამ გადაწყვეტილებას ეთანხმება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვით ყველაზე მეტად თავად აჭარა დაზარალდება

თამარ ხორბალაძე
ეთერ მამულაშვილი

*აჭარის ლიდერის განცხადება, ერთი თვის განმავლობაში საზღვრის ჩაკეტვის თაობაზე, რამდენადაც ქვეყნის მთლიანობისთვის სახიფათოა, იმდენად საინტერესოა ეკონომიკური თვალსაზრისით. სწორედ ეკონომიკური არგუმენტები გახლავთ ის მთავარი არგუმენტები, რომელმაც საქართველოს ამ კუთხის ნებისმიერ მმართველს სეპარატისტული მისწრაფებები უნდა ჩაუცხროს და ქვეყნის მთლიანობისთვის საზიანო ნაბიჯების გადადგმისგან თავი შეაკავებინოს. თითქმის ყველა ეკონომიკური ექსპერტი აცხადებს, რომ აჭარის ლიდერი კარგად უნდა დაფიქრდეს, სანამ თავს იზოლაციაში მოიქცევდეს. რამდენად იმოქმედებს აჭარის ლიდერის აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ეკონომიკაზე მთლიანობაში და, კონკრეტულად, რეგიონის ეკონომიკაზე? ამ კითხვით "24 საათმა" ქართველ ეკონომიკურ ექსპერტებს და საბაჟო დეპარტამენტს მიმართა:*

გაგრძელება A4 გვერდზე

# კობა ნარჩემაშვილი ბოლოს მაინც გადადგა

*"ყველა მინისტრმა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, უნდა გააგრძელოს მუშაობა, თუმცა, მე მიმაჩნია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი თანამდებობიდან უნდა გადადგეს," – ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ საღამოს "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა.*

ინგა ალავიძე

**"მე ვაპირებდი, გარკვეული ვადით დავრჩენილიყავი ჩემს თანამდებობაზე, რათა ქვეყანაში უმართავი პროცესები არ დაწყებულიყო, რათა გადადგომა არ ჩამთვლოდა გაქცევად, მაგრამ ამ საღამოს მივიღე საბოლოო გადაწყვეტილება და მე ვტოვებ მინისტრის თანამდებობას,"** – მიხეილ სააკაშვილის განცხადებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ კობა ნარჩემაშვილმა ბრიფინგი ჩაატარა და ჟურნალისტებს თანამდებობიდან წასვლის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

კობა ნარჩემაშვილის თქმით, მას არ შეეძლო გადამდგარიყო მანამ, სანამ პრეზიდენტი არ გადადგებოდა. ახლა უკვე ყოფილმა მინისტრმა განაცხადა, რომ ის ბოლომდე ასრულებდა თავის მოვალეობას. **"მე ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ მიმდინარე პროცესები ტრაგიკული შედეგებით არ დასრულებულიყო; ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ მშვიდობიანი მანიფესტანტების სისხლი არ დაღვრილიყო. კვირას პოლიციამ დაამტკიცა, რომ ის ხალხის ინტერესების სადარაჯოზე დგას,"** - ასეთია ექსმინისტრის შეფასება.

გაგრძელება A7 გვერდზე


A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 პოლიტიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ამბები

B2 რევიუ B3 მერიდიანი B4 სპორტი B5 სპორტი B6 ფოტორეპორტაჟი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

თვალსაზრისი

# რევოლუცია დამთავრდა, წინ ახალი რევოლუციაა

გიორგი ასანიშვილი

დაჭიანებული და მოფამფალებული კბილის ამოღება ძალიან იოლია. ეს უმტკივნეულოდ ხდება, ისე რომ, ერთი წვეთი სისხლიც კი არ ვარდება. ედუარდ შევარდნაძის დრომოჭმული და რეგრესული მმართველობითი სისტემაც ასევე უპრობლემოდ, ყოველგვარი გართულებების გარეშე ჩაბარდა ისტორიას. არადა, სულ ცოტა ხნის წინათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ პოლიტიკური "კბილის ამოღება" ასე ადვილად მოხდებოდა. ბევრს მიაჩნდა, რომ შევარდნაძეს საკმარისი გავლენა და ძალაუფლება გააჩნდა იმისთვის, რათა მშვიდად მიეღწია თავისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე. მაგრამ, თურმე, "კბილი" მხოლოდ გარეგნულად ჩანდა საღი და ჯანმრთელი, სინამდვილეში კი, კარიესი ბოლო სტადიამდე ყოფილა მისული.

23 ნოემბერს მოხდა იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე პრეზიდენტის პოსტიდან ედუარდ შევარდნაძის გადადგომაა. ეს არ იყო რიგითი საკადრო ცვლილება, როდესაც სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ერთ პოლიტიკოსს მეორე შეცვლის. შევარდნაძის წასვლით იცვლება თითქმის ყველაფერი, რაც არსებითია ქვეყნის მომავლისთვის: სახელმწიფოებრიობის ხედვა, მსოფლმხედველობითი პრინციპები, წინსვლა-განვითარების სტრატეგია... ახალ ხელისუფლებას სახელმწიფო მშენებლობის პროცესის დაწყება, ფაქტობრივად, ნულიდან მოუწევს.

ამ ურთულეს ამოცანასთან შეჭიდებულ ხელისუფლებას რამდენიმე "მოკავშირე" ეყოლება. პირველ რიგში, ეს არის ხალხის მზადყოფნა და სურვილი ცხოვრების ყველა სფეროში რადიკალური გარდაქმნების გასატარებლად. მნიშვნელოვანია ისიც, რომ შევარდნაძის რეჟიმის დემონტაჟის პროცესში მოხდა სამოქალაქო კონსოლიდაცია. საზოგადოება ასეთი ერთსულოვანი ("ერთსახოვანი") და მონოლითური დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის წლების შემდეგ აღარ ყოფილა. ხალხის ერთ მუშტად შეკვრა, საერთო ეროვნული მუხტისა და ენერგიის სწორ კალაპოტში მოქცევა კი ბევრი პრობლემის მოგვარებას გააიოლებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაუმორჩილებლობის მოძრაობამ და "ვარდების რევოლუციამ" ბევრი ახალი სახე და ლიდერი წარმოაჩინა, რომლებსაც წარმატებით შეუძლიათ ჩაენაცვლონ იმ სახელგატეხილ პოლიტიკოსებს, ვისაც ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ნიღაბი ჩამოხადა. აქვე გასათვალისწინებელია ის საფრთხეც, რომელიც უახლოეს პერიოდში ნამდვილად გაჩნდება: მედროვენი აუცილებლად შეეცდებიან, გამარჯვებულ ოპოზიციას მიეტმასნონ. ასეთი ადამიანები უკვე მრავლად ირევიან პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მისაღებში. ახალ ხელისუფლებას უნდა ეყოს გამბედაობა და სიმტკიცე, რომ ამ ხალხის სამსახურზე უარი თქვას. იმ პირთა აღზევება, ვისთვისაც სამშობლო მხოლოდ მოხმარების საგანს წარმოადგენს, საყოველთაო იმედგაცრუებას გამოიწვევს და ხელისუფლებას ხალხის ნდობის მანდატს ძალიან მალე დააკარგვინებს. თუმცა, გასათვალისწინებელია სხვა მომენტიც: აქაოდა, გამარჯვებული ვარო, გაერთიანებულმა ოპოზიციამ ყველა დანარჩენ პოლიტიკურ ძალას ზურგი არ უნდა აქციოს და მასთან თანამშრომლობაზე უარი არ უნდა თქვას. ამით მან, შეიძლება, თავი იზოლაციაში მოიქციოს.

კიდევ ერთი კოზირი, რომლითაც ახალი ხელისუფლება იწყებს საქმიანობას, ლეგიტიმურობის ძალიან მაღალი ხარისხია. გაერთიანებული ოპოზიციის დაუძინებელი მტრებიც კი ვერ ამბობენ იმას, რომ ქვეყნის სათავეში მოსული ძალა უკანონოა და მას ხალხი არ უნდა დაემორჩილოს. ყველა აღიარებს, რომ მოვლენების განვითარება კონსტიტუციურ ჩარჩოებს არ გასცდენია და ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობა, ფაქტობრივად, არ დარღვეულა.

რაც შეეხება ახალი ხელისუფლების სტრატეგიულ ამოცანებს, ამის გამოცნობა ძნელი არ უნდა იყოს.

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, კორუფციის დამარცხება, კანონის უზენაესობაზე დამყარებული მმართველობა, სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება – დაახლოებით, ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ "ვარდების რევოლუციის" შემდგომი ეტაპის ორენტირები.

ასე რომ, ერთი რევოლუცია დასრულდა და იწყება მეორე - უფრო რთული და მნიშვნელოვანი.

# თელავი გამარჯვებას ზეიმობს

ზვიად რუაძე
კახეთიდან

კახეთმა შევარდნაძის დიქტატურის დამხობის აღსანიშნავი ზეიმი კვირა საღამოს დაიწყო. იმ ღამეს თელაველებმა გამგეობის შენობის წინ სუფრა გაშალეს და საქართველოს გამარჯვების სადღეგრძელო შესვეს. ისინი ერთმანეთს მოპოვებულ თავისუფლებას ულოცავდნენ. ზეიმი და მხიარულება გუშინაც გრძელდებოდა. გურჯაანელი საზოგადოება ვარდების რევოლუციის წყალობით მოპოვებულ გამარჯვებას ავტომანქანების საყვირებით აღნიშნავდა. ამ სიხარულს აქ ახალგაზრდებთან ერთად მოხუცებიც იზიარებდნენ. ერთ საუკუნეს მიტანებული გიორგი ღრუბელაძე, რომელიც არაერთი რევოლუციის მომსწრეა და ისიც სხვების მსგავსად თავის ხმის დასაცავად პარლამენტის შენობის წინ გამართულ აქციებში იღებდა მონაწილეობას, გიორგობის დღეს მომხდარ ფაქტს ქრისტეს მეორედ დაბადებას უწოდებს. "ჩემოდენა ყვავიც არ დაფრინავს ცაზე. არაერთხელ ვარ მომსწრე და თვითმხილველი ათასი მთავრობის გადადგომისა, მაგრამ მე რაც 23 ნოემბერს ვნახე, ეს ნამდვილად სასწაული იყო, ეს ქრისტეს მეორედ დაბადებაა, რაც დიდება გვქონდა დაკარგული შევარდნაძის დროს, სააკაშვილმა აღადგინა. მე მიხარია, რომ მთელმა მსოფლიომ გაიგო ქართველების ხასიათი," - ასეთი სიამაყით საუბრობს მოპოვებულ თავისუფლებაზე 88 წლის გიორგი ღრუბელაძე.

ერთადერთი, ვისაც ოპოზიციის გამარჯვება და ხალხის სიხარული არ უხაროდა, სახელისუფლებო ბლოკის წევრები იყვნენ. გუშინ მთელი დღის განმავლობაში თელავის რაიონის გამგეობა დაკარგულ დიდებას მისტიროდა. ადმინისტრაციის წევრები, მეზვრიშვილის მსგავსად, "გამოსათხოვარს" უკვე კახეთის გუბერნატორისთვის ამზადებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ბიძინა სონღულაშვილმა დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება გუშინ დილიდან მიიღო. ამის თაობაზე მას განცხადება ჟურნალისტებთან უნდა გაეკეთებინა, მაგრამ, როგორც მისმა მოადგილემ გოგი მანჩხაშვილმა "24 საათს" განუცხადა, სონღულაშვილი შეუძლოდ გახდა და მასმედიასთან შეხვედრა გადაიფიქრა. **"მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა სონღულაშვილი ჟურნალისტებს არ შეხვდა, მან თქვა, რომ გუბერნატორის თანამდებობას ტოვებს,"** - ამბობს მანჩხაშვილი. რაც შეეხება თელავის გამგებელს მედეა მეზვრიშვილს, იგი ამ დროისთვის შვებულებაშია. განცხადება გამგებლობიდან გადადგომის შესახებ მან უკვე დაწერა, თუმცა როგორც სამხარეო ადმინისტრაციაში ამბობენ, მედეა მეზვრიშვილი განცხადებას გადადგომის შესახებ ნინო ბურჯანაძეს დაუწერს.

მიუხედავად იმისა, რომ კახეთში ხელისუფლების ნდობით აღჭურვილი პირები კვლავ წამყვან თანამდებობაზე არიან, გუშინ თელავის გამგეობის შენობაზე ნაციონალური მოძრაობის ხუთჯვრიანი დროშა აფრიალდა.

# სტაბილურობის შენარჩუნების წინაპირობები სახეზეა

პირველი გვერდიდან

საბჭოს დახურული სხდომის შემდეგ ჯაფარიძემ მასმედიის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ სახელმწიფო კანცელარიაში მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დოკუმენტი არ არსებობს და ის ამ პოსტზე დარჩება, ვიდრე ექსპრეზიდენტის ბრძანებულებას არ იპოვნიან, ან შესაბამისი შინაარსის ახალი განკარგულება არ დაიწერება.

ჯაფარიძის განცხადებით, დღევანდელი უშიშროების საბჭოს სხდომაზე საკადრო ცვლილებების საკითხი არ განხილულა.

შეხვედრა ნინო ბურჯანაძემ გახსნა.

მისი თქმით, აუცილებელია, სერიოზული მზადება დაიწყოს ახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად, რაც 45 დღეში უნდა მოხდეს. ასევე - **"სერიოზულად მისახედია საქართველოს ფისკალური პოლიტიკაც, რადგან ეკონომიკაში ძალიან რთული მდგომარეობაა."** ნინო ბურჯანაძემ ხაზი გაუსვა, რომ საქართველომ რთული დღეები გამოიარა და პრეზიდენტმა გადადგომით, ფაქტობრივად, ქვეყანა სისხლისღვრისგან იხსნა.

**"ამ წუთებში გასარჩევი არ არის, რატომ მივედით ამ მდგომარეობამდე. ამჟამად უკვე ქვეყანას უნდა მივხედოთ,"** - აქვე აღნიშნა მან.

შეხვედრის შემდეგ ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებმა ერთხმად განაცხადეს, რომ საბჭოს სხდომაზე საკადრო ცვლილებებზე არ უსაუბრიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ძალოვანი სტრუქტურა ფუნქციონირებას ჩვეულებრივ რეჟიმში გააგრძელებს.

სახელმწიფო დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ავთანდილ იოსელიანის თქმით, უშიშროების საბჭოს სხდომაზე დაისვა ძალოვანი უწყებების დაფინანსების საკითხი, რადგან ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნება და კრიმინალური ვითარების დარეგულირება ამ უწყებების დაფინანსებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული.

იოსელიანი აცხადებს, რომ დაზვერვის დეპარტამენტს სამი თვის განმავლობაში არ მიუღია ოპერატიული ხარჯების დასაფინანსებელი თანხები.



ბესო გულაშვილის ფოტო

თედო ჯაფარიძე უსაქმოდ მხოლოდ ერთი დღე დარჩა.

ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელ პირთა ინფორმაციით, უშიშროების საბჭოს სხდომაზე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ფინანსების განმკარგველ სახელმწიფო უწყებებს დაავალა, რომ აღნიშნული მოთხოვნა უმოკლეს ვადებში დააკმაყოფილონ.

სხდომის შემდეგ უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებული ოპერატიული ვითარება „ურთულესია". მან პარლამენტში გამართულ უშიშროების საბჭოს და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძეს აცნობა, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების პერიოდში გამოჩნდნენ შეიარაღებული კრიმინალური ჯგუფები, რომლებიც გარკვეულ პოლიტიკურ ძალებთან ასოცირდებიან.

ხაბურძანიამ კატეგორიულად მოითხოვა კრიმინალური ჯგუფების ქმედების კანონის ფარგლებში მოქცევა. მინისტრი არ აკონკრეტებს იმ პოლიტიკურ ძალებს, რომელთა სახელითაც მოქმედებენ შეიარაღებული ჯგუფები.

თედო ჯაფარიძემ დაადასტურა, რომ "ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებმა ბურჯანაძეს მოახსენეს მიმდინარე პრობლემების" შესახებ.

ჯაფარიძის ინფორმაციით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან კავშირი არის და კონსულტაციები მიმდინარეობს.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა კი განაცხადა, რომ არსებობს სირთულეები ქვეყანაში, მაგრამ, ზოგადად, სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.

შეხვედრაზე საუბარი იყო გარეშე საფრთხეებზე და იმაზე, თუ რა იმპულსებია იმ რეგიონებიდან, რომელსაც თბილისი, ჯერჯერობით, ვერ აკონტროლებს.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ვალერი ჩხეიძის განაცხადებით, საზღვრის დაცვის დეპარტამენტს ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შესაძლებელი იყო ჩეჩენი ბოევიკების მიერ პროვოკაციის განხორციელება საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე. ამჟამად გაძლიერებული რეჟიმით ხდება საზღვრის დაცვა, სიტუაცია კონტროლირებადია და იქ გადასროლილია მოტო-სამანევრო ჯგუფი.

მისივე მტკიცებით, ამ დროისთვის საქართველოს საზღვარს საფრთხე არ ემუქრება.

შეხვედრის შემდეგ საკუთარი პოზიცია გამოხატა თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ. მან, ახალ საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად, ქალაქის მერის არჩევნების ჩატარება მოითხოვა და აღნიშნა, რომ მანამდე ჩვეულ რეჟიმში მუშაობას გააგრძელებს.

მისი თქმით, იგი მზადაა გადადგეს, თუ ამას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი მოითხოვს. **"მე ყოველთვის ხალხის სამსახურში ვიყავი და მზად ვარ, დავემორჩილო ხალხის გადაწყვეტილებას,"** - განაცხადა მან.

კონსტიტუციის თანახმად კი, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი არ არის, გადააყენოს მინისტრები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები.

უშიშროების საბჭოს გუშინდელმა სხდომამ დაადასტურა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს "დაუმორჩილებლობის" პრობლემა დღეს ხელისუფლებაში არა აქვს, ამდენად, სიტუაციის სტაბილურობის გარანტიები სახეზეა.

bp
btc
amec spie
PETROFAC INTERNATIONAL LTD.

კომპანია **"BP"**-ს და მის პარტნიორებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტში აქვთ პატივი, განაცხადონ იმ საეტაპო მნიშვნელობის მიღწევების შესახებ, რომელიც მილსადენის მშენებლობის დაწყების დღიდან დღემდე აღინიშნა:

2003 წლის 5 ნოემბერს ბათუმის საზღვაო პორტში შემოვიდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საქართველოს მონაკვეთისათვის საჭირო მილების ბოლო პარტია. ნავთობსადენის საქართველოს მონაკვეთის მშენებლობისათვის საჭირო ყველა მილი უკვე საქართველოშია. მიმდინარე წლის 24 იანვრიდან მოყოლებული, ქვეყანაში ჩამოვიდა მილსადენის 22513 მილი, რომელიც ამჟამად განთავსებულია ბათუმში და აგრეთვე მილსაწყობებზე თეთრიწყაროში, რუსთავში, მარნეულში, წალკასა და ახალციხეში.





ნავთობსადენის სამშენებლო სამუშაოები გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს შემდეგ მონაკვეთებზე:

- 1-ლი და მე-2 საქაჩი სადგურები (PSG 1 და PSG2) გარდაბანსა და თეთრიწყაროში
- მშენებელთა ბანაკები მარნეულსა და ახალციხეში
- სამშენებლო დერეფანი წალკაში, თეთრიწყაროსა და გარდაბანში. ამ დროისათვის:
  დერეფანი გაჭრილია 92 კილომეტრის სიგრძეზე, KP 88-176 მონაკვეთზე და KP 0-დან KP4-ის ჩათვლით.
  მილები გაწყობილია 69 კილომეტრზე, KP 107-176
  მილები შედუღებულია 61 კილომეტრზე, KP 155-176
  თხრილი გაყვანილია 31 კილომეტრზე
  მილი ჩადებულია 24 კილომეტრზე
  გრუნტით ამოვსებულია 21 კილომეტრი.

მშენებლობა დასრულდა ბაკურიანის მილსაწყობზე და მე-2 საქაჩი სადგურის მშენებელთა ბანაკზე თეთრიწყაროში.

აღსანიშნავია სამშენებლო კონტრაქტორის – კომპანია **"Spie Capag Petrofac"**-ის ღირსშესანიშნავი მიღწევა: კომპანიამ იმუშავა 4,200,000 კაც/საათი სხეულის რაიმე სერიოზული დაზიანების შემთხვევების გარეშე, რაც კომპანიის მხრიდან **BP**-ს ჯანდაცვის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უმაღლესი სტანდარტების განუხრელი დაცვის ვალდებულებისადმი ერთგულებაზე მეტყველებს.

■ ■ ■

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის აქციონერები არიან: BP (30.1%); SOCAR (25.00%); Unocal (8.90%); Statoil (8.71%); TPAO (6.53%); Eni (5.00%); Itochu (3.40%); ConocoPhillips (2.5%); Inpex (2.50%); TotalFinaElf (5.00%) და Amerada Hess (2.36%).

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ: BP-საქართველოს კომუნიკაციის ჯგუფს
ტელ.: (995 32) 59 34 00
ფაქსი: (995 32) 59 34 80

ორი სიტყვით

**ახალციხე.** სამცხე-ჯავახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა გელა კვარაცხელიამ გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა და თანამდებობა დატოვა. გუშინ დილით მისი ადგილი დროებით "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა გოჩა კურტანიძემ დაიკავა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე თანამდებობიდან გადადგა. ისაკაძის თქმით, "ახალ ხალხს" უნდა ჰქონდეს თავისუფლება ყველაფერში, მათ შორის - საკადრო გადაწყვეტილებებში, რათა ქვეყნის უკეთესობისკენ წაყვანა შეძლონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ყველა რაიონული ორგანიზაცია დაიხურა. დროებით წყვეტს მუშაობას პარტიის დედაქალაქის ცენტრალური ორგანიზაციაც. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** გუშინ დილით "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი, ბოლნისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ქამალ მურადხანოვი ქვემო ქართლის გუბერნატორის მისაღებში მივიდა და მის კაბინეტში შესვლა სცადა, თუმცა ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ამის უფლება არ მისცეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო კანცელარიის აპარატის უფროსი პეტრე მამრაძე თანამდებობიდან გადადგომას, ჯერჯერობით, არ აპირებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს თავად მამრაძემ განუცხადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** დღეს დილიდან იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრები განლაგდნენ. იმერეთის ყოფილი გუბერნატორის თემურ შაშიაშვილის ყოფილი სავარძელი ქუთაისში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ მამუკა ჭონიშვილმა დაიკავა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრინციპული გადაწყვეტილება გალის რაიონის უსაფრთხოების ზონაში გაერო-ს სამოქალაქო პოლიციის შეყვანის შესახებ უკვე მიღწეულია, თუმცა ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა დამატებით კონსულტაციებს საჭიროებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილემ სამშვიდობო ოპერაციების საკითხებში ჟან მარი გიენომ განუცხადა, რომელიც დღეს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძეს შეხვდა და, სხვა საკითხებთან ერთად, მასთან აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პრობლემატიკაც განიხილა. გიენოს მონაცემებით, მომავალი წლის დასაწყისში ჟენევის ფორმატში კონფლიქტის მოგვარების საკითხებთან დაკავშირებული მორიგი შეხვედრა გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** „ერთობის" ლიდერი, 1999 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი ჯუმბერ პატიაშვილი საქართველოში დღეს არსებულ დე-ფაქტო ხელისუფლებას ლეგიტიმურად მიიჩნევს და აცხადებს, რომ რიგგარეშე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში ბლოკი „ერთობა" მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** პოლიტიკური გაერთიანების "ეროვნული თანხმობა - იბერია გაბრწყინდება" ლიდერი გურამ აბსანძე, რომელიც ამჟამად სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ფუნქციებს ასრულებს, აცხადებს, რომ სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომელთა თითქმის 80-მა პროცენტმა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება უკვე დაწერა. მისივე თქმით, ანალოგიური განცხადებები დაწერა რეგიონის რამდენიმე რაიონის გამგებელმაც, თუმცა მათი ვინაობის დაკონკრეტებისგან აბსანძე თავს იკავებს. მოვალეობების შესრულებას აგრძელებენ პოლიციისა და პროკურატურის სამხარეო სამმართველოს პირველი პირებიც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ირაკლი წერეთელი რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს. რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს, როგორც იგი აცხადებს, გამორიცხული არ არის, რომ მისმა "ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ" ბლოკი შეკრას "ნაციონალურ მოძრაობასთან" და ერთიანი სიებით მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ იგორ ივანოვსა და აჭარის ავტონომიის რესპუბლიკის მეთაურ ასლან აბაშიძეს შორის კვირას დაწყებული მოლაპარაკებები ორშაბათს დილით გაგრძელდა. როგორც ჟურნალისტებს აჭარის მეთაურის პრესსამსახურში აცნობეს, იგორ ივანოვისა და ასლან აბაშიძის მოლაპარაკებებში მონაწილეობისათვის ექს-პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩასვლის შესაძლებლობა არ განიხილებოდა. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა ასლან აბაშიძემ ჯერ კიდევ იგორ ივანოვის ჩასვლამდე გამოაცხადა და აღნიშნა, რომ "არ ეთანხმება მოსაზრებას, თითქოს თბილისში "ხავერდოვანი რევოლუცია" მოხდა. "ავტონომიური რესპუბლიკის მიერ მიღებული ზომები განპირობებულია იმით, რომ მოძრაობის ლიდერები, რომლებიც თბილისში, ხელისუფლებაში მოვიდნენ, აჭარელი ხალხისადმი აგრესიას არ მალავენ", - თქვა ასლან აბაშიძემ. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ქვემო ქართლში შევარდნაძის მერეც სიმშვიდეა

მაია მოსიაშვილი

*24 ნოემბერი. რუსთავი. პირველი დილა ედუარდ შევარდნაძის გარეშე. სამარშრუტო მიკროავტობუსში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის გამოსვლას რადიოთი უსმენს 7-8 კაცი და საუბრობს.*
*- ადრე ვერ ვიტანდი, მაგრამ დაამტკიცა, რომ მაგარი ქალია. რა კარგად ლაპარაკობს, რა კარგი ხმა აქვს, არა?*
*- ნეტა, საქმეს გააკეთებენ, თუ ისევ იგივე მოგველის?*
*- არ გააკეთებენ და მაგათაც გადაგდებს ხალხი. ჩვენი ძალა ხომ უკვე ვიცით.*
*- გააკეთებენ საქმეს, აბა, რას იზამენ. აი, ნახავ, თუ პური არ გაიაფდეს...*
*- კვირაში ათ ლარს ძლივს ვშოულობ და სულ პურზე მეხარჯება... იქნებ გვეშველოს რამე...*

ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის შესასვლელს დილიდან ვარდების თაიგული ამშვენებდა. სიმშვიდე ოდნავ დაარღვია გუბერნატორის მისაღებში "ნაციონალ" კამალ მურადხანოვის გამოჩენამ, რომელიც ლევან მამალაძის ყოფილ კაბინეტში შესვლას ითხოვდა, თუმცა რუსთაველი "ნაციონალების" ლიდერის გიორგი ხევიაშვილის იქ მისვლის შემდეგ სიტუაცია განიმუხტა. ხევიაშვილი ადმინისტრაციის თანამშრომლებს, რუსთავის პოლიციის უფროსის თანხლებით, დახურულ კარს მიღმა ესაუბრა.

**"ჩვენთვის მთავარია პირველ რიგში წესრიგის დაცვა. ჯერჯერობით ყველაზე სანიმუშოდ და სამაგალითოდ ქვემო ქართლის და რუსთავის მოსახლეობა იქცევა. რაიონებში იყო პატარა ფაქტები, რომლებიც მალევე აღმოფხვრა. გუშინ ღამით აქ ნასვამი ადამიანები იყვნენ მოსულნი, თუმცა ძალადობას ადგილი არ ჰქონია. ჩვენი აქტივისტები პოლიციასთან ერთად იდგნენ აქ, რათა არაფერი მომხდარიყო,"** - განაცხადა ხევიაშვილმა და ადმინისტრაციის შენობა დატოვა.

გუშინ დილითვე სამსახურში გამოცხადდა ვიცე-გუბერნატორი მერაბ ასანიშვილი, რომელიც ორი თვის განმავლობაში იქ არ გამოჩენილა. სამხარეო ადმინისტრაციაში მასზე უკვე წარსულ დროში საუბრობდნენ და შემცვლელიც მოძებნილი ჰყავდათ.

**"წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებისთანავე მე გავემიჯნე სიტუაციას, უარი ვთქვი სამხარეო საარჩევნო შტაბში მუშაობაზე და ქალაქ რუსთავის შტაბის ხელმძღვანელობაზე. მე არ მინდოდა მონაწილეობა მიმეღო იმ უსამართლობაში, რომელიც მოსალოდნელი იყო. გავემიჯნე ხელისუფლებას, რომელიც არასამართლიანი არჩევნების ჩატარებას აპირებდა და დღეს, როდესაც სამართლიანობა თითქოდა აღდგა, მე დავბრუნდი სამსახურში,"** - განაცხადა ასანიშვილმა.

გუბერნატორი ზურაბ კობიაშვილი სამსახურში შუადღის ორ საათზე გამოცხადდა. მან პრესისთვის სპეციალური განცხადება გააკეთა:

**"მე, ჯერჯერობით, ვასრულებ ჩემს მოვალეობას. დღეს დილით ქალბატონი ნინო ბურჯანაძის მისაღებში დავრეკე და ველოდები დღევანდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებას. ამჟამად აბსოლუტური სიმშვიდეა რეგიონში და ასეც უნდა იყოს,"** - განაცხადა კობიაშვილმა. ის ამბობს, რომ კონსულტაციები პარტიულ ხელმძღვანელობასთან (იგულისხმება ლევან მამალაძე) არ ჰქონია.

"24 საათი": "თქვენ ფიქრობთ, რომ დღეს ქვეყანაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა?"

**"თუ იქნება ასეთი ცვლილებები, დაველოდოთ. ყველა ამ ქვეყნის შვილები ვართ და თუკი სიკეთე იქნება, ამ სიკეთისთვის ვართ ჩვენ გაჩენილები. საერთოდ ადამიანები სიკეთისთვის ჩნდებიან,"** - ასეთი იყო კობიაშვილის პასუხი.

ქვემო ქართლის შს სამმართველოს ინფორმაციით, რეგიონის მასშტაბით ადმინისტრაციულ შენობებში ძალით შესვლის მცდელობები არ ყოფილა.

**"რეგიონში სიმშვიდეა, დანაშაული არ ხდება, არანაირი ექსცესები არ არის, სახელმწიფო დაწესებულებებში ჩვეულებრივად მიმდინარეობს მუშაობა. შინაგან საქმეთა მინისტრისგან მიღებულია დირექტივა, ყველამ შეასრულოს თავისი საქმე და იმუშაოს ჩვეულებრივ რეჟიმში,"** - განუცხადა "24 საათს" ქვემო ქართლის სამხარეო შს სამმართველოს უფროსის მოადგილემ ნოდარ ქინქლაძემ.

## ნინო ბურჯანაძე უცხოელ დიპლომატებს რიგგარეშე არჩევნების ჩატარების საქმეში დახმარებას სთხოვს

გიორგი ასანიშვილი

საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური უწყებების ხელმძღვანელებთან გუშინ გამართულ შეხვედრაზე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ გარდამავალი პერიოდის სიძნელეებზე ისაუბრა. მან უცხოელ ელჩებს, პოლიტიკურ თანადგომასთან ერთად, საქართველოსთვის ფინანსური დახმარების გაწევაც სთხოვა. **"საბიუჯეტო კრიზისმა, შეიძლება, ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენოს",** - შეშფოთებას ვერ მალავდა ბურჯანაძე.

მისი თქმით, ბიუჯეტი დღეს რომ ცარიელია, ხელისუფლების მაღალ საფეხურებზე მოკალათებული ადამიანების "დამსახურებაა", რომლებსაც კვლავაც არ ეთმობათ ძალაუფლება. **"როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, სერიოზულ პრობლემებს მიქმნის ის, რომ ერთი-ორი მინისტრი გადადგომას არ აპირებს, მე კი მინისტრების გათავისუფლება არ შემიძლია",** - აღნიშნავს ბურჯანაძე, რომელსაც მიაჩნია, რომ ქვეყნის კონსტიტუციაში, ამ კუთხით, სერიოზული ხარვეზები არსებობს.

ელჩებთან საუბრისას, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გუბერნატორების ინსტიტუტსაც შეეხო და შენიშნა, რომ მისი არსებობის მიზანშეწონილება მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. **"ზოგიერთი გუბერნატორი ანტისახელმწიფოებრივ და კორუფციულ საქმიანობას ეწევა",** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე. ამასთან, იგი შეშფოთებულია იმით, რომ რიგ გამგეობებში ადგილი აქვს ხელისუფლების მიტაცების მცდელობას, **"რაც დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს".**



*საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი სრულ თანადგომას ჰპირდება ნინო ბურჯანაძეს.*

უცხოელ დიპლომატებთან შეხვედრის უმეტესი ნაწილი მომავალი არჩევნების თემას დაეთმო. ბურჯანაძე წუხს იმის გამო, რომ ვადამდელ არჩევნებამდე მცირე დროა დარჩენილი, მაშინ, როდესაც მოსაგვარებელია ძალიან ბევრი ფინანსური, ორგანიზაციული თუ სამართლებრივი საკითხი.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის თქმით, ნანა დევდარიანმა იმედები ვერ გაამართლა და ცესკო-ს ხელმძღვანელის პოსტზე ის აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ბურჯანაძე საუბრობს, აგრეთვე, თავად ცესკო-ს შემადგენლობის, უფრო დაბალი დონის საარჩევნო ადმინისტრაციების შეცვლის აუცილებლობაზე. მისი აზრით, ყოველივე ეს ბეიკერის ფორმულაზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იმასაც დასძენს, რომ საჭიროა, საარჩევნო კანონმდებლობაში მაქსიმალურად ჩაიდოს გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმები.

ნინო ბურჯანაძე უცხოელებს დახმარებას სთხოვს საარჩევნო სიების მომზადებისა და საიდენტიფიკაციო ბარათების დამზადების საქმეში.

**"საქართველოს ბიუჯეტს არა აქვს ახალი არჩევნების ჩატარების საშუალება",** - სამწუხარო რეალობას აცნობს იგი ელჩებს.

კიდევ ერთი თხოვნა: **"რიგგარეშე არჩევნებზე რაც შეიძლება მეტი დამკვირვებელი გამოგზავნეთ",** - მიმართავს ბურჯანაძე უცხოელ დიპლომატებს.

საარჩევნო საკითხები იხილებოდა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარესთან ბრიუს ჯორჯთან საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის გუშინდელი შეხვედრის დროსაც. მისი დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე საპატიო სტუმარმა მომავალი რიგგარეშე არჩევნების ისეთ დონეზე ჩატარების იმედი გამოთქვა, რომ ის, შეიძლება, სხვა ქვეყნებისთვის სამაგალითოც კი გახდეს.

## კანონიერი პარლამენტი მუშაობას გააგრძელებს

პირველი გვერდიდან

21 ნოემბერს, უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ლეგიტიმური მხოლოდ ახალი მოწვევის პარლამენტია. თუმცა, იმ დღეს დეპუტატებმა მხოლოდ სხდომის გახსნა მოახერხეს.

როგორც იურისტმა დავით უსუფაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, ჯერ კიდევ გუშინ მათ თეორიულად შეეძლოთ შეკრება, თუკი კვლავ მოახერხებდნენ დეპუტატთა ორი მესამედის შეგროვებას და საკუთარი უფლებამოსილების ცნობას, თუმცა ეს მანამდე გაგრძელდებოდა, სანამ სრულად არ გაბათილდებოდა ორი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები.

ამასთან, დავით უსუფაშვილის თქმით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს აქვს უფლება, დღეს საღამომდე შეიტანოს სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში ორი ნოემბრის არჩევნების შედეგების გაბათილების მოთხოვნით.

ჩვენი ინფორმაციით, ყოფილი სახელისუფლებო ფრაქციების რიგითი წარმომადგენლები, ასევე, ფრაქცია "მრეწველებისა" და "აფხაზეთის" წევრები დღევანდელი სხდომისთვის ემზადებიან. აქედან გამომდინარე, დღეს უპრობლემოდ მოხერხდება კვორუმის შეკრება.

როგორც ჟურნალისტებს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი წერეთელმა აცნობა, იგი პირადად უხელმძღვანელებს სხდომას.

მისი ინფორმაციით, მიმდინარეობს კონსულტაციები ყველა პოლიტიკურ ჯგუფთან, რათა დღეს სხდომის გახსნა მოხერხდეს და ამისათვის 118 დეპუტატი შეიკრიბოს.

ლოგიკურად, დღის წესრიგში ნომერ პირველ საკითხად მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სამზადისი იქნება. გიგი წერეთლის განცხადებით, გაიმართება კონსულტაციები ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან და სხვა საერთაშორისო დამკვირვებელთა მისიებთან, პარლამენტი იმსჯელებს ასევე ამომრჩეველთა სიებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკითხების ირგვლივ.

რაც შეეხება "სამართლიანი არჩევნების" მიერ უზენაეს სასამართლოში შეტანილ სარჩელს. თავდაპირველად ამ ორგანიზაციის წევრები უზენაეს სასამართლოსაგან მოითხოვდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული საბოლოო შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობასა და ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის არჩევნების შედეგების ხელახალი გადათვლის დავალების გაცემას.

თუმცა, გუშინ "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელმა ნუგზარ კუპრეიშვილმა "24 საათს" განუცხადა, რომ მათი მოთხოვნები შეიცვალა – ისინი უკვე პროპორციული არჩევნების შედეგების გაუქმებას ითხოვდნენ.

ამასთან, ორგანიზაცია სასამართლოში მალე შეიტანს სარჩელს უკვე მაჟორიტარული არჩევნების შედეგების გაუქმების მოთხოვნით. "სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ჭიაბერაშვილი კი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემასაც ითხოვს.

**"უკანასკნელი დღეების განმავლობაში ჩვენ ვაგრძელებდით იმ შედეგებისათვის ბრძოლას, რომლებიც ამომრჩევლის ნებას ასახავენ. 18 ნოემბერს ცესკო-ს 1088-გვერდიანი დოკუმენტი წარვუდგინეთ, სადაც ნაჩვენები იყო ხმების დათვლის პროცესში მომხდარი დარღვევები. იმავდროულად, მივმართეთ სასამართლო ხელისუფლებას, რათა არჩევნების დღეს დაფიქსირებულ დარღვევებზე ადეკვატური რეაგირება მომხდარიყო. საარჩევნო ადმინისტრაციამ მხედველობაში არ მიიღო "სამართლიანი არჩევნების" 2500-კაციანი სადამკვირვებლო მისიის რამდენიმე თვიანი დაუღალავი შრომის ნაყოფი. თუმცა, ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია მხედველობაში არ მიიღო თავად ქართველი ამომრჩევლის ნება... ოფიციალურ შედეგებად გამოცხადებულ რიცხვებში ხმების პარალელური დათვლის შედეგებისგან განსხვავებული ყოველი პროცენტი იმ ტოტალური გაყალბების ნაყოფია, რასაც ადგილი ჰქონდა 2 ნოემბერს კენჭისყრისა და უბნებზე ხმების დათვლის, ხოლო 2 ნოემბრის შემდეგ - საუბნო მონაცემების შეჯამების პროცესში. იმის მიუხედავად, თუ რა მონაცემები დაამტკიცა ცესკო-მ, "სამართლიანი არჩევნების" ხელთ არსებული მასალა სრულ საფუძველს იძლევა განვაცხადოთ, რომ ორი ნოემბრის არჩევნები გაყალბდა და არჩევნების შედეგები არ ასახავს საქართველოს მოქალაქეთა ნებას,"** - ეს "სამართლიანი არჩევნების" პოზიციაა და სწორედ აქედან გამომდინარე, ეს ორგანიზაცია ცესკო-ს ხელმძღვანელობის დასჯას ითხოვს.

თავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები კი არსად ჩანან. დალუქულია მათი სამუშაო კაბინეტები, გათიშულია კომისიის ოფიციალური ვებგვერდი. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, კომისიის წევრთა უმრავლესობა სამსახურში გამოცხადებას არ აპირებს.

გუშინ სასამართლო პროცესზე მხოლოდ ცესკო-ს იურისტი ელზა გულიაშვილი გამოცხადდა, რომელსაც არ კი უცდია, ცესკო დაეცვა და პირდაპირ განაცხადა, რომ იგი სავსებით და სრულად ეთანხმება ყველა იმ არგუმენტს, რომელიც "სამართლიანმა არჩევნებმა" სასამართლოს წარუდგინა.

საბოლოო განაჩენს სასამართლო დღეს გამოიტანს. ყველა ნიშნის მიხედვით, "სამართლიანი არჩევნების" მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნება.

## ჩემი პრეზიდენტობა? - ეს ქუჩაში ხალხს ჰკითხეთ

პირველი გვერდიდან

**თანამდებობის პირები უნდა დაუბრუნდნენ საკუთარ კაბინეტებს, გაუფრთხილდნენ სახალხო ქონებას, დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი, არ აჰყვნენ არანაირ პროვოკაციას. ყველგან, სადაც იქნება უწესრიგობა, ადგილობრივი ხელმძღვანელები აგებენ პასუხს მთელი სიმკაცრით. ამ სიტუაციაში, პრაქტიკულად, ყველა მინისტრი რჩება თავის ადგილას, გარდა იმ ხალხისა, ვინც მოისურვებს წასვლას,"** – აცხადებს სააკაშვილი და აქვე ერთ გამონაკლისსაც უშვებს:

**"მიმაჩნია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი უნდა გადადგეს. პოლიციამ არაერთხელ დაარღვია კანონი წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდში და ამაზე პასუხს პირადად ნარჩემაშვილი აგებს. მისი შემდგომი ყოფნა მინისტრის პოსტზე, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციურად ბურჯანაძეს მისი გათავისუფლების უფლება არა აქვს, პრობლემებს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს და ქვეყნის უსაფრთხოებას. ამიტომ მოვუწოდებ მას, დაჟინებით ვთხოვ, რომ დაწეროს განცხადება თანამდებობიდან წასვლის შესახებ,"** – ამ განცხადებიდან, დაახლოებით, ორ საათში შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი საკმაოდ გრძელი შესავალი სიტყვის შემდეგ, ჟურნალისტების წინაშე გადადგომის შესახებ განცხადებას აკეთებს.

სააკაშვილის თქმით, იგი საკმაოდ ყურადღებით აკონტროლებს მოვლენების განვითარებას შეიარაღებულ ძალებსა და პოლიციაში: **"კატეგორიულად ვთხოვ პოლიციას, არ დაუშვან რაიმე სახის შეიარაღების მქონე ადამიანთა ჯგუფების გადაადგილება საქართველოს ტერიტორიაზე. ჯერჯერობით ეს არ შეიმჩნევა, მაგრამ თუ რაიმე სიმპტომი გამოჩნდა, ეს იქნება ძალიან საგანგაშო,"** – აცხადებს იგი.

რუსი ჟურნალისტის კითხვაზე, თუ როგორ აპირებს ოპოზიცია აჭარასთან და მის ლიდერთან ურთიერთობების მოგვარებას, სააკაშვილმა უპასუხა: **"თუ ვინმეს აქვს იმის ილუზია, რუსეთში ან თუნდაც სადმე სხვაგან, რომ აჭარა შეიძლება გამოვიდეს საქართველოს შემადგენლობიდან, მინდა გითხრათ, რომ ასეთი რამ არ მოხდება არასოდეს, ვიმეორებ - არასოდეს. ეს იგივეა, რომ თბილისის რომელიმე რაიონი საქართველოს შემადგენლობიდან გამოვიდეს. აჭარა საქართველოს შემადგენელი ნაწილია და მისი საქართველოდან მოშორება შეუძლებელია როგორც ტექნიკურად, ასევე რეალურადაც. ჩვენ ამ საფრთხეს არ ვგრძნობთ და ვერავინ ჩვენთან ამ საფრთხით მანიპულირებას ვერ შეძლებს. ჩვენ არ ვაპირებთ აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ რაიმე აგრესიის გამოვლენას არც დღეს და არც მომავალში და არ ვგრძნობთ ამგვარ საფრთხეს ბათუმიდანაც. სხვათა შორის, ჩვენ ძალიან მადლობელი ვართ იმ აჭარლების, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველოში არანაირი სისხლისღვრა და დაპირისპირება არ მომხდარიყო."**

მიხეილ სააკაშვილი მზადაა, აჭარის ლიდერთან შემდგომაც გააგრძელოს კონსულტაციები.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე აღინიშნა, საქართველოს პარლამენტის შენობა დღეს 1999 წლის მოწვევის პარლამენტარებს ელოდება. ამ სხდომაზე უნდა გადაწყდეს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თარიღი. საქართველო საკუთარ პრეზიდენტს და პარლამენტს, სავარაუდოდ, ერთ დღეს აირჩევს. როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, საპარლამენტო არჩევნები მხოლოდ პროპორციული წესით ჩატარდება, მაჟორიტარული წესით არჩეულ დეპუტატებს მომავალი არჩევნები არ შეეხება. **"არავის ჰქონდეს იმის ილუზია, რომ საკონსტიტუციო კრიზისს შექმნის. უნდა ვინმეს პარლამენტის სხდომებში მონაწილეობა თუ არა, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები მაინც შედგება, არავის ვურჩევ ამას ხელოვნურად შეუშალოს ხელი,"** – აღნიშნავს სააკაშვილი.

იგი ჯერ ოფიციალურად არ აცხადებს, აპირებს თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. რაც შეეხება მის შანსს, **"ეს ქუჩაში მოსახლეობას ჰკითხეთ,"** – გვირჩია მან.

თვალსაზრისი

## დასწყისი - კიდევ ერთი

ეკა კვესიტაძე

"დემოკრატია საქართველოს ოქროს საწმისია," – ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში, რომელიც რამდენიმე წლის წინ ითქვა, კარგა ხანია, ეჭვი აღარავის ეპარება.

დიდი ხნის განმავლობაში საქართველო პოსტ-საბჭოთა სივრცეში ახალი დემოკრატიის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად ითვლებოდა. თუმცა, ბოლო პერიოდში ამის უკვე აღარავის სჯეროდა. ტოტალურად გაყალბებული არჩევნების შემდეგ, ქვეყანა უკვე ჩაწერილი იყო პოსტკომუნისტური რესპუბლიკების ბანალურ სქემაში, სადაც დემოკრატია ჩანასახშივე ჩაკლეს და ხელისუფლებაში კვაზი- ან კლასიკური ავტორიტატული რეჟიმები მოვიდნენ.

მიუხედავად საჯაროდ გაკეთებული განცხადებებისა, გულწრფელად ძალიან ცოტას თუ სჯეროდა, რომ საქართველო დააღწევდა თავს იმ მოჯადოებულ წრეს, რომელიც ყოფილ საბჭოთა სივრცეში შეიკრა და რომელსაც, ბალტიის რესპუბლიკების გარდა, გვერდი ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ აუარა.

საქართველოში დემოკრატიის მოსურნე ამერიკისა და ევროსტრუქტურების ოფიციალური პირები აცხადებდნენ, და სავსებით სამართლიანად, რომ მათი ფუნქცია მხოლოდ დახმარება იყო, რომ ქვეყანაში პრობლემები თავად ამ ქვეყნის პოლიტიკოსებს და მოსახლეობას უნდა გადაეწყვიტა.

23 ნოემბერს ეს მართლა ასე მოხდა. ქართულმა საზოგადოებამ შეძლო, რომ თავისი ოქროს საწმისი თავადვე დაეცვა და ყველას აჩვენა, რომ ეს ერი ჭეშმარიტი დემოკრატიის ღირსია.

რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერი სხვაგვარად განვითარდებოდა - სცენარი საკმაოდ მარტივი და ბანალური იყო.

საქართველო საბოლოოდ ჩაეწერებოდა არშემდგარი სახელმწიფოების რიცხვში, სადაც დემოკრატიამ და ხალხმა ფიასკო განიცადა, სადაც ქვეყანას კორუმპირებული ადამიანების პატარა ჯგუფი მართავს, სადაც მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისათვის არ არსებობს მომავლის პერსპექტივა, სადაც ძალიან მწირი ეკონომიკური რესურსები ვერც დიქტატურის შენახვის "ფუფუნებას" იძლევა. შედეგი დაშლილი და დანაწევრებული კვაზი-სახელმწიფო იქნებოდა, სადაც სიტუაციის გაკონტროლება მხოლოდ დანაშაულებრივ ჯგუფს შეუძლია. და ბუნებრივია, ევროსტრუქტურებში და ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივაზე, საერთოდ, აღარავინ ისაუბრებდა.

რა გვაქვს დღეს? შანსი, რომელსაც შეიძლება თავისუფლად ეწოდოს ისტორიული; შანსი, რომელიც ყველაფრის პერსპექტივას იძლევა, მაგრამ არსებობს ერთი აქსიომა – შანსს, განსაკუთრებით - ისტორიულს, სათანადოდ გამოყენება სჭირდება.

ჩვენ ღირსეულ სახელმწიფოდ ქცევის შანსი უკვე რამდენჯერმე გავუშვით ხელიდან.

დღეს კი ის ისტორიული მომენტი ისევ დადგა, რომელიც შემობრუნების წერტილად უნდა იქცეს ქართული სახელმწიფოს ისტორიაში.

დემოკრატია, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მიმართ თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობას გულისხმობს. სამი კვირის განმავლობაში წვიმაში, სიცივეში გარეთ დგომა საკუთარი უფლებების დასაცავად ნამდვილად ნიშნავს გმირობას. მაგრამ, იმ ვალდებულებების შესრულება, რასაც მშვიდობიანი დემონსტრაციებით მოპოვებული მომავალი აკისრებს თითოეულ ადამიანს, არანაკლებ გმირობას ითხოვს.

ოპოზიციის იმ ლიდერებს, რომლებმაც უკვე განაცხადეს, რომ ისინი სხვა ტიპის პოლიტიკოსები არიან და მათი მთავარი პრიორიტეტი ხალხის ინტერესების დაცვა იქნება, ხალხი განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს, გაცილებით მაღალს, ვიდრე ძველ კორუმპირებულ ხელისუფლებას.

ეს ლიდერები დღეს კარგად უნდა აცნობიერებდნენ, რომ მათი პოლიტიკური კარიერა ისევე შეიძლება დასრულდეს, როგორც პროსახელისუფლებო ბლოკის ცნობილი სახეებისა, თუ ისინი საბჭოურ თამაშის წესებს ძირეულად და არსებითად არ შეცვლიან და ახალ, დემოკრატიული საზოგადოებისათვის მისაღებს წესებს არ დაიცავენ.

23 ნოემბრის უმთავრესი მიღწევა მაინც ერთი იყო – ქვეყნის პოლიტიკაში მთავარი მოქმედი გმირი ხალხია და ეს ყველა ხელისუფლებას კარგად უნდა ახსოვდეს.

დღეს ოპოზიციის ლიდერებს სერიოზული გამოწვევა აქვთ – მათ უნდა შეძლონ კონსოლიდაციის შენარჩუნება, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ერთ კანდიდატურაზე შეთანხმება და, რაც მთავარია, სამაგალითოდ დემოკრატიული არჩევნების ჩატარება.

არავის არ აქვს იმის ილუზია, რომ ის პრობლემები, რომელთა წინაშე ქვეყნის ახალი ლიდერები აღმოჩნდნენ, ერთ დღეში, ერთ თვეში ან თუნდაც ერთ წელში მოგვარდება. დემოკრატია პროცესია, რომელიც მუდმივ პროგრესს გულისხმობს და ეს, პირველ რიგში, თანამიმდევრული, სახელმწიფოებრივი პოლიტიკით მიიღწევა.

ასე რომ, თუ პოლიტიკოსებს ერთ დღეში პრობლემების მოგვარებას არავინ მოსთხოვს, მათ მუდმივად მოსთხოვენ იმ პროგრესს, რომელიც ქვეყანას კეთილდღეობისკენ წაიყვანს.

ქართული ხავერდოვანი რევოლუცია დასავლეთმა უკვე ჩათვალა დემოკრატიზაციისაკენ გადადგმულ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად. ეს ნიშნავს იმას, რომ რომ დასავლეთისა და ამერიკის დახმარება საქართველოში დიდი მასშტაბით შენარჩუნებდა. დასავლეთი დაგვეხმარება, რომ გავხდეთ ცივილიზებული სამყაროს სრულფასოვანი, ღირსეული წევრი. მაგრამ, უცხოელებს მხოლოდ დახმარება შეუძლიათ, ამ დახმარების გამოყენება კი - მხოლოდ ჩვენ. ქართულმა საზოგადოებამ უკვე დაამტკიცა, რომ მას ეს შეუძლია. თუმცა, მას ამის დამტკიცება კიდევ არაერთხელ მოუწევს.

23 ნოემბრის თავისუფლების ქარმა სულზე მოგვისწრო, რომ დაჭაობებული სისტემის სიმყრალით არ დავმხრჩვალიყავით. მაგრამ ამ სიმყრალის სუფთა ჰაერით ბოლომდე ჩანაცვლებას ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა სჭირდება.

## კანცელარიას ტექნიკური ზედამხედველი მიხედავს

სახელმწიფო კანცელარიას ტექნიკური ზედამხედველი ეყოლება, რომელსაც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე წარადგენს. ამის შესახებ ჟურნალისტებს "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა ბესო ჯუღელმა განუცხადა, რომელიც ტექნიკურ საკითხებს კანცელარიაში ამ დრომდე თავად აგვარებდა. "ჩემი მთავარი მიზანი იყო, რომ ამ პერიოდის განმავლობაში წესრიგი შეგვენარჩუნებინა, რაც განხორციელდა კიდეც, ხოლო ახალმა წარმომადგენელმა კანცელარიასთან დაკავშირებით ყველა საკითხზე სრული პასუხისმგებლობა უნდა აიღოს," - აღნიშნა ჯუღელმა. მისი განცხადებით, დღეისათვის დალუქულია კანცელარიის ყველა ოთახი, გარდა კანცელარიის აპარატის უფროსის პეტრე მამრაძის კაბინეტისა. ჯუღელის თქმით, ამ დღეების განმავლობაში სწორედ მამრაძესთან ერთად აგვარებდა ყველა საკითხს. კითხვაზე, რატომ დაიკავა მან სახელმწიფო მინისტრის კაბინეტი, ჯუღელმა უპასაუხა: "ეს იყო ერთადერთი კაბინეტი, საიდანაც იყო საშუალება, ყველა სართულზე მქონოდა კავშირი". **ინტერ-პრესი**

## გასწორება

**"24 საათის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს ელჩების კომენტარები პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ავსტრიაში გაზეთის საკუთარი კორესპონდენტის მიერ გამოგზავნილი მასალის დამუშავების დროს მოხდა შეცდომა და ავსტრიაში საქართველოს კონსულის, მერაბ ღვინაძის კომენტარი მიწერილი აქვს ეუთო-ში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელს გიგა ბურდულს, რისთვისაც მას ბოდიშს ვუხდით.**

# "თელასი" რუსეთიდან დენის იმპორტის შეზღუდვით იმუქრება

*თურმე, უკვე ათი დღეა, რაც რუსეთიდან შემოდინებული ელექტროენერგიიდან 2 მილიონი კილოვატსაათი სადღაც "უკვალოდ ქრება". სავარაუდოდ, ეს ელექტროენერგია უნებართვოდ იმ რაიონებს მიეწოდებათ, რომელთა ელექტრომომარაგების შეზღუდვის თაობაზე საბითუმო ბაზრის მიერ ბრძანება გაცემულია, მაგრამ ის, ადგილობრივი დისპეტჩერების თვითნებობის გამო, არ სრულდება.*

მაია ურუშაძე

რუსული კომპანია თავიდანვე მოითხოვდა, რომ მის მიერ შემოტანილი ელექტროენერგია დედაქალაქს უდანაკარგოდ მიეღო. ეს რუსეთიდან დენის იმპორტის წინაპირობა იყო.

**"თუ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო და "სახელმწიფო ელექტროსისტემა", რომლის ხაზებითაც კომპანიის მიერ იმპორტირებული დენი თბილისამდე მოდის, 24 საათის განმავლობაში ვითარებას არ გამოასწორებენ, ჩვენ იძულებულნი გავხდებით, რუსეთიდან დენის იმპორტი შევზღუდოთ,"** – განაცხადეს გუშინ "თელასში". ამ ულტიმატუმის ვადა დღეს საღამოს იწურება. ცნობისათვის, ამჟამად რუსეთიდან საქართველოში 200 მეგავატი ელექტროენერგია შემოედინება.

სხვა მხრივ კი, "თელასის" პროგნოზები დამაიმედებელია.

**"ქვეყნის ელექტრომომარაგებაში შეფერხება არ იქნება,"** – აცხადებენ "თელასის" "რაოელი" მენეჯერები. "თელასის" გენერალური დირექტორის დანგირას მიკოლაიუნასის განმარტებით, 1 დეკემბრიდან თბილისს ელექტრომომარაგების ოთხი ალტერნატიული წყარო ექნება: ქვეყნის ჰიდროელექტროსადგურები, "რაოს" კუთვნილი "თბილსრესის" მეცხრე ენერგობლოკი, ხაზი "კავკასიონი" რუსეთიდან და ხაზი "ალავერდი" სომხეთიდან იმპორტისათვის. "ალავერდით" სომხეთიდან დენის შემოსატანად თითქმის ყველაფერი მზადაა. სრულდება სარემონტო სამუშაოები, რომელთა წყალობითაც იმპორტირებული ელექტროენერგიის თბილისამდე შემოსატანი სქემა საიმედო იქნება.

"თელასში" განმარტეს, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებას ქვეყნის ელექტრომომარაგების საკითხზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია. "თელასის" მონაცემებით, ამჟამად დედაქალაქში ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი უცვლელია და ის 70 პროცენტს აღწევს.

**"ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევით,** - განაცხადეს "თელასის" "რაოელმა" მენეჯერებმა, - **ქვეყნის ელექტრომომარაგება კი კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით განხორციელდება."**

## დენის ტარიფი, სავარაუდოდ, არ შეიცვლება

სემეკ-ის გადაწყვეტილებით, 1 დეკემბრიდან თბილისში ელექტროენერგიაზე დიფერენცირებული ტარიფი უნდა ამოქმედებულიყო. ახალი ტარიფის შემოღებას სემეკი ჯერ კიდევ 1 სექტემბრისთვის გეგმავდა, მაგრამ "თელასში" ახლად შემოსულმა "რაო ეეს როსიიმ" ამ გადაწყვეტილების შეჩერება მოითხოვა.

დღეს კი "თელასის" "რაოელი" მენეჯერები მიიჩნევენ, რომ ახალი ტარიფის ამოქმედება საერთოდ არ არის მიზანშეწონილი. **"ჩვენმა სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ახალი ტარიფი სემეკში სწორად არ არის გათვლილი. ფინანსური ანალიზი გვაჩვენებს, რომ ახალი ტარიფის ამოქმედება კომპანიისთვის ზარალიანი იქნება,"** – აცხადებენ "თელასში". ამასთან, თბილისის ელექტროგამანაწილებელ კომპანიაში მიიჩნევენ, რომ ახალ ტარიფზე გადასვლა განსაკუთრებით რთული იქნება ზამთრის პერიოდში, როცა დენის მოხმარება საგრძნობლად იზრდება.

მოკლედ, ძველი ტარიფის ძალაში დატოვების თხოვნით, გუშინ "თელასმა" სემეკს მიმართა. **"თუ სემეკი ჩვენს თხოვნას არ დააკმაყოფილებს, ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა დამორჩილება,"** – განაცხადა დანგირას მიკოლაიუნასმა. იმ შემთხვევაში კი, თუ "თელასის" თხოვნა დაკმაყოფილდება, "თელასი" ახალი ტარიფის თავის ვარიანტს აპრილისთვის, ანუ გამოზამთრების შემდეგ შეიმუშავებს. **"ამ დროისათვის ჩვენ უკვე გვექნება უტყუარი და ზუსტი ინფორმაცია ახალი ტარიფის გაანგარიშებისათვის,"** – აცხადებენ "თელასში".

# კობა ბექაური დედაქალაქის საგადასახადო სამსახურების ხელმძღვანელებს ემუქრება

*დედაქალაქის რაიონული საგადასახადო სამსახურების უფროსებისა და გამგებლების საკუთარ თანამდებობებზე დარჩენის საკითხი ამ დღეებში გაირკვევა. იმ შემთხვევაში, თუკი ისინი მიმდინარე თვისა და, საერთოდ, წლის ბიუჯეტს არ შეასრულებენ, თითოეულ მათგანს საკუთარ სკამთან გამომშვიდობება მოუწევს. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის უფროსმა ეს დაპირება მათ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის სახელით გადასცა.*

ეთერ მამულაშვილი

უკანასკნელი ათი თვის მონაცემებით, დედაქალაქის წლის ბიუჯეტი ორმოცდათექვსმეტი პროცენტით არის შესრულებული. ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე თვის საგეგმო პარამეტრი – 18 მილიონი ლარი კი მხოლოდ ორმოცდათორმეტი პროცენტით - 10 მილიონით. ოქტომბრის თვის ჩათვლით თბილისის ბიუჯეტში გარღვევა ათ მილიონ ლარს აჭარბებს.

ამ ეტაპზე თბილისის ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 158 მილიონზე ცოტა მეტი ლარი. წლის ბოლომდე დედაქალაქის ხაზინაში, დაახლოებით, 47 მილიონი ლარია მოსაზიდი.

გუშინ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კობა ბექაურმა მერიის სათათბირო დარბაზში თბილისის ხუთივე რაიონის საგადასახადო სამსახურების უფროსები დაიბარა და საკმაოდ სერიოზული ტონით რამდენიმე გაფრთხილება მისცა. **"თოთოეულ თქვენგანს დღეიდან გაათმაგებული ძალებით მოგიწევთ მუშაობა. დამთავრდა ის დრო, როცა ზოგიერთები გადასახადებს არ იხდიდნენ და ამას პატიობდით. დღეიდან სხვა წესებით მოგიწევთ ცხოვრება. თუკი ნოემბრის თვის საბიუჯეტო გეგმა ისევ გაირღვა და არ დაიფარა ის ვალდებულებები, რაც მერიამ და საკრებულომ საკუთარ თავზე აიღო, გპირდებით, რომ თქვენ და თქვენი მოადგილეები თანამდებობებს დატოვებთ. ასეთი მითითება მე დღეს მივიღე მიხეილ სააკაშვილისგან. დასრულდა ბიუჯეტში შესატანი ფულის სახლში წაღების ეპოქა, დღეიდან არც ერთი თეთრი აღარავის შერჩება",** - ხმამაღალი ტონით და თითის დაქნევით მიმართა ბექაურმა ქალაქის რაიონული საგადასახადო სამსახურების უფროსებს.

ბექაურმა, აღებული საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულების მიზნით, საგადასახადო სამსახურების უფროსებს მოსთხოვა ურჩი გადამხდელების ბიზნესორგანიზაციების დაყადაღება. ამ კონტექსტში მან სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლების - ზეზვა ღუღუნიშვილისა და თამაზ გიორგაძის ბიზნესზე გაამახვილა ყურადღება და მათი ორგანიზაციების დაყადაღების საკითხი კატეგორიულად დასვა. მთაწმინდა-კრწანისის საგადასახადო სამსახურის შეფს ბექაურმა მოსთხოვა, **"ზეზვა ღუღუნიშვილის ორგანიზაციას, რომელიც თქვენს რაიონში არის რეგისტრირებული, დღემდე ბიუჯეტის მილიონ ორასი ათასი ლარის დავალიანება აქვს დაგროვილი. მე მოვითხოვ, რომ ეს თანხა ხვალვე იქნას ამოღებული, დაადეთ ყადაღა და ეს ფული წამოიღეთ ბიუჯეტში".** სხვათა შორის, მთაწმინდა-კრწანისის საგადასახადო სამსახურის უფროსმა ჩვენთან საუბარში აღიარა, რომ ზეზვა ღუღუნიშვილის ორგანიზაციას დღემდე მართლაც გააჩნია ბიუჯეტის 1.200.000 ლარის დავალიანება.

მერიის საფინანსო სამმართველოს უფროსის ამირან ჯებისაშვილის ინფორმაციით, დედაქალაქში დაუფინანსებელი რჩება ოქტომბრის თვის პენსიები, რისთვისაც საჭიროა დაუყოვნებლივ გამოიძებნოს 450 ათასი ლარი. ბოლო ორი თვის მონაცემებით, თითქმის მთლიანად არის შეჩერებული მთელი რიგი ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსება. ჯებისაშვილის განცხადებით, სულ მცირე - მილიონი ლარია საჭირო იმისათვის, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ და საკრებულომ საკუთარ თავზე აღებული ჯანდაცვის პროგრამები შეასრულოს.

ქალაქის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, საჭიროა დამატებით 4 მლნ ლარი, რითაც ბანკის ვალი უნდა დაიფაროს. ხარჯების სრულად დაფარვისათვის კი ბიუჯეტის გეგმის 24 მლნ ლარამდე გადაჭარბებაა საჭირო.

ასე, რომ თბილისის რაიონულ საგადასახადო სამსახურებს საკუთარი სკამის შესანარჩუნებლად თვის და წლის ბოლომდე დარჩენილ დროში სერიოზული მუშაობის გაწევა მოუწევთ.

დღეს კობა ბექაური სამუშაო შეხვედრის გამართვას გეგმავს მოსაკრებლების სამსახურების ხელმძღვანელებთან.

# საბანკო და სავალუტო კრიზისი არ იქნება

ნინო ნარჩემაშვილი

პოლიტიკური რისკის დონე ყოველთვის პირდაპირპროპორციულია ფინანსური რისკებისა. ასეა ნებისმიერ ქვეყანაში. უკანასკნელი დღეების მოვლენების ფონზე აშკარად ჩნდება შეკითხვები - რა ფინანსური რისკების წინაშე იდგა საქართველო უკანასკნელი დღეების განმავლობაში და რა ხდება დღეს?

საქართველოს ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რომ საბანკო სექტორი მუშაობას აგრძელებს და ქართული ეროვნული ვალუტის სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება.

სებ-ის მონაცემებით, თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე მოხდა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის გამყარება აშშ დოლარის მიმართ. კომერციული ბანკების მხრიდან უცხოური ვალუტის წინასწარმა მიწოდებამ 1 200 000 აშშ დოლარი შეადგინა, რამაც ლარის გაცვლითი კურსი ერთი თეთრით (1 აშშ დოლარი 2,21 ლარი ნიშნულამდე) გაამყარა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ირაკლი მანაგაძის განცხადებით, თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე ლარის გაცვლითი კურსის გამყარება მნიშვნელოვანწილად გამოიწვია ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების განმუხტვამ, რასაც მოჰყვა სავალუტო ბაზარზე მოქმედი ფსიქოლოგიური ფაქტორების ნაწილობრივი ნეიტრალიზაცია.

მისივე თქმით, ქვეყნის საერთო მონეტარული ფონი სტაბილურობას ინარჩუნებს, რაც მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში, საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში არსებული პრობლემების სწრაფი მოწესრიგების პარალელურად, ლარის გაცვლითი კურსის ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა. ირაკლი მანაგაძის თქმით, საბანკო და სავალუტო კრიზისი მოსალოდნელი არ არის.

ეროვნული ბანკის პოზიციას მსხვილი კომერციული ბანკებიც იზიარებენ.

"გაერთიანებულ ქართულ ბანკში" აცხადებენ, რომ ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს ბანკის მუშაობაზე გავლენა არ მოუხდენია, არ დაფიქსირებულა გათვლილ პარამეტრებზე ზღვარგადასული არც დეპოზიტების გადინება და არც საბანკო ანგარიშების დახურვა. მათივე თქმით, ინფლაციის მოლოდინი, რომელიც ქვეყანაში იგრძნობოდა, ერთიანი ძალისხმევით და, რაც მთავარია, დროულად დაძლიეს საქართველოს ეროვნულმა




ვახო ხაილიას ფოტო

*ლარის სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება.*

და წამყვანმა კომერციულმა ბანკებმა. ეროვნული ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში დასაშვებ ზღვარს არ გასცილებია. მათი შეფასებით, მიმდინარე ეტაპზე საქართველოს, პოლიტიკური თუ საბიუჯეტო კრიზისის მიუხედავად, სავალუტო კრიზისის საფრთხე არ ემუქრება; არც ე.წ. საბანკო პანიკის საფუძველი არსებობს.

"თიბისი" ბანკში აცხადებენ, რომ მათ საქმიანობაზე საქართველოში ბოლო სამი კვირის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია და ბანკის საქმიანობა ჩვეულ რიტმში მიმდინარეობდა. მათ შორის, არავითარი ცვლილება და ტენდენცია არ დაფიქსირებულა ბანკში არსებულ დეპოზიტებთან (ანაბრებთან) მიმართებაშიც.

რაც შეეხება 23 ნოემბრის შემდგომ პერიოდს, მათივე თქმით, პრაქტიკულად არ არსებობს არასტაბილურობის რისკი საფინანსო ბაზარზე და, მათ შორის, ლარის კურსთან მიმართებაში. მათი შეფასებით, ქვეყანაში არსებული ვითარება არ ქმნის ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნის და საინვესტიციო გარემოს გაუარესების რეალურ საფრთხეს. ამდენად, "თიბისი ბანკი" აგრძელებს მუშაობას თავისი სტრატეგიის შესაბამისად და არავითარი საგანგებო ზომებისა და ტაქტიკური ნაბიჯების გატარებაზე არ არის საუბარი.

"საქართველოს ბანკის" პრეზიდენტის ვლადიმერ პატეიშვილის განცხადებით, საბანკო სექტორის მყარი პოზიციების შენარჩუნება დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციაზე და უშუალოდ ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე, მის სიმყარეზე. მისი თქმით, "საქართველოს ბანკი" მყარი ფინანსური ინსტიტუტია, რომელსაც სტაბილური ფუნქციონირებისათვის სერიოზული რეზერვები გააჩნია. უკანასკნელი შვიდი-რვა წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბანკს ჰქონოდეს შეფერხებები ანგარიშსწორებაში ან მეანაბრეთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაში. ვლადიმერ პატეიშვილის აზრით, ბანკი ძლიერია მაშინ, როცა ძლიერია მისი კლიენტურა, ამდენად აუცილებელია, რომ ორგანიზაციებს, რომლებსაც ემსახურება ბანკი, შეექმნათ მუშაობისათვის საჭირო სტაბილური ეკონომიკური გარემო. **"იმედი მაქვს, რომ ქვეყანაში ასეთი გარემო ჩამოყალიბდება. გამყარდება და გაფართოვდება უცხოელი პარტნიორების ნდობა და ბანკსაც არანაირი საფრთხე არ შეექმნება თავის მუშაობაში,"** -განაცხადა "საქართველოს ბანკის" პრეზიდენტმა და დასძინა, რომ ამჟამად არანაირი საფუძველი პანიკისთვის არ არსებობს. მისივე განცხადებით, აუცილებელია, მთავრობამ გაატაროს გადაუდებელი ზომები ბიუჯეტის გასაჯანსაღებლად და სახელმწიფო ვალდებულებების შესასრულებლად, რადგანაც "საქართველოს ბანკს", ისევე როგორც სხვა ბანკებს, მნიშვნელოვანი თანხები აქვთ განთავსებული კრედიტებში და სახაზინო ვალდებულებებში. აუცილებელია, მათი დაფარვა მოხდეს დროულად და ეს პროცესები კვლავწარმოებით განვითარდეს. მისივე თქმით, ბანკები, თავის მხრივ, მოვალენი არიან, ხელი შეუწყონ ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებასა და გაფართოებას. ვლადიმერ პატეიშვილი აცხადებს, რომ "საქართველოს ბანკი" ყველა ზომას მიმართავს იმისთვის, რომ პატიოსნად შეასრულოს თავისი მოვალეობა ქვეყნის, პარტნიორების, მეანაბრეებისა და აქციონერების წინაშე.

# ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვით ყველაზე მეტად თავად აჭარა დაზარალდება

პირველი გვერდიდან

საბაჟო დეპარტამენტი იმედოვნებს, რომ აბაშიძის გადაწყვეტილება გავლენას არ იქონიებს არც ტრანზიტზე და არც ტვირთებზე.

დეპარტამენტში, ჯერჯერობით, საგანგაშო მონაცემები არ აქვთ მანქანების გაჩერების ან ტვირთების შეჩერების შესახებ. საბაჟო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება იქნება თვითიზოლაცია, რადგან გადამზიდავი და ტრანზიტული ტვირთის მფლობელი ყოველთვის მოძებნის ალტერნატიულ გზას. ასეთი გზები კი ძალიან ბევრია. აჭარის გარდა, ეს არის ვალეს საბაჟო პუნქტის გავლით საქართველოში შემომავალი გზა, იგივე - ფოთის პორტის გავლით.

საბაჟო დეპარტამენტში ამბობენ, რომ ჯერჯერობით არ არის საგანგაშო მდგომარეობა ამ მხრივ და არ სურთ სიტუაციის დაძაბვა დამატებითი კითხვებით.

**"გარდა ამისა, რაც ახლა, აჭარის გავლით, ტრანზიტი და ტვირთი წამოვა, ყველა ის მანქანა რომ გააჩერონ, აჭარის ტერიტორია არ ეყოფა. როგორც ვიცით, უბრალოდ, ჩოლოქზე ადმინისტრაციულ საზღვარზე არის გაძლიერებული კონტროლი და რაღაც განსაკუთრებული ზომები აქვთ მიღებული შესვლა-გამოსვლაზე",** - აცხადებენ საბაჟო დეპარტამენტში.

ასლან აბაშიძის აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საკმაოდ კატეგორიულია პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე:

**"ერთთვიანი საზღვრის ჩაკეტვის შესახებ განცხადება მხოლოდ ეკონომიკაში გაუთვითცნობიერებულმა ადამიანმა შეიძლება გააკეთოს. მე დარწმუნებული ვარ, რომ საზღვრის ჩაკეტვა იქნება ცალმხრივი - აქედან არ შეუშვებენ ხალხს ბათუმში, მაგრამ ბათუმიდან შემოვა ტვირთები. 99 პროცენტი ტვირთისა, რომელიც აჭარის საბაჟოს გადმოკვეთს, შემოდის თბილისში და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაში, თუ აბაშიძემ ჩოლოქთან გადაკეტა საზღვარი, მაშინ სარფში არც ერთი ტვირთი აღარ შემოვა, მთელი ტვირთები მისამართს შეიცვლის, აჭარის ბიუჯეტი 90 პროცენტით გაირღვევა და ერთ მშვენიერ დღეს ხალხი, პენსიონერები გამოვლენ ქუჩაში. და მოუწყობენ არა ვარდების, არამედ ფიწლების რევოლუციას. ზაფხულში კი, თუ დამსვენებლები არ ჩავიდნენ აჭარაში, მაშინ იქაურ მოსახლეობას შიმშილით სული ამოხდება და ამას არავინ არ აპატიებს ასლან აბაშიძეს. ამიტომ, აბაშიძის განცხადება არასერიოზულია და ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება..."** - ამბობს იგი.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის ხელმძღვანელი ლადო პაპავა კი აცხადებს:

**"თუ გავიხსენებთ, როგორ ირიცხებოდა წლების განმავლობაში თანხები აჭარიდან ცენტრალურ ბიუჯეტში, მაშინ არა მგონია, რომ ამან რაიმე ზეგავლენა მოახდინოს მთელი ქვეყნის ეკონომიკაზე. ეს თანხები, ძირითადად, ან ბლოკირებული იყო, ან მნიშვნელოვნად შემცირებული. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ საბიუჯეტო პრობლემა, პრობლემა უფრო რთულია და ეს საქართველოს ერთიანობასთან არის დაკავშირებული. ამიტომ ეკონომიკური საკითხი მეასეხარისხოვანია. სამწუხაროდ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვერცერთხელ ვერ დაარეგულირა ურთიერთობა აჭარასთან და მის ხელმძღვანელობასთან, რის გამოც ყოველთვის იყო დავა და კამათი საბიუჯეტო საკითხებზე. ამის შედეგად ზარალდებოდა ცენტრალური ბიუჯეტი. ახლა ამას თუ მოჰყვება ის, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდანაც არ წავა ტრანსფერები აჭარის მიმართულებით, ეს იქნება ძალიან დიდი შეცდომა. ამიტომ, თუკი რაიმე ვალდებულება აქვს აღებული ცენტრალურ ბიუჯეტს აჭარასთან მიმართებაში, ტრანსფერების სახით, არ უნდა შეჩერდეს.**

**საერთოდ, ასეთი პოლიტიკა მავნებელია თავად აჭარისთვისაც, და არა მარტო ეკონომიკურად. თუმცა, ამას რომ უარყოფითი ეფექტები ექნება აჭარის ეკონომიკაზე, ეს ცხადზე ცხადია".**

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელი კახა დამენია:

**"ხაზინაში დღემდე მაინც არ შემოდიოდა ფული, აჭარა მაინც არ რიცხავდა ფულს ცენტრალურ ბიუჯეტში, უბრალოდ, ეროვნული ბანკის ანგარიშებში აისახებოდა იქ მობილიზებული თანხები. ამიტომაც, აჭარის გადაწყვეტილების შედეგად, ცენტრალურ ბიუჯეტს დიდი დანაკარგები მაინც არ ელის. ის ტვირთები, რომლებმაც ამ ტერიტორიაზე უნდა გამოიაროს, ალტერნატიულ მარშრუტსა და გზებს მოძებნის. წამოვა ფოთის პორტით, რკინიგზით და სხვა. ეს გადაწყვეტილება გაცილებით დიდ გავლენას მოახდენს აჭარაზე, ვიდრე - მთელ საქართველოზე. რაღაც შეფერხება, ბუნებრივია, იქნება. თვითონ აჭარისთვის ეს დიდი დარტყმა იქნება და, სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, რომ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ".**

იგივე მოსაზრებას იზიარებს ასოციაციის წარმომადგენელი თემურ მიმინოშვილი:

**"რას ნიშნავს ჩოლოქის დაკეტვა? თუ ეს ნიშნავს, რომ ისინი არ შემოუშვებენ, ასე ვთქვათ, საქონელს, ეს ძალიან მარტივად მოგვარდება - იმპორტული პროდუქცია სხვა გზით შემოვა. რაც შეეხება ბიუჯეტის დანაკარგს - წლების განმავლობაში აჭარა არ რიცხავდა ცენტრალურ ბიუჯეტში კუთვნილ თანხებს, ასე რომ, მნიშვნელოვან ზარალს ეს გადაწყვეტილება ბიუჯეტს არ მიაყენებს. ეს გადაწყვეტილება არის ისევ და ისევ აჭარის მოსახლეობისთვის საზიანო. სარფიდან და პორტიდან შემოსული იმპორტის მოცულობა შემცირდება. ეს არ არის პრობლემის ეკონომიკური მხარე. ცალკე საკითხია პოლიტიკური მხარე, რომელიც დღევანდელი საუბრის თემა არ არის."**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორისის სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაში მონაწილეობდა ოთხი (2 გამყიდველის და 2 მყიდველის სტატუსით) კომერციული ბანკი. დაიდო 3 საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 210000 აშშ დოლარი შეადგინა. ეროვნული ბანკი დღევანდელ ვაჭრობაში არ მონაწილეობდა. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით 1 აშშ დოლარი – 2.2200 ლარი. კომერციული ბანკების მხრიდან უცხოურ ვალუტაზე თავდაპირველმა მოთხოვნამ - 210000, ხოლო მიწოდებამ 1200000 აშშ დოლარი შეადგინა. თბსბ-ის დღევანდელ ვაჭრობაზე აშშ დოლარზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა კურსით: აშშ დოლარი – 2.2100 ლარი. 25 ნოემბრიდან ძალაშია ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი – 2.2100 ლარი. ამავე პერიოდისათვის შიდა სავალუტო ბაზარზე ვალუტის გადამცვლელი პუნქტები 1 აშშ დოლარს 2.2100 ლარად ყიდულობდნენ და 2.2250-ად ყიდდნენ. **საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ გუშინ ელჩებს მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად ფინანსური მხარდაჭერა სთხოვა. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ამჟამად საქართველოს ბიუჯეტი გაუთვალისწინებელი არჩევნების ჩატარების საშუალებას არ იძლევა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროკომისია საქართველოს 22 მილიონი ევროს ოდენობის ჰუმანიტარულ დახმარებას გამოუყოფს. როგორც ორშაბათს ევროკომისიის პრესსამსახურმა განაცხადა, ეს თანხა მოხმარდება აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებთა და ადგილნაცვალ პირთა სურსათით უზრუნველყოფას. **ინტერ-პრესი**

## მოკლედ

### გაზი იქნება

რაც შეეხება გაზმომარაგების საკითხს, როგორც "თბილგაზის" ახალი მენეჯერები, (ამხანაგობა "ახალი მენეჯმენტი") მიიჩნევენ, დედაქალაქში ამ მხრივ პრობლემა არ შეიქმნება. **"ჩვენ დედაქალაქის წინაშე აღებული გვაქვს ჩვენი ვალდებულებები და, მიმდინარე პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, მათ შესრულებას განვაგრძობთ,"** – განუცხადა "24 საათს" "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა ნოდარ გობიანიძემ. მისი თქმით, პოლიტიკური დაძაბულობა "თბილგაზს" თითქმის არ შეხებია. **"სულ ოდნავ, შეუმჩნევლად იკლო თანხების შემოდინებამ, მაგრამ ახლა უფრო მეტად მობილიზებულნი ვაგრძელებთ მუშაობას და ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი დარეგულირდება,"** – განაცხადა მან.

"ახალი მენეჯმენტი" დარწმუნებულია, რომ გაზის თანხების გადაუხდელობის გამო, დედაქალაქს გაზის მოწოდების შეწყვეტის საშიშროება არ ემუქრება. **"მართალია, გაზის საფასურის გადახდის ტემპები მაღალი არ არის, მაგრამ რა თანხებიც შემოდის, ჩვენ მაშინვე ვუხდით "გაზექსპორტს". გაზის შესაძენად შემოსული თანხები საკმარისი იქნება,"** – აცხადებენ "თბილგაზში".

ცნობისათვის, აცივების გამო, თბილისში გაზის მოხმარებამ იმატა და თვიურად 1 400 000 კუბურ მეტრს მიაღწია.

*24 საათი*

### პარიზის დისნეილენდი გაკოტრდა

პარიზის დისნეილენდი კლიენტებს კარგავს. პარიზის დისნეილენდში მაისში გახსნილმა პარკის მეორე ნაწილმა, რომელიც უოლტ დისნეის კინოპროდუქციას მიეძღვნა – იმედები არ გაამართლა.

დისნეილენდის მმართველი კომპანიის „ევრო დისნეს" ფინანსური დანაკარგები ორჯერ - 33- დან 56 მილიონამდე გაიზარდა. პარკის დამთვალიერებელთა რაოდენობა კი ხუთი პროცენტით შემცირდა.

როგორც მმართველი კომპანიის ხელმძღვანელობა ამბობს, ამაში დიდი როლი ითამაშა გლობალურმა მიზეზებმა: მსოფლიო ინდუსტრიაში და მთლიანად საფრანგეთში ტურიზმის შემცირებამ, რის გამოც "ევრო დისნეი" გაკოტრდა.

მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით, კრედიტორებმა კომპანიას, რომლის 39 პროცენტი ამერიკულ კინოსტუდიას ეკუთვნის და 17 პროცენტი კი არაბ მილიარდერს ალ ვალიდას, კრედიტების გადახდის ვადა გადაუვადეს. "ევრო დისნეიმ" კრედიტორ ბანკებთან ექვსთვიანი მორატორიუმი გააფორმა. მორატორიუმის ვადა მომავალი წლის მარტში იწურება. **მედია-ნიუსი**

### რუსეთის ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე ელის

რუსეთის ფინანსურ სტაბილურობას სერიოზული საფრთხე ელის. "კომერსანტის" ცნობით, ამის შესახებ განცხადება გააკეთა რუსეთის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ სერგეი კოლოტუხინმა. მისი თქმით, რუსეთი უნდა შეეჩვიოს აზრს, რომ იგი აღარ არის "დერჟავა" ეკონომიკური თვალსაზრისით.

ფინანსთა მინისტრის აზრით, რუსეთის სტრუქტურული ეკონომიკა გაცილებით სუსტია, ვიდრე ბრაზილიისა ან, თუნდაც, მექსიკის. ეს ჩამორჩენილობა, მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, გამოწვეულია იმით, რომ ქვეყნის ეკონომიკა დამოკიდებულია ენერგომატარებლების ექსპორტზე, ასევე არ არსებობს კონკურენცია და მონოპოლიზირებულია ეკონომიკა.

*24 საათი*

### ორი სიტყვით

**ხორვატია.** კვირას გამართული საპარლამენტო არჩევნების წინასწარი შედეგების თანახმად, "ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი" პარლამენტის 140 ადგილიდან, დაახლოებით, 72 მანდატს მოიპოვებს. ამ შემთხვევაში კი, მემარცხენე ცენტრისტულ ოპოზიციას 60-70 ადგილი შეხვდება. ამ დროისათვის ხმების მხოლოდ 50 პროცენტია დათვლილი, თუმცა დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ შედეგები ძირეულად აღარ შეიცვლება. როგორც ცნობილია, "ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის" სათავეში აწ განსვენებული პრეზიდენტი გენერალი ფრანიო ტუჯმანი იმყოფებოდა. ეს პარტია მემარჯვენე და ნაციონალისტური შეხედულებებით არის ცნობილი.

■ ■ ■

**ავღანეთი.** ამერიკულმა სამხედრო ვერტმფრენმა ქაბულთან მდებარე ბაგრამის აეროპორტის მახლობლად კატასტროფა განიცადა, რის შედეგადაც ხუთი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა და შვიდი მძიმედ დაშავდა.

"კატასტროფის მიზეზები უცნობია. მიმდინარეობს სამხედრო გამოძიება," - ნათქვამია ამერიკელების ცენტრალური სარდლობის ოფიციალურ განცხადებაში.

ბაგრამის აეროდრომზე ბაზირებული ამერიკული ვერტმფრენები და თვითმფრინავები მთებში განლაგებული "ტალიბების" და "ალ-ქაიდას" მებრძოლების წინააღმდეგ გამოიყენება.

ამჟამად, ამერიკელები და კოალიციის სხვა ნაწილები ნურისტანის და კუნარის რაიონებში ახორციელებენ ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციას, კოდური სახელწოდებით "გარდატეხა მთაში."

როგორც საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, გუშინ ჩამოვარდნილი ვერტმფრენი და მის ბორტზე მყოფი სამხედროები სწორედ ამ ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად მიფრინავდნენ.

■ ■ ■

**პაკისტანი.** პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა ქაშმირის ტერიტორიაზე ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ გააკეთა განცხადება, რითაც გამოხატა თავისი მთავრობის კეთილი ნება ინდოეთთან მიმართებაში.

პოსტზე ყოფნის ერთი წლის თავზე, პრემიერმა ზაფარულა ჯამალიმ, განაცხადა, რომ პაკისტანის სამხედრო ფორმირებები ქაშმირის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებს აღარ აწარმოებენ. მის თქმით, ინდოეთმა ამასთან დაკავშირებით ანალოგიური პოზიცია უნდა დაიკავოს, რაც ორ ქვეყანას შორის მშვიდობის ჩამოგდებას და ურთიერთობების გაუმჯობესების დაწყებას ხელს შეუწყობს.

ოფიციალური დელი ამასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, კომენტარს არ აკეთებს.

პაკისტანის და ინდოეთის სამხედრო ძალები ქაშმირის ტერიტორიაზე თითქმის ყოველდღიურად აწარმოებდნენ ლოკალურ ბრძოლებს იმ საკონტროლო ხაზთან, რომელიც ამ სადავო რეგიონს ორ ნაწილად ყოფს.

1947 წელს დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, ინდოეთსა და პაკისტანს შორის სამი სამხედრო კონფლიქტი მოხდა, რომელთაგან ორი სწორედ ქაშმირის სადავო ტერიტორიის გამო დაიწყო.

# ხანძარი საერთო საცხოვრებელში

გუშინ გამთენიისას მოსკოვის პატრის ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ძლიერი ხანძარი გაჩნდა, რამაც 32 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო 140-ზე მეტმა სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო.

როგორც ცნობილი გახდა, ხანძარი საერთო საცხოვრებელში მოსკოვის დროით ღამის სამ საათზე გაჩნდა. შენობა საკმაოდ ძველი იყო და ცეცხლი სწრაფად გავრცელდა. ცეცხლის ალში გაეხვია მეორე და მესამე სართული. საბოლოოდ, ხანძრის საერთო ფართობმა ათას კვადრატულ მეტრზე მეტი მოიცვა. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, უკანასკნელ წლებში მოსკოვში ასეთი მასშტაბური ხანძარი არ ყოფილა. როდესაც მეხანძრეთა რაზმი შემთხვევის ადგილზე მივიდა, შენობა უკვე თითქმის მთლიანად ცეცხლში იყო გახვეული.



REUTERS

ხანძარმა 32 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

დაღუპულთა გვამები ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ აღმოაჩინეს. როგორც გაირკვა, დაღუპულთა შორის უცხო ქვეყნების მოქალაქეებიც არიან. ისინი პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ.

ხანძრის ლოკალიზება დილით ხუთი საათისათვის მოხერხდა, ხოლო დილის ექვსი საათისათვის სტიქია, ფაქტობრივად, ლიკვიდირებული იყო. დაზარალებულთაგან, ზოგმა დამწვრობა მიიღო, ზოგი კი მოტეხილობებით აღმოჩნდა საავადმყოფოში. ისინი ფანჯრებიდან ხტებოდნენ. ხანძრის მიზეზი, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის.

პოლიციის განმარტებით, მიზეზების დადგენას რამდენიმე დღე მაინც დასჭირდება. გამომძიებლები რამდენიმე ვერსიას ამუშავებენ, მათ შორის არის ცეცხლის გამიზნულად წაკიდებაც.

# ჟაკ შირაკის ვიზიტი ლონდონში

გუშინ დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ჩავიდა. გუშინვე ის პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს შეხვდა. დამკვირვებელთა განცხადებით, ორი ქვეყნის ლიდერები იმ ურთიერთობის გაუმჯობესებას შეეცდებიან, რომელიც ერაყის ომის დაწყებამ მკვეთრად გააუარესა.

თავის პრეზიდენტს თან ახლავან საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟან პიერ რაფარენი და მინისტრთა კაბინეტის ზოგიერთი წევრი.

რასაკვირველია, მხარეთა მოლაპარაკების მთავარი თემა კვლავ ერაყში არსებული ვითარება და ევროკავშირის გაფართოების საკითხები იქნება. ლიდერები ასევე შეეხებიან ისეთ საკითხებს, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი და მისი დარეგულირების გზები და საერთაშორისო ტერორიზმი, რომლის ბოლო გამოძახილიც სტამბოლში დიდი ბრიტანეთის საკონსულოს აფეთქება იყო.

დამკვირვებლები აცხადებენ, რომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ეს წელი საფრანგეთ-დიდი ბრიტანეთის ურთიერთობებში ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული იყო. როგორც ცნობილია, საფრანგეთი სადამის რეჟიმის წინააღმდეგ ომს მხარს არ უჭერდა და ამჟამადაც უარს აცხადებს, გაიღოს დიდი ფინანსური დახმარება ერაყის ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის. მოსალოდნელია, რომ ტონი ბლერთან შეხვედრის დროს, ჟაკ შირაკი პრინციპულად დააყენებს ერაყში ხელისუფლების ერაყელებისათვის რაც შეიძლება მოკლე ვადებში გადაცემის საკითხს.

ერაყის გარდა, როგორც აღვნიშნეთ, მხარეები ევროკავშირის გაფართოების, ევროკავშირის სამხედრო დოქტრინის და კონსტიტუციის საკითხებსაც განიხილავენ. ასევე განხილული იქნება, გერმანიისა და საფრანგეთის ერთიანი პოზიცია, ევროკავშირში დომინანტი როლის შესრულების შესახებ.

თუკი, ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებში მხარეთა პოზიციები კვლავაც განსხვავებულია, დამკვირვებლები გამოყოფენ იმ თემებს, სადაც ლონდონის და პარიზის ინტერესების თანხვედრა ხდება. კერძოდ, ტონი ბლერის და ჟაკ შირაკის შეხედულებები ირანის საკითხში აბსოლუტურად თანხვდება ერთამენთს. ლონდონის და პარიზის მესვეურები არცთუ იშვიათად აცხადებდნენ, რომ ისინი მზად არიან, თეირანის ბირთვულ პოლიტიკას ერთობლივად დაუპირისპირდნენ.

თუმცა, საფრანგეთსა და ბრიტანეთს განსხვავებული პოზიციები უფრო მეტი აქვთ, ვიდრე თანმხვედრი ინტერესები. საფრანგეთის პოლიტიკური და ეკონომიკური წრეები კარგა ხანია მიიჩნევენ, რომ ტონი ბლერის დროს ბრიტანეთში "ამერიკომანია" გაძლიერდა, რაც ევროპის საქმეებში აშშ-ს აქტიურ ჩარევას უწყობს ხელს. ამისათვის ფრანგული წრეები დაუნინგ-სტრიტის მეთაურს საკმაოდ მკვეთრად აკრიტიკებენ. **"ეს გასაკვირია, რადგანაც დღეს ბრიტანეთი ბუშის ადმინისტრაციისაგან საკმაოდ მცირე სარგებელს ღებულობს იმასთან შედარებით, ვიდრე ეს ბრიტანეთს წინა ადმინისტრაციისაგან ჰქონდა,"** - აცხადებს ფრანგულენოვანი პოპულარული გაზეთის "მონდის" ჟურნალისტი პატრის დე ბერი.

ყოველივე ამის მიუხედავად, პარიზი და ლონდონი ცდილობენ, ერთმანეთში უფრო მეტი საერთო გამონახონ, ვიდრე განსხვავება. ჟაკ შირაკის ვიზიტი ლონდონში ამის უდავო დადასტურებაა.



REUTERS

ქვეყნის ლიდერები იმ ურთიერთობის გაუმჯობესებას შეეცდებიან, რომელიც ერაყის ომის დაწყებამ გააუარესა.




### რეაქცია

## გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, იოშკა ფიშერის განცხადება

ფედერალური მთავრობა მიესალმება საქართველოში შექმნილი შიდაპოლიტიკური კრიზისის მშვიდობიან გადაწყვეტას. პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომამ შექმნა ახალი დასაწყისის წინაპირობები. მრავალი წლის მანძილზე საქართველოს სათავეში მყოფმა სახელმწიფოს მეთაურმა ამ მართებული და პასუხისმგებლობით აღსავსე ნაბიჯით დაიცვა ქვეყანა შემდგომი განხეთქილების, ძალადობისა და სისხლისღვრისაგან და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის სტაბილურობის საქმეში.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რომ საქართველოს ყველა მოქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე და მათ საკეთილდღეოდ, სასწრაფოდ მოიძებნოს კრიზისიდან დემოკრატიული და კონსტიტუციური გამოსავალი.

დაუყოვნებლივ უნდა დასრულდეს შიდაპოლიტიკური დაძაბულობა და არასტაბილურობა. უნდა ამოიწუროს ბოლო საპარლამენტო არჩევნების დროს დარღვევების შედეგად წარმოქმნილი დემოკრატიის დეფიციტი. გამოცხადებული ხელახალი არჩევნები გამოყენებული უნდა იქნას ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიმართ მოსახლეობის რწმენის აღსადგენად. აქედან გამომდინარე, არჩევნები უნდა შეესაბამებოდეს ეუთო-ს მიერ დადგენილ ნორმებს; არჩევნები უნდა ჩატარდეს სამართლიანად და თავისუფლად.

არსებულ ვითარებაში ფედერალური ხელისუფლება, ეყრდნობა რა საქართველოსთან ტრადიციულ განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობებს, ყოველნაირად დაეხმარება საქართველოს. იგი მზად არის, ეს ნდობით აღსავსე ურთიერთობები საქართველოს მომავალ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთანაც გააგრძელოს.

## ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის განცხადება

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შემდეგ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა პიტერ შიდერმა იმედი გამოთქვა, რომ ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს პოლიტიკური კრიზისის მშვიდობიან გადაწყვეტას.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურმა კრიზისმა ძალადობის გარეშე ჩაიაროს და შეიარაღებული ძალები პოლიტიკურ პროცესებში არ ჩაერიონ, – დასძინა მან. შიდერმა შეაქო ორივე მხარე გამოჩენილი თავშეკავებისათვის და აღნიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დადებითი როლი.

მან იმედი გამოთქვა, რომ ახალი არჩევნები შესაფერის დროში დაინიშნება. შიდერმა განაცხადა, რომ საპარლამენტო ასამბლეა მზადაა, დაეხმაროს მთავრობას არჩევნების მომზადებაში, ორგანიზებასა და ზედამხედველობაში. არჩევნები კონსტიტუციისა და ევროპული დემოკრატიული სტანდარტების სრული დაცვით უნდა გაიმართოს და ქართველი ხალხის ნება უნდა ასახოს.

## აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება

შეერთებული შტატები მხარს უჭერს დემოკრატიული საქართველოს სტაბილურობასა და სუვერენიტეტს და მოწოდებულია, ქართველ ხალხს კრიზისიდან გამოსვლაში დაეხმაროს.

ქართველმა ხალხმა მოისმინა მიხეილ სააკაშვილისა და ოპოზიციის სხვა ლიდერების მოწოდება, ქართულ პოლიტიკაში ახალი ფურცლის გადაშლის შესახებ.

ჩვენ ვაპირებთ ვითანამშრომლოთ დროებით პრეზიდენტ ბურჯანაძესთან, რომელიც ცდილობს, შეინარჩუნოს ქართული დემოკრატიის ურღვევობა და მთავრობის ცვლილების კონსტიტუციური ხასიათი. შეერთებული შტატები და საერთაშორისო თანამეგობრობა მზადაა, დაეხმაროს საქართველოს ახალ მთავრობას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებაში, კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად.

სახელმწიფო მდივანმა დაურეკა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ბურჯანაძეს, აღუთქვა მხარდაჭერა და მასა და მის კოლეგებს კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედებისაკენ მოუწოდა.

ჩვენ გვესმის, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ რთული გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ეს იყო ქართველი ხალხის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება. პრეზიდენტი შევარდნაძე აშშ-ს ახლო მეგობარი და საქართველოს ისტორიაში გამორჩეული ფიგურაა. ჩვენ, სამ ათეულ წელზე მეტია, ვთანამშრომლობთ მასთან სხვადასხვა გლობალურ საკითხებში.

პრეზიდენტ შევარდნაძის დამსახურებაა, რომ საქართველომ თავი დააღწია სამოქალაქო ომსა და საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეულ წევრად იქცა.

დიდია მისი წვლილი იმაში, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის მილიონობით მცხოვრებს დღეს საშუალება აქვთ, თავისუფლად იშრომონ თავიანთი ოცნებების განსახორციელებლად.

სახელმწიფო მდივანი ელაპარაკა პრეზიდენტ შევარდნაძესაც და მადლობა გადაუხადა იმ როლისათვის, რომელიც მან კრიზისის მშვიდობიან გადაჭრაში შეასრულა.

ჩვენ კვლავაც მოვუწოდებთ ყველა ქართველს, რომ ერთად, ძალადობის გარეშე მოძებნონ გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან.

## ვლადიმირ პუტინის განცხადება

არაფერი მოულოდნელი საქართველოში განვითარებულ მოვლენებში არ ყოფილა. ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა ხელისუფლების მიერ საშინაო, საგარეო და ეკონომიკურ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების კანონზომიერი შედეგია.

საგარეო პოლიტიკა ტარდებოდა ქართველი ხალხის ღრმა კულტურული და ისტორიული კავშირების, გეოპოლიტიკური რეალიების გაუთვალისწინებლად. საშინაო პოლიტიკაში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სახელმწიფოებრიობის საფუძვლების განმტკიცების ნაცვლად ხდებოდა მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების ინტერესების უსუსური ლობირება. ეკონომიკური პოლიტიკა კი სხვა არაფერი იყო, თუ არა უცხოეთიდან დახმარების მიღების განუწყვეტელი დამამცირებელი მცდელობა. საქართველოს საგარეო ვალმა 2 მილიარდი დოლარი შეადგინა და სახელმწიფო, ფაქტობრივად, დეფოლტის მდგომარეობაში იმყოფება.

ბოლო წლებში საქართველო დატოვა 1 მილიონზე მეტმა ადამიანმა. მათი დიდი ნაწილი რუსეთში დასახლდა. ქართველი სპეციალისტების მონაცემებით, რუსეთში მყოფი ქართველები სამშობლოში წლიურად 2 მილიარდამდე დოლარს გზავნიან, რაც ბევრად აღემატება ამ ქვეყნისათვის აღმოჩენილი უცხოური დახმარების საერთო რაოდენობას. და, რასაკვირველია, ჩვენ ვიცით მოსახლეობის მძიმე მდგომარეობის შესახებ. ვფიქრობ, პრობლემა მდგომარეობს არა იმაში, რომ ადამიანები ცუდად ცხოვრობენ, არამედ იმაში, ისინი ამ გრძელი გვირაბის ბოლოს სინათლეს ვეღარ ხედავენ. კორუფცია სულ უფრო მეტად თრგუნავს ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ცხოვრებას.

ბოლო წლების მანძილზე საქართველო-რუსეთის ურთიერთობები საკმაოდ რთულად განვითარდა: ჩვენ ბევრი პრეტენზია გვქონდა ერთმანეთის მიმართ. ჩვენ საკმარისად დაგვიგროვდა შეკითხვები საქართველოს ყოფილ ხელმძღვანელობასთან. მაგრამ, ერთი რამ აშკარაა და ამას ხაზი მინდა გავუსვა: შევარდნაძე არასოდეს ყოფილა დიქტატორი. ამიტომ, ჩვენს კანონიერ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლა მოხდა ძალისმიერი ზეწოლის ფონზე. ის, ვინც ასეთ აქციებს ატარებს, ის, ვინც მათ უკან დგას, საკუთარ თავზე უზარმაზარ პასუხისმგებლობას იღებს ხალხის წინაშე. ამ შემთხვევაში – ქართველი ხალხის წინაშე, ხალხისა, რომელთანაც რუსეთს მრავალსაუკუნოვანი, ტრადიციული ძმური ურთიერთობები აკავშირებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მომავალი, კანონიერად არჩეული ხელისუფლება გააკეთებს ყველაფერს მეგობრობის ამ ტრადიციების აღსადგენად. ჩვენთვის, ჩვენი საგარეო პოლიტიკის საქართველოს მიმართულებაში სხვა მიზანი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

## საქართველო: არჩევნების გამყალბებელთა საფრთხობელა

უკრაინის ოპოზიციური პარტიების განცხადებით, ის, რაც საქართველოში მოხდა, გაკვეთილი უნდა იყოს პრეზიდენტ კუჩმასათვის, რათა მან გულშიც არ გაივლოს 2004 წელს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბება.

იულია ტიმოშჩენკოს ბლოკის განცხადებით, უკრაინის ოპოზიციური პარტიები აპირებენ უზრუნველყონ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება. მათი თქმით, "საქართველოს მოვლენები სერიოზული გაფრთხილება იქნება ხელისუფლებისათვის, რათა იგი არ შეეცადოს არჩევნების ტოტალურ ფალსიფიკაციას".

ოპოზიციის მეორე ლიდერის, იუშენკოს პარტიამ კი მოუწოდა პრეზიდენტ კუჩმას, "გამოიტანოს დასკვნები საქართველოს მოვლენებიდან და უკრაინელ ხალხს თავისი კონსტიტუციური უფლების რეალიზაციისა და სახელმწიფოს მეთაურის არჩევის უფლება მისცეს".

ოპოზიციური სოციალისტური პარტიის მეთაურის ალექსანდრ მოროზის განცხადებით, უკრაინაში მოვლენების ქართული სცენარით განვითარება შესაძლებელია, თუ კიევი ისეთივე პროვოკაციებს მოაწყობს, როგორც თბილისმა გააკეთა.

აი, პარლამენტის სპიკერი ვლადიმირ ლიტვინი კი, რომელიც პრეზიდენტის უახლოესი თანამებრძოლია, გამორიცხავს მოვლენების ქართული სცენარით განვითარებას. მისი თქმით, საქართველოს მოვლენები სიგნალია უკრაინის პოლიტიკური ძალებისათვის, რომლებიც მტრების ძებნით კი არ უნდა იყვნენ დაკავებული, არამედ ერთად უნდა იღწვოდნენ საერთო პრობლემების გადასაჭრელად.

## ჯერჯერობით, თბილისელ მოსწავლეებს იმედი თუ გაათბობს

*ქალაქის მერია სკოლების შენობების დათბობას მოსწავლეებს ჯერ კიდევ 15 ნოემბრიდან შეპირდა, მაგრამ სუსხიანი ნოემბრის გატარება მათ, ალბათ, დაუმთბარ კედლებში მოუწევთ. “ოპოზიცია გაიმარჯვებს და მალე ბევრი რამე შეიცვლება. ჩვენი ბიუჯეტებიც შეივსება,” – ჯერ კიდევ მიტინგების დასაწყისში პარლამენტის შენობის წინ მდგარი მერვეკლასელი ბიჭების ნათქვამი გამახსენდა. ამ მოზარდებს, სავსებიუჯეტიანი საქართველოს მოლოდინში, სკოლის გაყინული კედლები, ალბათ, უკვე უფრო ასატანი ეჩვენებათ.*

ნანა ქადაგიშვილი

**“მართალია, ჯერ არც მერიის შესაბამისი დადგენილება გამოცემულა და არც თანხა გადმორიცხულა ბიუჯეტიდან, მაგრამ საწვავის შემოტანაზე ტენდერი უკვე გამოვაცხადეთ. იგი 12 ნოემბერს დასრულდება და საწვავის შემოტანა გამარჯვებული ფირმების გამოვლენისთანავე დაიწყება. უფულობა კი საწვავის შემოტანას ვერ შეაფერხებს. ყოველ წელს ასეა, ტენდერში მონაწილე კომპანიებს წინასწარ ვაფრთხილებთ, რომ ფულს ნელ-ნელა, დაგვიანებით გადავუხდით. ჯერჯერობით, არც ერთი კომპანია არ მოგვიტყუებია და შესრულებულ სამუშაოს დაგვიანებით, მაგრამ სრულად ვუნაზღაურებთ. თუკი რომელიმე სკოლაში პრობლემა მაინც იქმნება, მხოლოდ იმიტომ, რომ სკოლის ხელმძღვანელობა ჩვენს მიერ შეტანილ საწვავს სახელმწიფო სკოლის შენობაში გახსნილ კერძო სექტორსაც უნაწილებს,”** – განგვიცხადა ქალაქის განათლების მეურნეობის სამსახურის უფროსის მოადგილემ ზურაბ ქოჩიაშვილმა ნოემბრის დასაწყისში, მაგრამ პირობა ვერ შეასრულა. **“ეს ჩვენი ბრალი არ არის, რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ, საწვავის შემოტანაზე გამოვაცხადეთ ტენდერი, რომელშიც ფირმა “მობილმა” გაიმარჯვა, მაგრამ მან უფულოდ მოვალეობის შესრულებაზე უარი განგვიცხადა. ბიუჯეტში კი ჯერ თანხა არ არის. მართალია, საწვავის შემომტან ფირმებს ფულს ყოველთვის დაგვიანებით ვაძლევდით, მაგრამ წელს, ალბათ, არეულობამ შეაშინა, რა ვიცით რა მოხდება, ეგებ, ფული საერთოდ არ მოგვცენო. თუმცა, “მობილთან” მოლაპარაკებას ვაგრძელებთ და ახლა, როცა სიტუაცია მოწესრიგდა, შეიძლება, გადაწყვეტილება შეცვალონ,”** – აცხადებს ქოჩიაშვილი.

ქალაქის ბიუჯეტიდან შესაბამისი საწვავით 417 სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება მარაგდება (187 სკოლა, 204 საბავშვო ბაღი და დანარჩენი მიუსაფარ ბავშვთა სახლები). აქედან 152 შენობა ინდივიდუალური საქვაბით თბება, დანარჩენი – ელექტროენერგიით, შეშითა და ნავთით. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა წელს 1500 ტონა დიზელის საწვავი, 100 ტონა ნახშირი, 300 ტონა ნავთი, შეშა და შუშა უნდა შემოიტანონ. ამისთვის მთლიანად ორი მილიონი ლარია საჭირო. მერიას კი ჯერ საწვავის შემომტანი კომპანიების შარშანდელი ვალიც არ გაუსტუმრებია.

## „კმარამ“ კვლავ შეუტია მეტრეველს

გუშინ “კმარას” აქტივისტებმა უნივერსიტეტის რექტორს როინ მეტრეველს თავისივე კაბინეტში გადადგომა მოსთხოვეს. **“როინ მეტრეველი დანიშნული რექტორია, იგი სტუდენტებს არ აურჩევიათ. აქამდე მას ზურგს ედუარდ შევარდნაძე უმაგრებდა, მაგრამ ახლა თუკი გონივრულად არ მოიქცევა, მასაც ყოფილი პრეზიდენტის ბედი მოელის. როინ მეტრეველს დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ დღეს განათლების სისტემა ნულამდეა დაყვანილი და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დაუსაქმებელია. ასეთი რექტორი სახელმწიფო უნივერსიტეტს არ სჭირდება,”** – აცხადებენ “კმარას” წევრები.

როინ მეტრეველი გადადგომას არ აპირებს. იგი აცხადებს, რომ სტუდენტთა საბჭომ აირჩია და მისი დანიშვნა-გადადგომა საბჭოს გადასაწყვეტია და არა “კმარასი”, მაგრამ “კმარა” უკან არ იხევს და შარშან სასამართლოებში დაწყებული საქმის დასრულებას აპირებს. **“როინ მეტრეველი ამბობს, ჩემს გადაყენებას სტუდენტებს ვინ კითხავსო, მაგრამ ნახავს, რომ კითხავს, კარს ავუჭედავთ და ყოფილ პრეზიდენტზე უარესს დავმართებთ,”** – იმუქრება “კმარას” ცნობილი აქტივისტი თეა თუთბერიძე.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის მერი ვანო ზოდელავა ახალ საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად ქალაქის მერის არჩევნების ჩატარებას მოითხოვს, თუმცა მანამდე ჩვეულ რეჟიმში მუშაობას გააგრძელებს. "მერია დედაქალაქის სასიცოცხლო ორგანოა და იგი ყოველთვის ხალხის სამსახურში იქნება," - აცხადებს იგი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა გუშინ დილიდან ცენტრალური ქუჩების დასუფთავება დაიწყო. მუშაობენ ასევე გამწვანების სამსახურის მუშაკები, რომლებსაც წესრიგში მოჰყავთ გაზონები, რომელიც საპროტესტო გამოსვლებისას სერიოზულად დაზიანდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისის 204 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლა განახლდა, თუმცა, მოსწავლეთა რაოდენობა კვლავ არასრულია. მთაწმინდა-კრწანისისა და ვაკე-საბურთალოს რაიონის სკოლებში გამოცხადდა მოსწავლეთა, დაახლოებით, 60 პროცენტი, ხოლო გარეუბნებში მოსწავლეთა დასწრება 80 პროცენტამდეა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კრიზისული დახმარების ცენტრი ფართოვდება - დიდუბე-ჩუღურეთისა და ვაკე-საბურთალოს რაიონებში მისი ორგანიზაციები ყალიბდება. ცენტრის ფუნქცია ობოლი, ნახევრად ობოლი, მეურვეობის გარეშე დარჩენილი, მარტოხელა დედებისა და სიღატაკის ზღვარზე მყოფი ოჯახის ბავშვების დახმარებაა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის 14 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი თბილისის 67-ე საშუალო სკოლის პედაგოგებისთვის წვრთნას ჩაატარებს. ბავშვთა უფლებების დარღვევის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ ამ სკოლაში დაფიქსირდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2003 წლის ბოლოს ჩინეთი აპირებს ატიპური პნევმონიის ვაქცინა ადამიანებზე გამოცადონ. მეცნიერები ცდილობენ გადაამოწმონ, რამდენად ეფექტიანი იქნება ვაქცინა ვირუსული დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში და ექნება თუ არა შესაძლო უკუჩვენება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროკომისია საქართველოს 22 მლნ. ევროს ოდენობის ჰუმანიტარულ დახმარებას გამოუყოფს. როგორც ორშაბათს ევროკომისიის პრეს-სამსახურმა განაცხადა, ეს თანხა აფხაზეთში და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებთა და ადგილნაცვალ პირთა სურსათით უზრუნველყოფას მოხმარდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია, თავის მოადგილესთან - ბადრი მეტრეველთან ერთად, დღეს გაემგზავრება გერმანიაში, სადაც შეუერთდება გუშინწინ ჩასულ ქართველ მოსამართლეთა დელეგაციას.

23 ნოემბერს გერმანიაში გაემგზავრნენ: ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა მამალაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ავთანდილ აბაშიძე და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე მერაბ ახობაძე. ქართულ დელეგაციას დაგეგმილი აქვს შეხვედრები მიუნხენში, ლაიფციგსა და ბერლინში. შეხვედრებზე განიხილება მომავალი ურთიერთთანამშრომლობის საკითხები. **მედია-ნიუსი**

# „კმარა გამარჯვებით ტკბობა!“

სიტყვები ითქვა, ახლა საქმის დროა

მაკა ჭაიანი

*დაუმორჩილებლობის კომიტეტი, რომელიც აქტიურად ამზადებდა საზოგადოებას “ვარდების რევოლუციისთვის”, დროებითი ხელისუფლებისადმი მიმართვას ამზადებს. მიმართვის ტექსტის განხილვა გუშინ ეროვნულ ბიბლიოთეკაში შედგა. კომიტეტის წევრები მიიჩნევენ, რომ 2003 წლის ისტორიული გიორგობით საქმის კეთება ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ დაიწყო. ქართველებისთვის კარგად ნაცნობი შეძახილი “კმარა” ამიერიდან ახალ შინაარსს იძენს. “კმარა გამარჯვებით ტკბობა!” – ასეთი გახლავთ ახალი ლოზუნგი. მის შინაარსზე ეროვნულ ბიბლიოთეკაში ემოციურად საუბრობდნენ.*



*“ჩვენ ვებრძოდით სისტემას და ამ სისტემის დემონტაჟიც ასეთივე ხავერდოვანი უნდა იყოს.”*

გიგა ბოკერია, “თავისუფლების ინსტიტუტი”: **“ჩვენ არ გვიბრძოლია კონკრეტული გვარებისა და კონკრეტული სახელების წინააღმდეგ. ჩვენ ვებრძოდით სისტემას და ამ სისტემის დემონტაჟიც ასეთივე ხავერდოვანი უნდა იყოს. უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც კანონი დაარღვია სახელმწიფოში, მაგრამ ჩვენ პირადად დავდგებით იმის სადარაჯოზე, რომ მოვლენებმა ვინმეზე პირადი ანგარიშსწორების სახე არ მიიღოს. არავის შეექმნეს ილუზია, თითქოს რევოლუციურ კომიტეტს ვაყალიბებთ. ჩვენ მომავალშიც ძველებურად აქტიურები ვიქნებით. პირველ ყოვლისა კი იმას ვადევნებთ თვალყურს, რომ საქართველოში კანონიერი, დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს, ვაჩვენოთ მსოფლიოს – ასეთი რამ შეგვიძლია.”**

დავით ტურაშვილი, მწერალი: **“დიდი მადლობა ყველას, ვინც საქართველოს ეს მზიანი დღე შევარდნაძის გარეშე გაუთენა. ჩვენ გაგვიმეტეს სამოქალაქო ომისთვის, დახვრეტისთვის, მაგრამ უკანონო რისხვისგან მე იმ ხალხსაც დავიცავ, ვინც ეს გააკეთა. ამის მაგალითი ამ ორი დღის წინათ გიგა ბოკერიამ მოგვცა, როცა თვითონ იცავდა “აღორძინების” ოფისს. მაგრამ ის, ვისაც მომწამვლელი გაზი - CS შემოჰქონდა თბილისში, რომელიც 9 აპრილს გამოიყენეს, უნდა გასამართლდეს. ეს ახალმა ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს. თუ არ გააკეთა, თუ კანონი არ დაიცვა, ჩვენ ქუჩაში მის წინააღმდეგაც გამოვალთ. აუცილებლად გამოვალთ, რადგან თანამდებობისთვის არც ერთს არ გვიბძოლია.”**

თინა ხიდაშელი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი: **“მე ვგრძნობ უდიდეს პასუხისმგებლობას იმის გამო, რისი მონაწილეც ვიყავი. ჩემთვის ისევე აღმაშფოთებელი იქნება საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის ცემა და შეურაცხყოფა, როგორი აღმაშფოთებელიც იყო ის, რაც დავით ბერძენიშვილს გაუკეთეს. ჩვენ უნდა დავიცვათ ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და აუცილებლად უნდა ვიბრძოლოთ ახალგაზრდა იურისტის გიორგი მშვენიერაძის გათავისუფლებისთვის, რომელსაც, ჩოლოქის ჩაკეტვის შემდეგ, გაცილებით მეტი საშიშროება დაემუქრა.”**

ლევან რამიშვილი, “თავისუფლების ინსტიტუტი”: **“პრეცედენტს, რომ არჩევნების გაყალბებას ხელისუფლების გადაყენება მოჰყვა, უნდა მოჰყვეს მეორე პრეცედენტიც – არჩევნების გამყალბებელი, კანონის დამრღვევი უნდა დაისაჯოს. ამ გამარჯვების გამო თვითკმაყოფილებას არ უნდა მივცეთ. პირიქით, ფხიზლად უნდა ვიყოთ და ზეწოლა განვახორციელოთ ხელისუფლებაზე, რომ რეფორმები გაგრძელდეს.”**

დავით ზურაბიშვილი, მწერალი: **"გვახსოვდეს, რომ ეს არ იყო პერსონალიების ცვლისთვის მომხდარი რევოლუცია. სისტემა უნდა შეიცვალოს. უნდა შეიცვალონ ის “პატარა შევარდნაძეები”, რომლებიც ძველმა ხელისუფლებამ ბლომად დატოვა.”**

კახა ლომაია, ფონდ “ღია საზოგადოება - საქართველოს” აღმასრულებელი დირექტორი: **"ამ მოძრაობას, გარდა პოლიტიკურისა, აქვს სამოქალაქო კომპონენტი. ახლა სამოქალაქო კონტროლის გაძლიერებაა საჭირო, იმისთვის, რომ პოლიტიკურ მონოპოლიას არ შეექმნას საფუძველი. ნუ მივეცემით გამარჯვებით ტკბობას. იმდენი დრო ვიარეთ არასწორი მიმართულებით, დასაკარგი დრო აღარა გვაქვს. ყოველი დღე ძვირფასია. ჩვენ ძალზე სერიოზულად ვართ განწყობილნი და გვინდა ვუთხრათ ასლან აბაშიძეს - მისი, როგორც პოლიტიკური მოღვაწის დღეები დათვლილია. ჩვენ არ გვინდა სისხლისღვრა. სისხლისღვრა არც იქნება, რადგან აჭარა დღეს აღარ არის ისეთი, როგორიც 21 ნოემბერს იყო. ნავიდეთ თვითონ. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ახლა მიცვალებულის ლოყაზე ამოსულ წვერს ჰგავს. ასეთი წვერიც იპარსება. ქართველებმა ნათლად აჩვენეს ყველა მომავალ ხელისუფლებას, რომ მიიღებენ მხოლოდ პარტნიორულ მმართველობას და არ მოითმენენ წურბელებს საკუთარ კისერზე. საოცარი გამოხმაურება აქვს საერთაშორისო მედიას ჩვენს მოვლენებზე. ამერიკული პრესა საუბრობს, რომ ჩვენ დემოკრატიის მაგალითი მივეცით მას; მალაიზიელი მეცნიერი წერდა, საქართველომ გვიჩვენა, რომ ახალი სამოქალაქო ერა დგება მსოფლიოშიო. სიტყვები ითქვა, ახლა საქმის დროა.“**

განსაკუთრებული მადლობის სიტყვები გაისმა “რუსთავი 2”-ის მისამართით: **“დიდი მადლობა “რუსთავი 2”-ს. თქვენი თანადგომა ძალზე მნიშვნელოვანი იყო. თქვენს გარეშე, შეიძლება, ახლა დახვრეტილებიც ვყოფილიყავით”; “რუსთავი 2-ის გარეშე ჩვენ ვემსგავსებოდით ადამიანს, რომელსაც ხმა არა აქვს”; “რუსთავი 2”-ის წვლილი უდიდესი იყო “ვარდების რევოლუციაში”...** ამ ფონზე საინტერესოდ ჟღერდა სამაუწყებლო ტელეკომპანია “რუსთავი 2”-ის გენერალური დირექტორის, ერიკ კინწმარიშვილის განცხადება:

**“მადლობა, უპირველეს ყოვლისა, ხალხს, თქვენ, ჩემს ჟურნალისტებს. “რუსთავი 2”-ს ეჭირა ერთი, გამოკვეთილი პოზიცია და ამით ჩვენ ყველამ მხოლოდ მოვიგეთ. ისეთი ხარისხის იყო “რუსთავი 2”-ის როლი ამ მოვლენებში, რომ ხალხს კითხვები გაუჩნდა. ამიტომ, დღევანდელი შეხვედრის ინიციატორები ჩვენც ვიყავით. “რუსთავი 2”-ის დამფუძნებლების სახელით ხაზგასმით მინდა ვთქვა - ჩვენ არ ვაპირებთ არანაირი თანამდებობის დაკავებას ხელისუფლებაში, რომ ტელეკომპანიის დამოუკიდებლობის ხარისხი არ დაიკარგოს. თუ ახალი ხელისუფლება არ დადგება ხალხის გვერდით, მასაც იგივე დღეში ჩავაგდებთ, როგორშიც წასული ხელისუფლება ჩავაგდეთ. აუცილებელია ამ ხელისუფლებამ ორი რამ გაითვალისწინოს: არ უნდა განხორციელდეს არავითარი პოლიტიკური დევნა ვისიმე მიმართ - დევნა უნდა იყოს მხოლოდ სამართლებრივი. გარდა ამისა, კატეგორიულად გაფრთხილებთ დროებით ხელისუფლებას, [illegible] ისე რომ, მსოფლიოსთვის ესეც სამაგალითო გახდეს.”**

ზღვარზე

# ყველა პრობლემის თავიდათავი მწირი ბიუჯეტია

ნაწილი პირველი

სოფიკო ოხანაშვილი

*ის, რომ ჯანდაცვის სფეროში მოსახლეობის საჭიროებებსა და სახელმწიფოს მხრიდან ამ საჭიროებების დაფინანსების შესაძლებლობებს შორის დიდი დისბალანსი არსებობს, უკვე დიდი ხანია ახალი ამბავი არ არის. ამის თავიდათავი კი ის გახლავთ, რომ სახელმწიფო ეკონომიკურად სუსტია, შესაბამისად, სუსტია მისი ბიუჯეტი, საიდანაც ჯანდაცვის დაფინანსებაზე ძალიან მწირი თანხები იხარჯება. ქვეყანაში, სადაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მოსახლეობის პირველადი საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფა, ჯანდაცვის სფერო უკანა პლანზეა გადასროლილი.*

**“ყველა პრობლემის თავიდათავი, რაც კი დღეს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსებაში არსებობს, მწირი დაფინანსებაა,”** – ასეთია ჯანდაცვის დაფინანსების სფეროში არსებული მდგომარეობის მოკლე შეფასება. დაფინანსება კი მართლაც მწირია.

მიმდინარე წელს სახელმწიფოს ერთ სულ მოსახლეზე ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მხოლოდ 12 დოლარის ეკვივალენტის დახარჯვა დაგეგმა. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მხრიდან ერთ სულ მოსახლეზე ჯანმრთელობის დაცვისთვის განსაზღვრული თანხის მოცულობა სამიდან ოთხი ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს. სტატისტიკური მონაცემებით, სახელმწიფოს მიერ ერთ სულ მოსახლეზე ჯანდაცვის სფეროში დახარჯული თანხების მოცულობის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში ბოლოდან მესამე ადგილზეა. **“ყველა დანარჩენი პრობლემა, სწორედ იქიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე ჯანდაცვის სფეროში მხოლოდ 12 დოლარს ხარჯავს,”** - აცხადებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ვასილ ჭეიშვილი.

ჯანდაცვის სფეროს მწირ დაფინანსებაზე, როგორც სხვა დანარჩენი პრობლემის გამომწვევ მიზეზზე საუბრობს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე ნატა ყაზახაშვილიც. თუმცა, იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ გასულ წლებთან შედარებით ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსება წელს უკეთესად წარიმართა. ოფიციალური მონაცემები არ იძლევა ასეთი ოპტიმისტური დასკვნების გაკეთების საშუალებას. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წელს, ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსების კუთხით, სახელმწიფოს უკვე 100 მილიონი დოლარის დავალიანება დაუგროვდა. ჯანდაცვის პროგრამების დაფინასებაში არსებულ პრობლემებს ფინანსთა სამინისტროც აღიარებს, რასაც ქვეყანაში არსებული მძიმე საბიუჯეტო კრიზისითა და შემოსავლების არამობილიზებულობით ხსნის.

არასრულყოფილი საგადასახადო და საბიუჯეტო სისტემის პირობებში, თანხები დანიშნულების ადგილამდე ჩამორჩენით და წყვეტილად მიდის, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს მწირი დაფინანსების პრობლემას. წლის დასაწყისში დაგეგმილი 12 დოლარი უკვე 8-10 დოლარის ფარგლებს შორის მერყეობს. **“რაც დამტკიცებული გვაქვს, იმის დაფინანსება, ბოლომდე შესრულებაც არ ხდება, არის წყვეტილი დაფინანსება, არის ჩავარდნები და ეს უკვე არსებულ პრობლემას კიდევ უფრო მეტად ართულებს”,** - აცხადებს ჭეიშვილი. იმავეს აცხადებს ყაზახაშვილიც. მისი თქმით, წყვეტილი დაფინანსება ყველაზე უარყოფითად სამედიცინო დაწესებულებებზე აისახება, რადგან, დაგვიანებით და წყვეტილად მიღებული დაფინანსების შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულებებს უგროვდებათ დავალიანება იმ კონტრაქტორების მიმართ, რომლებიც ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვადასხვა სამედიცინო მასალებს აწვდიან. დავალიანებების დაგროვება კი უარყოფითად მოქმედებს მათ მომავალ ურთიერთობაზე.

ჯანდაცვის სფეროში მოსახლეობის საჭიროებებსა და სახელმწიფოს მხრიდან ამ საჭიროებების დაფინანსების შესაძლებლობებს შორის რომ რეალური დისბალანსი არსებობს, ძველი ამბავია. 12-დოლარიანი დაფინანსების პირობებში, ანუ მაშინ, როდესაც მხოლოდ ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან გაცხადებული ვალდებულებები, დღის წესრიგში დგება პრიორიტეტების განსაზღვრის აუცილებლობა. **“მივედით იმ დასკვნამდე, რომ მომხდარიყო ამ ზღვა საჭიროებებში პრიორიტეტების გამოყოფა, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებაზე იქნებოდა ორიენტირებული. მწვავე დეფიციტის პირობებში დგება მწვავე საჭიროებების დაფინანსების აუცილებლობა,”** - აცხადებს სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე.

ბუნებრივია, მცირე დაფინანსების პირობებში, სახელმწიფო მოსახლეობას მხოლოდ შეზღუდული დაავადებებისა და აქტივობების შეზღუდულ ჩამონათვალს სთავაზობს. უფრო მეტიც, ეს შეზღუდული ჩამონათვალიც არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული. ნატა ყაზახაშვილის თქმით, მოქალაქეს თუ ეცოდინება, რა მომსახურების პაკეტს მიიღებს გადახდილი გადასახადების სანაცვლოდ, აუცილებლად კეთილსინდისიერად გადაიხდის კუთვნილ გადასახადებს. **“ჩვენ ფიზიკური და იურიდიული პირები თუ არ ვიქნებით მოტივირებულნი რომ გადავიხადოთ გადასახადები, არასრდოს რა გვექნება ნორმალური ჯანდაცვის სისტემა,”** - ასკვნის ყაზახაშვილი. თუმცა, საინტერესოა, რომ, ჯანდაცვის სფეროში განსახორციელებელ საკანონმდებლო ცვილებებზე მუშაობისას, ჯანდაცვის მუშაკებსა და კანონმდებლებს რატომღაც “დაავიწყდათ” მომსახურების საბაზისო პაკეტის, ანუ მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახდების “სანაცვლოდ”, სახელმწიფო ვალდებულებების მკაფიოდ ჩამოყალიბება.

დღესდღეობით, მომსახურების საბაზისო პაკეტის მხოლოდ რაღაც ჩარჩოები არსებობს. ყაზახაშვილის განცხადებით, 2003 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო პროგრამები უკვე საბაზისო პაკეტის ტიპით არის გაწერილი. მიმდინარე წელს სახელმწიფო მოსახლეობას, გადასახადების სანაცვლოდ, ოთხ პროგრამას სთავაზობს: ამბულატორიული დახმარების, მოსახლეობის სტაციონალური დახმარების, მოსახლეობის სპეციფიური მედიკამენტებით უზრუნველყოფისა და შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური სამედიცინო დახმარების მხარდაჭერის პროგრამებს. 12 დოლარის ფარგლებში ფინანსდება პირველადი ჯანდაცვის, პტიზიატრიის, ფსიქიატრიის პროგრამა, მეანობის, სტაციონარული, უმწეობების, დიალიზისა და კარდიოქირურგიის პროგრამები.

**პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო გააძლიერებს მუშაობას გზებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რადგან ამ ბოლო დღეებში მოსახლეობის გაუფრთხილებლობის გამო ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რიცხვმა საგრძნობლად იმატა.

საგზაო პოლიციის პრესსამსახურის ცნობით, გუშინწინ, ძირითადად - ღამით, საქართველოში 14 ავტოსატრანსპორტო შემთხვევა დაფიქსირდა, რის შედეგადაც ორი ადამიანი დაიღუპა და 14-მა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. თბილისში 8 ავტოავარიის შემთხვევა დაფიქსირდა და დაზიანება 9 ადამიანმა მიიღო. აღნიშნული 8 შემთხვევიდან 6 სატრანსპორტო შემთხვევა ფეხით მოსიარულეზე მოდის.

გუშინწინვე, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ერთ-ერთი ავტომაგისტრალის მახლობლად, იმერეთის ტრასაზე, ორი საგზაო შემთხვევა მოხდა - ორი ადამიანი დაიღუპა. მათი ვინაობა დგინდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორშაბათს, დილით, სოფელ ქსანში, სააქციო საზოგადოება "მინის" ქარხნის ტერიტორიაზე შეიჭრნენ დაუდგენელი პირები და საწარმოს ხელმძღვანელობის მუშაობის პარალიზება მოახდინეს. სს "მინის" ქარხნის ოფისიდან გვაცნობეს, რომ გამორთულია ქარხნის ყველა ტელეფონი, ასევე, ხელმძღვანელობის ყველა მობილური ტელეფონი. წინასწარი მონაცემებით, თავდამსხმელები იყვნენ მუხრანის ერთ-ერთი ცნობილი დაჯგუფების წარმომადგენლები - "ძმები ტატიშვილები", რომლების ქარხნის მფლობელობაზე აცხადებენ პრეტენზიას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სავაჭრო ცენტრის "მორკინალის" მეპატრონის - ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქებაში ეჭვმიტანილის - ალექსანდრე მაისურაძის საქმის განხილვაზე მხარეთა შორის კამათი გაიმართება უზენაეს სასამართლოში. რასაც უახლოეს დღეებში განაჩენის გამოტანა მოჰყვება. აღნიშნულ სასამართლო პროცესზე უკვე დაიკითხა ყველა მოწმე, მოხდა მტკიცებულებების გამოქვეყნება. განსასჯელი მაისურაძე მომხდარში თავს დამნაშავედ არ ცნობს.

ჯონი გიგანის კუთვნილი "ტოიოტას" მარკის შინდისფერი "ჯიპი" მიმდინარე წლის 8 მაისს, სასტუმრო "აჭარასთან" აფეთქდა. იმავე დღეს სამართალდამცველებმა სასტუმრო "მორკინალის" მიმდებარე ტერიტორიაზე აფეთქების ორგანიზებაში ეჭვმიტანილი ალექსანდრე მაისურაძე აიყვანეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასული კვირის განმავლობაში, თბილისში, ოფიციალური მონაცემებით, 17 დანაშაულია რეგისტრირებული; მათ შორის - ერთი მკვლელობის, ერთი მკვლელობის მცდელობის, ერთი ხულიგნობის, ორი ჯანმრთელობის დაზიანების, ორი ავტომანქანის გატაცების, სამი ქურდობისა და სხვა ფაქტები. ამ პერიოდში ნარკოტიკების მოხმარების 12 შემთხვევა გამოვლინდა. აქედან სამზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ამოღებულია 6.3 გ ოპიუმის ნაყენი. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ფაქტზე აღძრულია ერთი საქმე. სამართალდამცავებმა ამოიღეს 11 ხელყუმბარა 16 დეტონატორით და 1050 ცალი საბრძოლო ვაზნა. დაკავებულია ორი ძებნილი. საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა 2.887 ავტოსაგზაო წესების დარღვევა დააფიქსირეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ 48 წლის მირიან ბარათელი თბილისში, ჩიქობავას ქუჩაზე, მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ბარათელს ბრალად ედება ჩიქობავას ქუჩაზე მდებარე ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში მომუშავე გიორგი ლომიძეზე თავდასხმა და მისი დაჭრა დანით მუცლის არეში. ბარათელი შემთხვევიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. სისხლის სამართლის საქმეს იძიებს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგამოძიებო სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, გორგასლის ქუჩაზე, 22 ნოემბერს, 18 საათზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა. ავტომანქანა „BMW"-ს, რომელსაც 23 წლის დავით საყვარელიძე მართავდა, ჯერჯერობით დაუდგენელი ავტომანქანა დაეჯახა, რის შედეგადაც ადგილზე გარდაიცვალა საყვარელიძის მგზავრი ეთერ წულიაშვილი. ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე თბილისის პოლიციის საგამოძიებო სამსახურმა აღძრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ, ღამის სამ საათზე, დაბა წყნეთში, რუსთაველის ქუჩაზე, ავტომანქანა „მერსედესი", რომელსაც 20 წლის გურამ ჟღენტი მართავდა, განათების ბოძს შეეჯახა, რის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა გურამ ჟღენტის მგზავრი - 19 წლის თეა პაპავა. პოლიციელებმა გურამ ჟღენტი ხელწერილით გაათავისუფლეს. საქმეს იძიებს თბილისის პოლიციის საგამოძიებო სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 19 წლის ნოდარ ი-ძემ გუშინწინ, 13 საათზე, თვითმკვლელობა სცადა. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, მან ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოში საფანტის პისტოლეტით თავის არეში ჭრილობები მიიყენა. იგი საავადმყოფოში მოათავსეს და ოპერაცია გაუკეთეს. პოლიციელებმა საფანტის პისტოლეტი ამოიღეს. თვითმკვლელობის მცდელობის მიზეზებს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურა დაადგენს, რომელმაც ამ ფაქტზე გუშინ საქმე აღძრა. **მედია-ნიუსი**

# კობა ნარჩემაშვილი ბოლოს მაინც გადადგა

პირველი გვერდიდან

კობა ნარჩემაშვილის ინფორმაციით, იგი ესაუბრა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძეს და სწორედ მას შემდეგ მიიღო თანამდებობიდან წასვლის გადაწყვეტილება. **"მე ქალბატონ ნინოს ვუთხარი, რომ ჩვენი საუბრის შინაარსს ჟურნალისტებს მოვუთხრობდი, მან თანხმობა განაცხადა. ნინო ბურჯანაძემ მითხრა, რომ მათი აზრით, აჯობებს თუ თანამდებობიდან გადავდგები",** - განაცხადა კობა ნარჩემაშვილმა და ორი დღის განმავლობაში მესამედ მიღებული გადაწყვეტილება უკვე საბოლოოდ გამოაცხადა.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი დღის განმავლობაში შს მინისტრი კატეგორიულად აცხადებდა, რომ ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შემთხვევაში, იგი პოსტს აუცილებლად დატოვებდა. მეტიც, შევარდნაძის წასვლის შემდეგ, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციიდან დაბრუნებულმა კობა ნარჩემაშვილმა გვიან ღამით სამინისტროში მოწვეულ საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ გადადგომას აპირებდა. თუმცა, გუშინ დილით, მინისტრის გეგმები შეიცვალა და შსს-ში გამართული შეკრებაზე ამის შესახებ საჯაროდ გახდა ცნობილი. როგორც შსს-ში აცხადებდნენ, ინტელიგენციის ნაწილი მინისტრთან შეხვედრის მოთხოვნით სამინისტროში მივიდა, მათ შეუერთდნენ სამინისტროსა და თბილისის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები და კრწანისის რეზიდენციიდან დაბრუნებულ მინისტრს კატეგორიული თხოვნით მიმართეს, არ გადამდგარიყო, რადგან მისი წასვლა დესტაბილიზაციის საფრთხეს შექმნიდა.



კობა ნარჩემაშვილმა მესამედ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოდ გამოაცხადა.

**"მე ვრჩები მინისტრის თანამდებობაზე. შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის მოქმედებებში სრულიად აპოლიტიზებული უნდა იყოს, ვერ დავუშვებ ვერანაირ ჩარევას სტრუქტურის საქმიანობაში,"** – ასე გადაუხადა მადლობა კობა ნარჩემაშვილმა მხარდამჭერებს და მინისტრის კაბინეტში დაბრუნდა. თუმცა, რამდენიმე საათის შემდეგ კობა ნარჩემაშვილმა ახალი გადაწყვეტილება მიიღო.

ჯერჯერობით, შს მინისტრის სავარძელი ცარიელია. კანონით, მინისტრის მოვალეობის შესრულება პირველ მოადგილეს, ამ შემთხვევაში, შოთა ასათიანს უნდა დაევალოს. **"კანონით, მინისტრის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას პირველი მოადგილე ასრულებს, თუმცა, შესაძლოა ამ რთული მოვალეობის შესრულება უხუცესს დაავალონ, მას, ვისაც ამ სისტემაში მუშაობის დიდი გამოცდილება გააჩნია,"** - ასეთი კომენტარი გააკეთა გუშინ შს მინისტრის პირველმა მოადგილემ შოთა ასათიანმა. გავრცელებული ინფორმაციით, ეს "უხუცესი" მინისტრის მეორე მოადგილე რუბენ ასანიძეა. სავარაუდოდ, მინისტრის მოვალეობის შესრულება სწორედ მას დაეკისრება. მით უმეტეს, რომ გუშინ მოწვეულ, უშიშროების საბჭოს სხდომაზე სწორედ რუბენ ასანიძე მიიწვიეს და არა მინისტრის სხვა რომელიმე მოადგილე. ის, რომ რუბენ ასანიძეს სისტემაში მუშაობის დიდი სტაჟი აქვს, საკამათო არ გახლავთ, თუმცა რუბენ ასანიძის ბიოგრაფიული შტრიხებისგან შექმნილი არცთუ სასურველი იმიჯი უნდობლობის საფუძველს ნამდვილად იძლევა. რუბენ ასანიძემ, განსაკუთრებით, კახა თარგამაძის მინისტრობის დროს გამოიჩინა თავი და მისმა სახელმა რამდენიმე სკანდალურ თემასთან კავშირშიც გაიჟღერა. თავის დროზე საუბარი იყო მისი ფეშენებლური სახლებისა და ამ სისტემაში "ნაშოვნი" ფულის შესახებაც. თუმცა, ალბათ, დარწმუნებით შეიძლება თქმა, რომ ასეთ არჩევანს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი არ გააკეთებს. მით უმეტეს, როცა ძველის ნგრევასა და გარდაქმნისკენ სვლაზეა საუბარი.

# პროკურატურა პროტესტს არ გამოთქვამს და კანონს იცავს

*მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური დაძაბულობის გამო გენპროკურორის პირველმა მოადგილემ რამდენიმე დღის წინ თანამდებობა დატოვა, დღეს ამ სისტემაში პოლიტიკურ ზეწოლაზე აღარავინ საუბრობს.*

*ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ საქართველოს პროკურატურა ჩვეულ რიტმში აგრძელებს მუშაობას. როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყნის პირველი სამართალდამცველი ორგანო პროტესტს არ გამოთქვამს. აქედან გამომდინარე, პროკურორები თანამდებობების დატოვებას საკუთარი სურვილით არ აპირებენ და, მათივე თქმით, კანონის დაცვას აგრძელებენ.*

თამარ კაციტაძე

**"პროკურატურა აპოლიტიკური ორგანოა და პოლიტიკურ მოვლენებში არ ვერევით. ჩვენ ყოველთვის ვიცავდით კანონს და დღესაც ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ!"** - ასეთი პოზიცია აქვთ ქართველ პროკურორებს ქვეყანაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით.

დაუწერელი კანონების თანახმად, ნებისმიერი რევოლუციის შემდეგ სახელმწიფოში გარკვეული ქაოსი იწყება. ამ პრობლებას, ცხადია, ვერც საქართველო გადაურჩება, მაგრამ, როგორც რეგიონის პროკურორები გვიხსნიან, ქვეყანაში საგანგაშო მდგომარეობა არც ამ მხრივ შეიმჩნევა. თუმცა, ცალკეულ რაიონებში გარკვეული ინციდენტები მაინც დაფიქსირდა.

ხელისუფლების ხელში ჩაგდების პირველი ფაქტი სამეგრელოს რეგიონში, კერძოდ - სენაკში დაფიქსირდა. როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პროკურორმა ბორის კვარაცხელიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, გუშინ, დილით, რამდენიმე პიროვნება სენაკის გამგეობის შენობაში შეიჭრა და აიძულეს გამგებელი თანამდებობა დაეტოვებინა. ცოტა ხანში იმავე ჯგუფმა ადგილობრივი ტელევიზიით განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ რაიონის გამგებელი იქნებოდა ვინმე ადამია, პოლიციის უფროსი კი ვინმე დუდუჩავა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სამართალდამცველებმა აღნიშნულ ჯგუფს დაკავებული შენობა დაატოვებინეს და მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. პროკურორის თქმით, მომდინარეობს გამოძიება.

**"ჩვენ ვალდებულები ვართ, შევინარჩუნოთ მშვიდობა და დავიცვათ კანონი. უკანონობაში კი არც ერთი პარტიის მომხრეს არ შევუწყობთ ხელს. ამასვე ითხოვს დღევანდელი ხელმძღვანელობა",** – ამბობს ბორის კვარაცხელია.

გარკვეული ინციდენტები შეიმჩნეოდა ქვემო ქართლშიც. რეგიონის პროკურორის სიმონ მაჭავარიანის თქმით, ადამიანთა ერთ ჯგუფს გარდაბნისა და ბოლნისის გამგეობის შენობების დაკავების სურვილი ჰქონდა, მაგრამ სამართალდამცველებმა დროულად აღკვეთეს დანაშაული. პროკურორის განცხადებით, ამ ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმეები არ აღძრულა, რადგან, საბოლოოდ, დანაშაული არ დაფიქსირდა.

ჯერჯერობით, გამოძიება არც იმერეთში დაწყებულა. თუმცა, იმერეთის პროკურორის თამაზ ჭუმბურიძის თქმით, ადგილი ჰქონდა თერჯოლის და ბაღდადის პოლიციის განყოფილებებში შეჭრის ფაქტებს.

კასპის რაიონში "ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა გამგებლის გადადგომა მოითხოვეს, მაგრამ, შიდა ქართლის პროკურორის ამირან ნოზაძის განცხადებით, მოლაპარაკება მშვიდობიანი გზით მიმდინარეობდა და, აქედან გამომდინარე, დანაშაულს ადგილი არ ჰქონია.

კანონდარღვევა არ დაფიქსირებულა მცხეთა-მთიანეთის რეგიონშიც. თუმცა, ხავერდოვანი რევოლუციის მომხრე პარტიის წევრებმა საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით მოითხოვეს რეგიონის ხემძღვანელობასთან შეხვედრა. რეგიონის პროკურორის გია გიორგობიანის თქმით, მოლაპარაკება დღეისთვის გადაიდო.

ამ მხრივ გუშინ სიმშვიდე იყო საქართველოს დედაქალაქში. თბილისის პროკურორის თენგიზ მახარაძის განცხადებით, სახელმწიფო დაწესებულებებში შეჭრის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება ოპოზიციის მიტინგებთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს, პროკურორის პოზიცია ასეთია. **"სისხლის სამართლის საქმე მიტინგების ფაქტზე აღიძრა და კონკრეტული პიროვნების დანაშაული გამოკვეთილი არ არის. გამოძიება გრძელდება და ვნახოთ, რა შედეგით დასრულდება",** – ამბობს მახარაძე.

მიუხედავად იმისა, რომ, საქართველოს კონსტიტუციით, სამხედრო ძალების, პოლიციის და უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებს საჯარო გამოსვლებზე შეკრება ეკრძალებათ, ამ უწყებების იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც გუშინ მიტინგებზე უიარაღოდ მივიდნენ და თანადგომა გამოუცხადეს გაერთიანებულ ოპოზიციას, სისხლის სამართლის საქმეები არ აღიძვერება. **"ამ ხალხს კანონი არ დაურღვევია. ისინი უიარაღოდ მივიდნენ მიტინგზე და საკუთარი ადამიანური პოზიცია დააფიქსირეს",** - ასეთია მთავარი სამხედრო პროკურორის გია ჯიქიას პოზიცია.

დაბოლოს, რა სიტუაციაა ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. რიგითი თანამშრომლების თქმით, იქ აბსოლუტური სიმშვიდეა. მიუხედავად ამისა, გუშინ გენერალურ პროკურორთან დაკავშირება მთელი დღის განმავლობაში ვერ შევძელით. ამის მიზეზი თათბირები იყო. ის რამდენიმე კითხვა, რომელიც გენერალური პროკურორისთვის უნდა დაგვესვა, უპასუხოდ დარჩა. ერთ-ერთი მათგანი კი იმ საქმეებს ეხებოდა, რომელიც პროკურატურამ ბოლო პერიოდში ოპოზიციის წინააღმდეგ აღძრა: რა ბედი ელის ამ საქმეებს?

# საქართველოს საზღვრის მთელ პერიმეტრზე კონტროლი ძლიერდება

სოფიკო ჩხაიძე

*"გაიხსენეთ, რომ პირველი სამხედრო პირი, რომელიც მომიტინგეებს შეუერთდა და მხარდაჭერა აღუთქვა, სწორედ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელი იყო", - ქართველი მესაზღვრეების ინკოგნიტოდ დარჩენის მსურველი წარმომადგენელი მთელი სისტემის ერთგულებას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლისადმი, პირველ რიგში, ამ სიტყვებით ადასტურებს.*

**"ჩვენ პოლიტიკურ მოვლენებში არ ვერევით და ჩვენი საქმის კეთებას ვაგრძელებთ",** - აცხადებენ საზღვრის დაცვის დეპარტამენტში და ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის გადადგომამდე დასახული გეგმის განხორციელებას აგრძელებენ. ეს გეგმა მათ 23 ნოემბერს, დღისით, სამხედრო საბჭოს სხდომაზე შეიმუშავეს. კერძოდ, სასაზღვრო დეპარტამენტის მაღალჩინოსანთა აზრით, საქართველოში ბოლო ხანებში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით იზრდება სახელმწიფო საზღვრის დარღვევის შესაძლებლობა, რამაც შეიძლება საშიშროება შეუქმნას ქვეყნის უსაფრთხოებას. ასეთი პროგნოზის გაკეთების საფუძველი მათ უკანასკნელი დღეების განმავლობაში საზღვრის დარღვევის რამდენიმე სერიოზულმა მცდელობამ მისცა.

"არსებულ ვითარებაში მესაზღვრეთა უმთავრესი ამოცანაა საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შესაძლო გართულებების, პროვოკაციული ქმედებებისა და ქვეყანაში არასასურველ პირთა შემოღწევის მცდელობის აღკვეთა", - ამ ამოცანის შესასრულებლად, სამხედრო საბჭოს რეკომენდაციით, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება "საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის გაძლიერებულ რეჟიმზე გადასვლის შესახებ".

**"ამ ბრძანების შესაბამისად, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი გადასულია მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე,** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსმა შალვა ლონდარიძემ, **- ამ რეჟიმის ფარგლებში საგუშაგოებზე გაიზარდა მესაზღვრეთა და განმწესების რაოდენობა, ხოლო პირად შემადგენლობას აეკრძალა გადააადგილება უშუალოდ სახელმწიფო სასაზღვრო ზოლის გარდა. საზღვრის მთელი პერიმეტრის დაცვის საქმეში აქტიურად ჩაერთო მოტოსამანევრო ჯგუფი. ისინი საზღვრის ჩრდილოეთ პერიმეტრს ზედმიწევნით გააკონტროლებენ. ეს ჩვენი სპეციალური დანიშნულების რაზმია, თუმცა მას ასე არ ვუწოდებთ. ეს გახლავთ ერთგვარი ელიტარული ჯგუფი, რომელიც საზღვარზე ეუთო-ს მისიის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს".**

თავად საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე აცხადებს, რომ საქართველოს საზღვარზე არსებული ვითარება მშვიდია და სრულად კონტროლდება.

**"ბოლო დღეების განმავლობაში, სანამ საქართველოში არსებული სიტუაცია დაძაბული იყო, განსაკუთრებულად კონტროლდებოდა რუსეთ-საქართველოს საზღვრის დაღესტნის მონაკვეთი, სადაც პროვოკაციები ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი. ამასთან, რამდენიმე დღის წინ ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ახმად კადიროვმა საქართველოში არსებული სიტუაციის შეფასებისას არ გამორიცხა პროვოკაციები ჩეჩენ ბოევიკთა მხრიდან. პროვოკაციების ალბათობას არც ჩვენ გამოვრიცხავთ, ამიტომაც საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე მესაზღვრეთა მოტოსამანევრო ჯგუფი გადავისროლეთ",** - განაცხადა ვალერი ჩხეიძემ და დასძინა, რომ ის ძველებურად აგრძელებს თავისი უფლება-მოვალეობის შესრულებას და მისი უწყებაც წინანდებურად მუშაობს, პოსტიდან კი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება გადადგეს, თუ ამას მისგან პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი მოითხოვს.

# პოლიცია კვლავაც ხელისუფლებას - ამჯერად, ახალს ემორჩილება

ხათუნა ჯანგირაშვილი

*საქართველოს პოლიციას ხელისუფლების ცვლილება არ დასტყობია, ყოველ შემთხვევაში ასე ირწმუნებიან საქართველოს სხვადასხვა მხარეების პოლიციის სამმართველოების უფროსები. თითქმის ყველა მათგანი ერთსა და იმავე განცხადებებს აკეთებს, კერძოდ, რომ პოლიციამ ჯერ კიდევ მშვიდობიანი რევოლუციის მსვლელობისას დააფიქსირა თავისი პოზიცია და დღესაც სხვა ფუნქციას არ იკისრებს, გარდა წესრიგის დაცვისა. თუმცა, გუშინ, მთელი დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია სხვადასხვა პოლიციის უფროსების კაბინეტებში შეჭრისა და მათი თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნების თაობაზე. მსგავს ფაქტებს ყველა მათგანი უარყოფს. ამასთან, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის თანამდებობაზე დარჩენის შესახებ გახდებოდა ცნობილი, ისინი გადადგომას არ აპირებდნენ და მზად იყვნენ, რომ საკუთარი მოვალეობა ახალი ხელისუფლების მითითებების შესაბამისად შეესრულებინათ.*

**ზურაბ ტუშური, კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი:**

"როგორც ყოველთვის, ამჯერადაც არსებულ რეჟიმს ვემორჩილებით. ჩვენ ჩვენს მოვალეობებს ვასრულებთ. კახეთის რეგიონში თითოეული პოლიციელი დგას იქ, სადაც უნდა იდგეს და აკეთებს იმას, რასაც კანონი ავალდებულებს. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კახეთის რეგიონში ამჟამად აბსოლუტური სიმშვიდეა. პოლიცია სიტუაციას ბოლომდე აკონტროლებს. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, წესრიგი შევინარჩუნოთ და დავიცვათ. ყველამ კარგად ვიცით, რომ ასეთ გარდამავალ ეტაპზე, რომელშიც ახლა ვიმყოფებით, ყველაზე მთავარი წესრიგის დაცვა და დანაშაულის აღკვეთაა.

რაც შეეხება პოლიციური თანამდებობების დატოვების საკითხს, ჩვენ არ ვიბრძვით საკითარი თანამდებობების შენარჩუნებისთვის. ჩვენ ვიბრძვით დანაშაულის წინააღმდეგ. პირადად ჩემთვის და ჩემი ხელქვეითებისთვის გადადგომა არავის მოუთხოვია. კახეთის რეგიონის ვერც ერთი პოლიციელი თანამდებობიდან გადადგომის გადაწყვეტილებას ჩემ გარეშე ვერ მიიღებს. ეს ჩემი კატეგორიული მოთხოვნაა. პირიქით, ახლა ყველამ უნდა მოვინდომოთ და წესიერად ვაკეთოთ ჩვენი საქმე. მე პოლიტიკისგან შორს ვარ, არც ვერევი პოლიტიკურ საქმეებში, ვასრულებ ჩემს მოვალეობას და შევასრულებ მანამდე, სანამ გადადგომას მიბრძანებს ვინმე".

**ზაზა ძნელაძე, იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი:**

"იმერეთის სამხარეო პოლიციის პირადი შემადგენლობა მობილიზებულია წესრიგის დასაცავად და ყველანაირი დანაშაულის აღსაკვეთად. თითოეულ პოლიციელს კარგად აქვს გაცნობიერებული, რა მდგომარეობაა ქვეყანაში და რა არის საჭირო იმისთვის, რომ სიმშვიდე და წესრიგი იყოს. თქვენ წარმოიდგინეთ, რიგითი პოლიციელიდან დაწყებული მაღალჩინოსნით დამთავრებული - ყველა სასწაული პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ საქმიანობას. ამის მაგალითი გახლავთ თუნდაც ის, რომ იმერეთის რეგიონში ამ დღეებში მომხდარი რამდენიმე დანაშაულიდან თითქმის ყველა ცხელ კვალზე გაიხსნა. მე, მთელ შემადგენლობასთან ერთად, ისევ ჩემს ადგილზე ვარ და ვაკეთებ იმას, რაც მოქმედი კანონმდებლობით მევალება. არანაირი ზეწოლა იმერეთის პოლიციის მიმართ არავისგან არ ყოფილა. ასე რომ, სამართალდამცველები გაძლიერებული რეჟიმით ვმუშაობთ და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ რეგიონში წესრიგი იყოს".

**ალეკო ბუკია, ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი:**

"მას შემდეგ, რაც თბილისში, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე ბატალიები დასრულდა, ქვემო ქართლის პოლიცია გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობს. ყველა მობილიზებული ვართ იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ყველანაირი ექსცესი და დანაშაული. ჩვენ ვემსახურებით ხალხს. ახალ ხელისუფლებას ჩვენი მისამართით არანაირი პრეტენზია, ჯერჯერობით, არ გამოუთქვამს. თუკი ვინმესთვის ჩვენი მუშაობა მიუღებელი იქნება, მზად ვართ, დავტოვოთ თანამდებობები. რაც შეეხება კრიმინოგენულ სიტუაციას ქვემო ქართლის რეგიონში, ამ დღეებში არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა და არც დანაშაულის სტატისტიკა გაზრდილა".

**ალეკო სუხიტაშვილი, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი:**

"სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ - შიდა ქართლში აბსოლუტური სიმშვიდეა. მოსახლეობისა და სამართალდამცველების მოქმედება ემორჩილება კანონს. ადგილი არ ჰქონია არანაირ ექსცესსა და გართულებას. არსებულ სიტუაციას პოლიცია დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. უკვე გვქონდა შეკრება და სტაბილიზაციის შენარჩუნების საკითხები განვიხილეთ. რიგითმა პოლიციელებმა მითითებები მიიღეს. მათ კარგად იციან, რომ ემსახურებიან ხალხს. ერთი სიტყვით, მეც და ჩემი ხელქვეითებიც ისევ იმ პოსტებზე ვართ. საკადრო ცვლილებები აქ არ განხორციელებულა. როგორც კი ჩვენი მუშაობით ვინმე იქნება უკმაყოფილო, უსიტყვოდ და უპრობლემოდ დავტოვებთ თანამდებობას".

**ელგუჯა ჯამბურია, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის უფროსი:**

"სიმართლეს არ შეეფერება გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩემზე ზეწოლასა და მუქარას ჰქონდა ადგილი და მე ტყეში გავიჭერი თავდაცვის მიზნით. საკუთარ ადგილზე, საკუთარ კაბინეტში ვიმყოფები და ვმუშაობ კანონის შესაბამისად. გარკვეულ ექსცესებს, ინციდენტებსა და გაურკვევლობას მართლაც ჰქონდა ადგილი, თუმცა, ყველაფერი მშვიდად დასრულდა. ჩვენ ვემორჩილებით იმას, რასაც მოქმედი კანონმდებლობა გვავალებს - ვემორჩილებით ახალ რეჟიმს და ხალხს. არავისთვის და არაფრისთვის ბოიკოტი არ გამოგვიცხადებია. პირიქით, გაძლიერებული მონდომებით ვასრულებთ ჩვენს მოვალეობებს. ვმუშაობთ სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად. თუკი მე, ან ჩემი სამსახურის რომელიმე რიგითი თანამშრიომელი ვინმეს თვალში არ მოუვა, არც შევაწუხებთ - გვერდზე გავდგებით, თანამდებობებს არ ჩავეჭიდებით. ასე რომ, ჯერჯერიობით, ჩვენ ჩვენს მოვალეობებს ვასრულებთ; საკუთარი ნებით გადადგომას არ ვაპირებ".


განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
■ აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
■ ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ: 29-48-61

უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

## აუსტერლიცი

უცნაურია, მაგრამ ეგრეა – ფილმის გმირის მაგივრად შენ ჰკოცნი ამ ლამაზ ქალის ცხელ ტუჩებს, შენ იგერიებ ხმალამოღებულ რამდენიმე მტერს, შენ მოგყვებიან ათასები გველეშაპის დასამარცხებლად... ხან ზორო ხარ, ხან – ფან-ფანი, ხან – დ'არტანიანი.

დაახლოებით ეგეთი გრძნობა მქონდა, როცა ამ წერილის დაწერა ვაპირებდი. ისიც კი არ ვიცოდი, სხვის პორტრეტს ვხატავდი თუ საკუთარს. თუმცა, ეტყობა, ფილმისა არ იყოს, ამას არც ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა.

არ ვიცი, რატომ ავარჩიე მაინცდამაინც ეს ახალგაზრდა კაცი. თუმცა, არა, როგორ არ ვიცი, ეგეთი რაღაცები შემთხვევით არ ხდება.

მოკლედ, ვიწყებ და ძალიან მაინტერესებს, რა გამოვა.

ძალიან მაღალია, რამდენიმე უცხო ენა იცის, თანაც, ძალიან კარგად იცის, მშვენიერი განათლება აქვს მიღებული. მაგრამ ეს ყველაფერი არაფერს, აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს. იმიტომ, რომ ასეთი მაღალი, განათლებული და ენების მცოდნე სხვაც ბევრი შეიძლება იპოვო.

სულ რაღაც შვიდ-რვა წლის წინათ კარგად გაზრდილი, ფრიადოსანი დედიკოს ბიჭი [illegible]

პირველი "დარტყმა" – ასე ჰქვია დიდი ფსონის მოგებას – ამ ორიოდე წლის წინათ განხორციელდა. [illegible]

გუშინდელმა დედიკოს ბიჭმა თავისი პირველი, ნამდვილი ბლეფი განახორციელა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. [illegible]

- შეეშინდა და გამიშვა! შეეშინდა და გამიშვა! – ეს უკვე ნახევარწინწილის ნერვების აშლელი შეძახილები იყო.

თამაში გრძელდება. კარტის დასტა დიდ მაგისტრს უჭირავს და, ცხადია, უკეთეს კომბინაციასაც შეგნებულად თავისთვის იოიგებს. მაგრამ ნახევარწინწილა რის ნახევარწინწილაა, რომ თავი მოანელებინოს დიდ მაგისტრს.

გადამწყვეტი თამაშის დღე სულ უფრო ახლოვდება.

ჩემთვის ეს ყველაფერი ზემოხსენებული ფილმივით იყო. ეს მე ვიყავი დედიკოს ბიჭიც, ხუთკუნჭულაცა და ნახევარწინწილაც. ეს მე ვერიდებოდი ხაფანგებს და მევე ვბლეფობდი.

აზარტმა გამიტაცა, ისე გამიტაცა, რომ ერთთავად ბონაპარტზე ვფიქრობდი, აუსტერლიცზე, ელბაზე, ას დღეზე, ვატერლოოზე...

თამაშის მიზანი კეთილშობილური იყო. ეს ყველაფერი აუცილებლად მეჩვენებოდა, მაგრამ, მართალი გითხრათ, სულაც ფეხებზე მეკიდა, რამდენიმე წელიწადში როგორ იქცეოდა 14 ლარი ას დოლარად, 50-ლარიანი ხელფასი – ათას დოლარად. ამ გზაზე, ესე იგი, კეთილდღეობის თანდათან გაუმჯობესების გზაზე, მაინცდამაინც საინტერესოს ვერაფერს ვხედავდი.

კარგად მესმის, როგორი მკრეხელური წინადადება დავწერე, მაგრამ შევეცდები, ავხსნა.

წარმოიდგინეთ, როგორ გამოდის მეტოქე ფსონს, შენ კი ჭირიანი წყვილიც არ გიჭირავს ხელში და ბლეფობ! ამ დროს არც ხელი გიკანკალებს და არც სახეზე გეტყობა რამე. რამდენიმე წამის ყოყმანი და მეტოქე გაწბილებული გნებდება – მწვანე მაუდზე ყრის ახლა უკვე უსარგებლო კომბინაციას. შენ ახლა მთელი გროვა ჩიპებისთვის არ თამაშობ, ჩვენს შემთხვევაში პენსიასა თუ ხელფასს რომ ვეძახით. შენ ამ რამდენიმე წამისთვის თამაშობ, იმ წამებისთვის, როცა გარეგნული გულგრილობის მიღმა, სადღაც ღრმად, ფანტასტიკური სისწრაფით ენაცვლება ერთმანეთს შიში, სინანული, აღტაცება, ბოლოს კი ეს ყველაფერი ერთ დიდ დღესასწაულად იქცევა! მოგებული ჩიპების გროვა მხოლოდ აღიარებაა იმისა, რომ ეს-ეს არის იგრძენი ის, რასაც გრძნობდა ყველაზე აზარტული, ყველაზე იღბლიანი, ყველაზე ლამაზი მოთამაშე. შენ ეს-ეს არის გადაიხადე აუსტერლიცი, ელბა, ასი დღე, ვატერლოო... მე პარალელებს არ ვავლებ, მე იმ გრძნობებზე ვლაპარაკობ, რომელიც ამ თამაშებს ახლავს.

სამწუხაროდ, ვერავინ მიხვდა, რატომ გადავიდა მაია ნადირაძე ნაციონალურ მოძრაობაში. ათასი სისულელე თქვეს. ისე, მაინცდამაინც ვერც თვითონ ახსნა გასაგებად, მაგრამ ცოდნით ნამდვილად იცოდა, ყოველ შემთხვევაში, ინტუიციის დონეზე მაინც.

ქალები რესპექტაბელურ, გაწონასწორებულ კაცებს მიჰყვებიან ცოლად, სიყვარულით კი ავანტიურისტები უყვართ. მე აქ ქალისა და მამაკაცის ჩვეულებრივ ურთიერთობაზე არ ვსაუბრობ, მე ხასიათების ერთიანობას, ერთნაირობას ვგულისხმობ. აკაკი ასათიანი ჭკვიანი პოლიტიკოსია, მაგრამ ბლეფი – ესე იგი, რისკი, დანის პირზე სიარული არ ეხერხება. მაია ნადირაძეც ისეთივე ხუთკუნჭულაა, ისეთივე ნახევარწინწილა და ბლეფისტია, როგორც მიშა. ისინი ერთ გუნდში უნდა ყოფილიყვნენ.

ეეჰ, მიშას პორტრეტს ვაპირებდი და ხან საკუთარ თავზე ვლაპარაკობ, ხან - კაკოსა და მაიაზე.

დიდი თამაშის დღეც დადგა. უფრო ზუსტად, ოცდაათი საათი 22 ნოემბრის დღის 3 საათიდან 23 ნოემბრის საღამოს 9 საათამდე.

როგორ ფიქრობთ, რისთვის ჩამოვიდა ივანოვი საქართველოში? რა, შევარდნაძისთვის იმის თქმას, რომ რუსეთი არ ჩაერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში, ტელეფონით კი ვერ მოახერხებდა? მთელი 12 საათი რუსი ემისარი, კაცმა არ იცის, რა მანქანებით არ ცდილობდა, ოპოზიცია კომპრომისზე დაეყოლიებინა. მიშას არც ისე ცუდი კარტი ეჭირა ხელში, მაგრამ იმ დღეს დიდმა მაგისტრმა იბლეფა – სერიოზულ ფსონს გამოვიდა: პოლიცია და სამხედრო ნაწილები, საგანგებო ვითარება, ახალი კანონიერი პარლამენტი და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, კარტის დარჩენილი დასტა რუსს ეჭირა ხელში. რუსი არიგებდა კარტს. ეგეთ ვითარებას გარანტირებული ბლეფი ჰქვია.

- ბლეფობს, ბიჭებო, არ დაუთმოთ! – გამწარებული ვიმეორებდი და ჩემი ფიქრები იმ წამს ჩემი პარტნიორებისთვის – მიშასთვის, ზურასა და ნინოსთვის მინდოდა მიმეწვდინა.

დიდ პატივს ვცემ ზურაბ ჟვანიას ალღოსა და ჭკუას, ნინო ბურჯანაძის თავდაჭერილობასა და სიმტკიცეს, მაგრამ არა მგონია, რომ რომელიმე მათგანი მსგავს დაწოლას გაუძლებდა.

მართლაც, გარანტირებულად ბლეფობდა დიდი მაგისტრი, მაგრამ ახლა არც ხუთკუნჭულასთან ჰქონდა საქმე და არც ნახევარწინწილასთან. მწვანე მაუდის მოპირდაპირე მხარეს, მართალია, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე კაცი, პოკერის ნამდვილი ოსტატი იჯდა. ორმაგი ბლეფი ამ მშვენიერი თამაშის მწვერვალია.

- პლუს კიდევ ათი!

ეს ასი ათასი კაცის ენაზე ასე გახმოვანდა:

- ნახევარ საათში მანდა ვარ!

ბრავო, მიშა! ჯიგარი ხარ! დიდმა მაგისტრმა აკანკალებული ხელით დაყარა კარტი მაგიდაზე.

ის დღე მიშას აუსტერლიცი იყო.

იმ დღეს ჩემთვისაც ენთო აუსტერლიცის მზე.

# აჭარაში საგანგებო მდგომარეობაა

ორიოდე საათით ადრე, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტი პოსტიდან გადადგომის შესახებ განცხადებას გააკეთებდა, ასლან აბაშიძემ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. მეთაურის განკარგულება აჭარის პარლამენტმა ერთხმად დაამტკიცა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას აჭარის პარლამენტის საგანგებო სხდომა ტაშით შეხვდა.

თბილისში მიმდინარე მოვლენებს, რაიმე განსაკუთრებული ზეგავლენა ბათუმზე, და საერთოდ, აჭარაზე ფაქტიურად 23 ნოემბრის საღამომდე არ მოუხდენია. აქ ტრადიციული ე. წ. სიმშვიდე და სტაბილურობა ძველებურად იყო შენარჩუნებული და რაიმე უმნიშვნელო ექსცესებსაც კი ადგილი არ ჰქონია. თუმცა, გაძლიერებული დაცვის ქვეშ იმყოფებოდა აჭარის მეთაურის რეზიდენცია და მიმდებარე ტერიტორია, რომელსაც სამთავრობო დაცვასთან ერთად შეიარაღებული სპეცრაზმელები იცავენ. ისინი ქალაქში უკვე შაბათ დილით გამოჩნდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ძალოვანების ძირითადი ნაწილი დედაქალაქში იმყოფებოდა, აჭარის უშიშროებაში აცხადებდნენ, რომ არანაირ ინფორმაციას აჭარაში დესტაბილიზაციის შესახებ არ ფლობდნენ და მსგავს რამეს არც დაუშვებდნენ. აჭარის შს სამინისტროს ინფორმაციით კი ამ დღეებში კრიმინალური მდგომარეობაც არ გაუარესებულა. ბათუმის ქუჩებში შეუფერხებლად მოძრაობდა ტრანსპორტი.

საქართველოს დედაქალაქში მოსალოდნელი სამოქალაქო დაპირისპირების ფონზე, ასლან აბაშიძე წინასწარ აცხადებდა, რომ თუ ე.წ. რადიკალური ოპოზიცია მოვიდოდა ხელისუფლებაში ძალით, ის იძულებული იქნებოდა რეგიონის მოსახლეობის დასაცავად, ეროვნული ტრადიციების და მშვიდობის შესანარჩუნებლად, ჩოლოქი გადაეკეტა.

თუ როგორ იმოქმედებდა ავტონომიის მეთაური, ინფორმაცია არ ვრცელდებოდა. სხვათაშორის არც მაშინ, როცა სახელმწიფო თეატრის შენობაში აჭარის პარლამენტის საგანგებო სხდომა იყო დანიშნული. სხდომა მეთაურის მოლოდინში 2 საათის დაგვიანებით, თუმცა მაინც მეთაურის გარეშე დაიწყო. პარლამენტს საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით პოლიტიკური განცხადება უნდა მიეღო. თუმცა, სხდომაზე მოგვიანებით მოდის ასლან აბაშიძე. ორიოდე წუთში კი სენატის თავმჯდომარე ანთაზ ქიქავა პარლამენტარებს საგანგებო მდგომარეობის შესახებ მეთაურის განკარგულების ტექსტს აცნობს...

"რადგანაც გარკვეული ძალებ-




აჭარა ასლან აბაშიძის ნებართვის გარეშეც მონაწილეობდა "ვარდების რევოლუციაში".

ის მიერ ქვეყანაში დესტაბილიზაციის მიზნით ტარდება მიტინგები, რომლის შედეგადაც საფრთხე ემუქრება არა მარტო კონსტიტუციური ხელისუფლების არსებობას, არამედ ქვეყნის მთლიანობას, ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღურბლზე აღმოჩნდა. ამასთან, შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური განცხადებები აჭარის მიმართ მოსახლეობის აღშფოთებას იწვევს. არის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო შემოჭრის საფრთხე...

საქართველოში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარებისა და პოლიტიკური დესტაბილიზაციის განზრახვით აჭარის ხელმძღვანელობისა და მოსახლეობის საწინააღმდეგოდ განხორციელებული არაერთი ტერაქტისა და სხვა ღონისძიებების გათვალისწინებით, მოსახლეობის სტრატეგიული, სასიცოცხლო მნიშვნელობისა და საკომუნიკაციო ობიექტების უსაფრთხოებისა და ადმინისტრაციული საზღვრების დაცვის მიზნით:

2003 წლის 23 ნოემბრიდან აჭარის ავტ. რესპ. ტერიტორიაზე ერთი თვის ვადით გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა პოლიტიკურმა პირმა, ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა, აჭარის კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, უშუალოდ განახორციელოს სახელისუფლებო უფლებამოსილება. მიიღოს ქმედითი ზომები დაძაბულობის შემდგომი ესკალაციისა და შეიარაღებული დაპირისპირების პროვოცირების თავიდან ასაცილებლად. აკრძალოს შეიარაღებული ძალებისა და მათი ნაწილების კონცენტრაცია აჭარის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე. საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში შეიზღუდოს საქართველოს კონსტიტუციის მე-18, 20, 21, 22, 24, 25, 30, 33-ე და 50-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებანი, საქართველოს კანონის "საგანგებო მდგომარეობის შესახებ" მოთხოვნათა შესაბამისად.

შემოღებული იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოსვლის სპეციალური წესები. შემოსვლისას ყველა პირმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი საბუთები.

ადმინისტრაციული და სახელმწიფო საზღვრის მთელ ტერიტორიაზე დაწესდეს მკაცრი კონტროლი. შეწყდეს მატარებლების მოძრაობა აჭარის ადმინისტრაციულ საზღვრებამდე - სადგური ურეკი. ჩოლოქის, ჯიხანჯურის, ცეცხლაურის, ქაქუთის, გოდერძის უღელტეხილის, აეროპორტის, საზღვაო ნავსადგურის, სარფის გამსვლელ პუნქტებზე, რკინიგზის სადგურებში გამოიყოს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღების შესანახი სპეციალური საცავები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება გმობს ძალისმიერი გზით ხელისუფლების დამხობის ცდას და წყვეტს ყოველგვარ კავშირს ცენტრალურ ხელისუფლებაში ძალადობით მოსულ კრიმინალებთან, ქვეყანაში კონსტიტუციური ხელისუფლების სრულ უფლებებში აღდგენამდე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისარმა 24 ნოემბრიდან უზრუნველყოს გასაწვევ პირთა მობილიზაცია".

- ასეთია მოკლე შინაარსი განკარგულებისა, რომელიც აჭარის ტელევიზიით 23 ნოემბრიდან ამოქმედდა. [illegible] პრეზიდენტი გადადგა, [illegible] ბათუმში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოვიდა. ასლან აბაშიძე პრეზიდენტის გადადგომასთან დაკავშირებით არანაირ კომენტარს არ აკეთებს და უბრალოდ აღნიშნავს, რომ ქვეყანაში ვითარება რთულია. რაც შეეხება იგორ ივანოვს, მისი შეფასებები თუ კომენტარები, მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, მოკრძალებულია. ერთადერთი, რასაც ივანოვი აცხადებს ისაა, რომ რუსეთი საქართველოს საშინაო საქმეებში არ ჩაერევა. რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელისა და აჭარის ლიდერის შეხვედრის დეტალები უცნობია. ივანოვმა ბათუმი ორშაბათ დილით დატოვა.

ასლან აბაშიძე კონკრეტულ შემთხვევაში აჭარის პარლამენტის ადრინდელი დადგენილებით მინიჭებული უფლებებით, როგორც ავტონომიის მთავარსარდალი, ჯერჯერობით არ სარგებლობს. ვინაიდან დღემდე აღნიშნული დადგენილება არ გამოქვეყნებულა, ანუ მას არანაირი იურიდიული ძალა არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, მეთაური ავტონომიის უმაღლეს სამხედრო პირად ფაქტიურად გამოცხადებულია. ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ კეთდება და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების აუცილებლობას, ქვეყანაში არსებული მდგომარეობითა და რეგიონის მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხსნიან.

რაც აკრძალული არაა - დასაშვებია(!)

# თურმე, ყველაფრის გამართლება შეიძლება

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა ასლან აბაშიძემ ედუარდ შევარდნაძის გადადგომის პარალელურად აჭარის პარლამენტის საგანგებო სესიაზე რეგიონში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ასეთი მდგომარეობა თავისუფალი პრესის შეზღუდვასაც ითვალისწინებს.*
*რამდენად კანონიერია ასლან აბაშიძის განკარგულება? "გაზეთ ბათუმელებთან" ამ საკითხზე აჭარის პარლამენტის იურიდიულ კომიტეტის თავმჯდომარე მალხაზ ბოლქვაძე საუბრობს:*

- განკარგულება ითვალისწინებს პრესის შეზღუდვასაც. ამ შემთხვევაში ჩვენ ვეყრდნობით საქართველოს კანონს და ის შეზღუდვები, რასაც ითვალისწინებს კანონი, იქნება გამოყენებული: თუკი პრესის საშუალება ავრცელებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც ხელს უწყობს დესტაბილიზაციას, თუკი ჩათვლის მეთაური (რომელსაც სრული უფლება აქვს საგანგებო მდგომარეობის დროს იმოქმედოს), რომ პრესის საშუალება, კონკრეტული ინფორმაცია, ხელს უწყობს საზოგადოებრივ დესტაბილიზაციას, მას აქვს უფლება, ამ პრესის საშუალების ნომრის გავრცელების შეზღუდვა [illegible]

**- ნომრის გავრცელების შეზღუდვა და არა, დავუშვათ, გამოცემის აკრძალვა თუ შეჩერება?**

[illegible]

**- საგანგებო მდგომარეობის დროს რამდენად შეზღუდული იქნება გადაადგილება. მშვიდობიან მოქალაქეებს შეეძლებათ თუ არა ჩოლოქის ადმინისტრაციული საზღვრის გადალახვა, ან პირიქით, შემოსვლა?**

- ნებისმიერმა ადამიანმა პირადობის მოწმობა აუცილებლად უნდა იქონიოს თან. თუ მას აქვს რეგისტრაციის ადგილი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია, ის შეუზღუდავად შემოვა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ყოველგვარი იარაღის გარეშე, ხოლო იმ პიროვნებას, რომელიც არ ცხოვრობს ე.ი. რეგისტრირებული არ არის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, პატრული, რომელიც ამოწმებს საბუთებს, უფლებამოსილია ჩამოსულის ვიზიტის მიზანი გაარკვიოს. მოქალაქე ამ შემთხვევაში ვალდებულია მის მიმართ პატრულის მიერ დასმულ ყველა შეკითხვას პასუხი გასცეს - სად, ვისთან და რა მიზნით მიდის.

თუკი პატრული ეჭვს მიიტანს, რომ პიროვნება არის არაფხიზელ მდგომარეობაში, მაშინ... საქართველოს კანონით "საგანგებო მდგომარეობის შესახებ" გარკვეული შეზღუდვებია სპირტიან სასმელებთან დაკავშირებით, ანუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში [illegible]

**- რაც შეეხება აჭარის ტერიტორიაზე გადაადგილებას, რა ტიპის შეზღუდვები იქნება?**

[illegible]

**- რამდენადაც ცნობილია, ასლან აბაშიძე ოფიციალურად უმაღლეს სამხედრო პირად არ გამოცხადებულა, ახლა თუ მიიღეთ ცვლილებები ამ კუთხით?**

- არა, ცვლილებები არ არის. დოკუმენტი, რომელიც მიღებული იქნა, არ არის მეთაურთან მისული - ხელმოწერილი და გამოქვეყნებული. აქედან გამომდინარე მეთაური ხელმძღვანელობს 2001 წლის 7 ივლისის ცვლილებებით, რომელიც ეხება აჭარის კონსტიტუციის 63-ე მუხლს. ეს მუხლი მეთაურს ანიჭებს უფლებამოსილებას, საგანგებო მდგომარეობის დროს სრული კომპეტენცია გააჩნდეს.

**- ანუ მის დაქვემდებარებაში რომ გადავიდა ჯარები, კანონიერია?**

- დიახ, ეს 63-ე მუხლით არის განსაზღვრული.

**- საქართველოს კონსტიტუციის დანარჩენ ნაწილებთან ეს კანონი წინააღმდეგობაში არ მოდის?**

- ვინაიდან ჩვენ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული არა გვაქვს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას რა კომპეტენცია გააჩნია, ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვიმსჯელებთ იმის თაობაზე, თუ რამდენად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. ერთადერთი შეიძლება ის [illegible] კონსტიტუციით, რომელიც მიღებულია და მოქმედებს.

**- რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის შეჩერებას, რამდენად ჰქონდა ამის უფლება აჭარის მეთაურს?**

- ამ შემთხვევაში ავტონომიის მეთაური თავისი განკარგულებით და პარლამენტის თანხმობით მოქმედებს საქართველოს კანონით საგანგებო მდგომარეობის შესახებ. ეს კანონი ითვალისწინებს ამ უფლებების შეზღუდვას, ანუ ვეყრდნობით საქართველოს კანონს საგანგებო მდგომარეობის შესახებ.

**- ფლობს თუ არა აჭარის პარლამენტი ინფორმაციას მოსალოდნელ სამხედრო შეტაკებებთან დაკავშირებით და რა ძალებია, რომლებიც დაიცავენ ადმინისტრაციულ საზღვარს?**

- ჩვენ მოვისმინეთ ინფორმაცია საინფორმაციო საშუალებებით იმის შესახებ, რომ ცენტრალური ხელისუფლების პირველი პირები ყველაფერს გააკეთებენ ქვეყანაში სტაბილურობის აღსადგენად. ჩვენ ვიცით ავტონომიის მეთაურის გამოცდილება. ის ყოველ ღონეს, პირად ავტორიტეტს მოიხმარს იმ მიზნით, რომ არავითარი შეჯახება არ მოხდეს. თუკი ვერ მოხდა კონსენ[illegible]

**- ბოლო დღეებში ვრცელდებოდა ინფორმაცია რუსი სამხედროების [illegible]**

[illegible]

# ბათუმის მიმართულებით მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის განკარგულებით, 23 ნოემბრიდან ერთი თვით, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა. [illegible] ამასთან დაკავშირებით განკარგულებაში კერძოდ ნათქვამია: "შემოღებული იქნას აჭარის ა.რ. ტერიტორიაზე შემოსვლის სპეციალური წესები. შემოსვლისას ყველა პირმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი საბუთები. ადმინისტრაციული და სახელმწიფო საზღვრის მთელ ტერიტორიაზე დაწესდეს მკაცრი კონტროლი. შეწყდეს მატარებლების მოძრაობა აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ საზღვრამდე - სადგური ურეკი. რკინიგზის სადგურებში გამოიყოს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღების შესანახი სპეციალური საცავები".

როგორც საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ბათუმის ტერიტორიალურ სამმართველოში აცხადებენ, ორშაბათ დილით ბათუმი-თბილისის მიმართულებით ჩვეულებრივ მატარებელი გავიდა. რაც შეეხება იმავე მიმართულების საღამოს მატარებლებს, მასზე ბილეთები აღარ იყიდება. სამმართველოში მატარებლების მიმოსვლასთან დაკავშირებით, თუ რა და როგორ იქნება, კონკრეტულ პასუხს ამ ეტაპზე ვერ იძლევიან.

# გურია რწმუნებულის გარეშე

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

ორშაბათს, 15 საათსა და 10 წუთზე პოსტიდან გადადგომის თაობაზე განცხადება გააკეთა გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა კარლო გუჯაბიძემ, რომელიც თითქმის 5 წლის მანძილზე რწმენითა და ერთგულებით ემსახურებოდა საქართველოს ერთი, ღვთისა და მთავრობისგან დავიწყებული კუთხის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეს. გუჯაბიძის განცხადებით, ამგვარი ნაბიჯის გადადგმა საქართველოს უკვე ყოფილი პრეზიდენტის გადაგომამ უკარნახა. იგი, ვით პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს შეჰფერის, თავისი სიუზერენის კვალს უნდა გაჰყოლოდა.

კარლო გუჯაბიძე აქტიურ პოლიტიკოსთა რიგს არც ადრე განეკუთვნებოდა და არც ამიერიდან აპირებს რაიმე განსაკუთრებულს და აცხადებს, რომ არანაირი კონფრონტაციასა და ვინმესადმი დაპირისპირებას არ ეშურება და მზად არის მისი ცოდნა და გამოცდილება კვლავ ქვეყნის სამსახურში ჩააყენოს, თუკი ვინმე მიზანშეწონილად ჩათვლის ამას.

როგორც კარლო გუჯაბიძემ გურიის ჟურნალისტებთან გურიის გუბერნატორის რანგში გამართულ ბოლო პრესკონფერენციაზე განაცხადა, გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება მიულია ოზურგეთის გამგებელს ავთანდილ ღლეყვას. თუმცა, ექს-გუბერნატორს მიაჩნია, რომ ოზურგეთსა და გურიაში ახალი ხელმძღვანელების დანიშვნამდე სახელისუფლებო ვაკუუმი არ შეიქმნება და მან საამისოდ გადადგომის წინ იზრუნა კიდეც, კერძოდ, შეხვდა სამხარეო და რაიონული სახელისუფლებო სტრუქტურების ხელმძღვანელებს და გარკვეული მითითებები მისცა, რათა შენარჩუნებული იქნას სტაბილურობა და წესრიგი.

პრესკონფერენციაზე საქართველოში მომხდარ პროცესებში კარლო გუჯაბიძემ დაადანაშაულა ცენტრალური ხელისუფლება, რომლის ცუდი მუშაობის გამო შეიქმნა მძიმე სოციალური ფონი და ხალხი სამართლიანი მოთხოვნით გამოვიდა ქუჩაში.

### მოკლედ

## სოხუმი თბილისს აკვირდება

სოხუმში ყურადღებით აკვირდებიან თბილისში არსებულ სიტუაციას და იმედოვნებენ, რომ ხელისუფლების შეცვლა ზეგავლენას არ მოახდენს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე. როგორც პრაიმნიუსს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განუცხადა, "აფხაზური მხარე მზადაა გააგრძელოს მოლაპარაკებები საქართველოს ნებისმიერ ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან, თუ ქართული მხრიდან ასეთი სურვილი იქნება". ამასთან, მოცემულ ეტაპზე მოლაპარაკებების განახლებას ნაადრევად მიიჩნევენ. **პრაიმ-ნიუსი**

## აჭარა ბოიკოტს აცხადებს

"დემოკრატიული აღორძინების კავშირი" ბოიკოტს უცხადებს ვადამდელ საპრეზიდენტო და ხელმეორე საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც კონსტიტუციის შესაბამისად, 45 დღის განმავლობაში უნდა გაიმართოს. როგორც "დაკ"-ის ერთ-ერთმა ლიდერმა ცოტნე ბაკურიამ განაცხადა, აჭარა და "აღორძინება" "ყველანაირ კავშირს წყვეტს ცენტრთან, ვიდრე ქვეყანაში კანონიერება არ აღდგება". მისივე განცხადებით, ნინო ბურჯანაძე უკანონოდ იკავებს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის პოსტს. ახალი მოწვევის პარლამენტი შეიკრიბა, შესაბამისად, "ნინო ბურჯანაძე აღარ შეიძლება ჩაითვალოს პარლამენტის თავმჯდომარედ", - აცხადებს ბაკურია.

"ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერის ედვარდ სურმანიძის განცხადებით, "პრევენციულ ხასიათს ატარებს" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ასლან აბაშიძის მიერ გატარებული ღონისძიებები, რაც რეგიონში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და ადმინისტრაციული საზღვრების ჩაკეტვაში გამოიხატა. "თუ ეს ყველაფერი ემსახურება კანონიერების დაცვასა და მოქალაქეთა უსაფრთხოებას, მაშინ ასეთი ღონისძიებები საჭიროა", - განაცხადა სურმანიძემ. **პარიმ-ნიუსი**

www.24hours.ge
24
B

ნომრის სტუმარი

# "ვარდების რევოლუციაზე" სიამოვნებით ვწერდი

მაია ჭალაბანიძე

*როგორც იქნა, საქართველოს უახლესი ისტორია შედგა და ახლა მხოლოდ "სვეტიცხოვლითა და "ვეფხისტყაოსნით" აღარ ვიამაყებთ. 2003 წლის ნოემბრის თბილისის მოვლენები რომ მრავალი ქვეყნის ხალხისა და ოპოზიციისთვის იქნება სახელმძღვანელო, ეს ახლავე ცნობილია. თბილისში ამ დღეებში მომუშავე ჟურნალისტები ამას ერთხმად აღნიშნავენ. პოსტსაბჭოთა სივრცეში მომუშავე ჩვენი კოლეგები იმუქრებიან, რომ თბილისის გაკვეთილებს განსაკუთრებით მკაცრად მოსთხოვენ "საკუთარ" ოპოზიციებს. მანამდე კი დალაგებული ყოველდღიური ინგლისური გაზეთის, Times-ის კორესპონდენტს, კლემენტინა სესილის შთაბეჭდილებებმა დაგვაინტერესა. თუ არ ჩავთვლით ტურისტულ ვიზიტს 1998 წელს, კლემენტინა თბილისში სამი დღის წინ ჩამოვიდა. იღბალმა გაუღიმა და მოვლენების კულმინაციის გაშუქება მოუხდა. ის უკვე ორი წელია Times-ის მოსკოვის ბიუროში მუშაობს.*

**- რიგით მერამდენე რევოლუციას აშუქებთ?**

- ეს ჩემი პირველი რევოლუციაა და მან უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. განცვიფრებული ვარ უბრალო ადამიანების პასუხისმგებლობის გრძნობით. ხალხი ძალიან პოლიტიზებულია და კარგად იცის, რაც უნდა, ამის გამო დიდ პატივს ვცემ ამ ადამიანებს.

**- თქვენ კულმინაციურ დღეებში ჩამოხვედით. რა იცოდით თბილისში მოსალოდნელი ამბების შესახებ?**

- მოსკოვში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი საკმაოდ ნეგატიური პოზიცია აქვთ. მე მოსკოვში ვმუშაობ და ისევე, როგორც ყველა იქ მომსახურე ადამიანი, ამ პოზიციის ერთგვარ გავლენას განვიცდი.

სააკაშვილს რუსეთიდან ვუყურებდი და მასზე დიდი წარმოდგენა არ მქონია. ვხედავდი, რომ იგი ნორმალურად საუბრობდა, იცოდა, რა უნდა ეთქვა და რა - არა. მაგრამ, ჩამოვედი და ვნახე, რომ ხალხს მისი სჯერა და ენდობა.

**- შეხვდით ოპოზიციას?**

- აქამდე არც ერთ მათგანს არ შევხვედრივარ. დღეს სააკაშვილთან მაქვს დანიშნული ინტერვიუ.

**- როგორ აშუქებთ თბილისში განვითარებულ მოვლენებს, რას ითხოვს თქვენი ლონდონის ოფისი?**

- რევოლუციის დაწყებამდე პირველი რიგის მოთხოვნა შევარდნაძეზე სტატიის გაკეთება იყო. ინგლისში, ლონდონში, ხალხმა შეიძლება არც იცოდეს, რა ქვეყანაა და სად მდებარეობს საქართველო. მაგრამ, შევარდნაძე ყველას გაგონილი აქვს. ამიტომაც, რედაქციის თხოვნა იყო, პირველი სტატია შევარდნაძეზე დამეწერა. ყველაზე მეტად ის აინტერესებდათ, თუ როგორ გახდა არაპოპულარული ერთ დროს ასე პოპულარული ლიდერი. სწორედ ეს აინტერესებდათ ჩემს ბოსებს.

**- რომელ წყაროებს დაეყრდენით ამ სტატიის წერისას, ვის შეფასებებს ენდეთ?**

- თბილისში წამოსვლამდე მოსკოვის კარნეგის ცენტრის დირექტორს, ევგენი მალაშენკოს ვესაუბრე. აგრეთვე შევხვდი სტრატეგიის და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ცენტრის ხელმძღვანელს, ალექსანდრე რონდელს და ჯუმბერ პატიაშვილს. მოკლედ, განსხვავებული წყაროები გამოვიყენე. გარდა ამისა, შევარდნაძის ოფიციალური ბიოგრაფიაც ვნახე და ეს ინფორმაციები შევაჯერე.

დიდი დახმარება გამიწია აგრეთვე ჩვენმა თანამშრომელმა, ჟურნალისტმა მაიკლ ბინიანმა, რომელიც ჩვენი ოფისის მოსკოვის ბიუროს იმ დროს ხელმძღვანელობდა, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო.

**- ახლა, როდესაც გადადგა, შეიცვალა თუ არა თქვენი აზრი შევარდნაძის შესახებ და როგორ აისახა ეს ცვლილება თქვენს სტატიაში?**

- შევარდნაძეზე ჩემი სტატია Times-ის გუშინდელ ნომერშია. მოვლენათა განვითარების კვალობაზე ყველაფერს ვითვალისწინებდი. სტატიაში ნებისმიერი ცვლილებაც ასახულია და უბრალო ადამიანების აზრიც. ასე რომ, ჩემს შთაბეჭდილებებს დიდი სხვაობა არ განუცდია.

**- მრავალი უცხოელი ჟურნალისტი მუშაობდა ამ დღეებში თბილისში. როგორ შთაბეჭდილებებს უზიარებდით ერთმანეთს?**

- რა თქმა უნდა, ვსაუბრობდით, მაგრამ ვცდილობდი, თავი ამერიდებინა მათთვის და მარტო მემუშავა. უცხოელ ჟურნალისტებს შორის საშინელი კონკურენციაა და ერთად შეკრება, რაღაცნაირად, მანერვიულებდა.

**- თქვენი კოლეგები სხვა ქვეყნებიდან და პირადად თქვენ - სტატიებში თუ მოიხსენიებთ ამ რევოლუციას "ვარდების რევოლუციის" სახელით?**

- მიმაჩნია, რომ ეს ნამდვილად ხავერდოვანი, უსისხლო რევოლუცია იყო. თქვენ ასე არ ფიქრობთ?

**- ნამდვილად ასე იყო და ვამაყობთ კიდეც ამით.**

**სად იყავით იმ დროს, როდესაც სააკაშვილი ხალხთან ერთად პარლამენტში შევიდა? რა ხდებოდა თქვენს გარშემო?**

- ამ ეპიზოდს ტელევიზიით ვუყურებდი და რასაკვირველია, გულგრილი ვერ ვიქნებოდი. განცდებში ვიყავი, მაგრამ სულ უფრო და უფრო მეტი ინფორმაციის გაგება მინდოდა იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა პარლამენტში. წარმოუდგენელია ის ემოცია, რაც იმ დროს თბილისში სუფევდა. არანაირი ინფორმაცია არ მყოფნიდა - მინდოდა მეტი გამეგო და მეტი მეგრძნო. ეს გრძნობა სულ თან მახლდა.

**- როგორც ვიცი, მიხეილ სააკაშვილს უნდა შეხვდეთ. რა შეკითხვები გაქვთ მასთან და აპირებთ თუ არა, ესაუბროთ ნინო ბურჯანაძეს და ზურაბ ჟვანიასაც?**

- პირველ რიგში სააკაშვილს იმიტომ ვხვდები, რომ ვფიქრობ, ის იქნება საქართველოს პრეზიდენტი. მან ყველაზე მეტი ენერგია დახარჯა ამ დღეებში. გარდა ამისა, ძალიან მაინტერესებს, კონკრეტულად, როგორ აპირებს ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ, რა გეგმები აქვს ამ მხრივ.

აგრეთვე მაინტერესებს, რას აპირებენ ის მინისტრები, რომლებიც ხალხს კორუმპირებულად მიაჩნია და ამის ფაქტებიც არსებობს. სააკაშვილს მინდა, ვკითხო, წავა თუ არა მათი საქმეები სასამართლოში? მინდა, გავიგო, რა გზით მოევლება ამ ხალხს...

საინტერესოა აჭარის პრობლემის გადაწყვეტის მისი ვერსია. საერთოდ, რამდენად რეალურია ეს პრობლემა და როგორ აპირებს მის გადაჭრას...

**- რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ქართულ მედიაზე?**

- პრესას ნაკლებად ვეცნობი. აქაური ტელევიზია კი ძალზე შთამბეჭდავია. მოსკოვში პრაქტიკულად არ არსებობს თავისუფალი ტელევიზია, მაგრამ აქ თითქოს თავისუფლების ჰაერი ჩავისუნთქე. ამ რევოლუციის გაშუქებისას ტელევიზიამ წარმოუდგენელი საქმე გააკეთა.

**- როგორ ფიქრობთ, დიდხანს იქნება საქართველო მთავარი თემა ინგლისელი მკითხველისთვის? რამდენ ხანს დარჩებით აქ?**

- ზუსტად ვერ გეტყვით. ვიცი, რომ უახლოეს ორ დღეში რედაქციას ჩემი სტატიები სჭირდება. მერე რა გეგმები ექნებათ, არ ვიცი. თუმცა, ერთი-ორი დღით თბილისში დარჩენა ჩემი მეგობრების მონახულებისთვისაც მინდა.

**- კიდევ წახვალთ თუ არა რევოლუციის გასაშუქებლად (რა თქმა უნდა, სხვა ქვეყანაში)?**

- ბოლო წლებში კონფლიქტებზე წერის გამოცდილება მქონდა - ვწერდი ჩეჩნეთზე და აზერბაიჯანზე. მხოლოდ წელს სამჯერ ვიყავი ჩეჩნეთში... ძალიან არ მიყვარს ძალადობაზე წერა და არ გამიხარდება, თუ კიდევ მომიწევს. ისე კი, გააჩნია, რა ტიპის რევოლუცია იქნება - ეს უკანასკნელი ჩემთვის ძალიან სასიამოვნო საწერი იყო.



კლემენტინა სესილი





მოკლედ

## მხატვრები და მსუქანი ქალები



ფერწერაში მსუქანი ქალების ისტორიის მოყოლას თუ ისურვებდა ვინმე, აუცილებლად ცნობილი "ვენერათი" უნდა დაეწყო. თანაც არა ვენერას თავით, არამედ, მისი მასიური თეძოებით. ისტორიის მოყოლა ტიციანის ლამაზმანებით და რუბენსის კოლოსალური ნაიადებით შეიძლება განვავრცოთ. ამის შემდეგ, აუცილებლად კურბეს Percheronnes-ი უნდა გავიხსენოთ. რენუარს თავისი ნაყოფიერი მობანავეებითაც ნუ დავივიწყებთ, რომლებიც ჩამავალი მზის ოქროსფერი სხივების ქვეშ დუნდებიან და ნებივრობენ.

1932 წელს მედელინში (კოლუმბია) დაბადებულ ფერნანდო ბოტეროს სწორედ ამ სტილში უყვარს ხატვა. 1956 წელს მან საკუთარი "პატარა" ნიჭის წყალობით, რომელიც ათქვეფილი გოგლი-მოგლივით აქაფდა, ფერწერაში თავისი უნივერსალური, სპილოსებრი დოგმა შექმნა. ბოტეროს საკუთარმა "საქარხნო ნიშანმა" მხატვარს მსოფლიო აღიარება მოუტანა.

ფერნანდო ბოტეროს 86 ნამუშევარი, აკვარელი და უახლესი ფერწერა, "მაიოს" მუზეუმშია გამოფენილი. ექსპოზიცია მომავალი წლის 15 მარტამდე გასტანს.

არადა, თავისი შემოქმედების დასაწყისში, ბოტეროს მსუქანი ქალები პატარა გოჭუნიების ფორმის, ნუშის ნამცხვრის სახით, სხვადასხვა საფუნთუშეში იყიდებოდა, ხოლო ნახატები საფუნთუშეს ვიტრინებს ამშვენებდა.

მხატვარი ადრე მხოლოდ ქალებზე მუშაობდა, მაგრამ შემდეგ ვერც კაცებს აუარა გვერდი. ტრადიციულად, მისი მამაკაცებიც მსუქნები არიან.

## კარმენის ინტერპრეტაციები

ოპერა "კარმენის" პრემიერა პარიზში Opera Comique-ის სცენაზე 1875 წელს შედგა. მას შემდეგ, პროსპერ მერიმეს ეს ნაწარმოები მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში სპექტაკლისა თუ ოპერის სახით, სხვადასხვა რეჟისორის მიერ და სხვადასხვა ინტერპრეტაციით დაიდგა. არც საქართველოა გამონაკლისი. ამ რამდენიმე წლის წინ, რეჟისორმა რობერტ სტურუამ თბილისის ოპერის სცენაზე "კარმენის" თავისებური ინტერპრეტაცია განახორციელა, ხოლო ერთი მსახიობის თეატრში, თენგიზ კოშკაძის დადგმაში ბოშა ქალი მარი ჯანაშიამ შეასრულა.

2004 წლის 2-დან 12 სექტემბრამდე, ჟორჟ ბიზეს უკვდავი ოპერა კარლოს საურას მიერ, სევილიაში (ანდალუზია) ღია ცის ქვეშ დაიდგმება.

ესპანელი კარლოს საურას რეჟისურით და დირიჟორ - ლორინ მააზელის დირიჟორობით, კომპოზიტორ - ჟორჟ ბიზეს ნაწარმოები კარმენის მშობლიურ ქალაქში, სევილიის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე გაიჟღერებს.

ოპერა "კარმენი" სევილიაში სავარაუდოდ 8 ათას მაყურებელს შემოიკრებს, რომელთა გარკვეული ნაწილი, ფესტივალის დღეებში საზღვაგარეთის ქვეყნებიდან ჩამოვა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ოპერის მსვლელობას მაყურებელმა ან ფეხზე დგომით უნდა ადევნოს თვალი ან მოძრავ ეტლში უნდა ჩაჯდეს, რათა ოპერის სხვადასხვა სცენებს თვალი და ყური მიადევნოს. საქმე ის არის, რომ "კარმენის" პირველი ორი აქტი "ესპანეთის მოედანზე" განხორციელდება – იქ, სადაც წინათ თამბაქოს სამეფო ქარხანა იყო განლაგებული, მესამე აქტი "მარია ლუიზას" პარკში გაიჟღერებს, ხოლო ბოლო სცენა სევილიის არენაზე გაიმართება. ესპანეთის ამ ულამაზეს ადგილს ცოცხალ დეკორაციად მდინარე გუადალკივირის წალკოტი ნაპირი წარმოუდგება.

კარმენს მსახიობი ანჟელა გეორგიუ განასახიერებს, დონ ხოზეს – რობერტო ალანა, ხოლო ესკამილიო რუჯერო რაიმონდი იქნება. განათება, სამგზის "ოსკაროსან" ("წითლები", თანამედროვე აპოკალიფსი", "უკანასკნელი იმპერატორი") ვიტორიო სტორაროს მიანდეს.

სევილიის ფესტივალზე, რომლის ბიუჯეტი 21 მილიონ ევროს აღემატება, მონაწილეობას მსტისლავ როსტროპოვიჩი, ნიუ იორკის ფილარმონიული ორკესტრი, მიხეილ პლეტნევი, რუსეთის ეროვნული ორკესტრი, ხოზე მერსე, სარა ბარასი და სხვა ვარსკვლავები მიიღებენ.

## ბონომ ნახატები გაყიდა



U-2-ს სოლისტმა საქველმოქმედო აუქციონზე საკუთარი ნახატები გაყიდა. მუსიკოსმა "კრისტის" აუქციონის სახლში სერგეი პროკოფიევის "პეტია და მგელისთვის" გაკეთებული 16 ილუსტრაცია გაიტანა. ბონო აპირებს გამოუშვას კომპაქტ-დისკი ამ ნაწარმოების საკუთარი ვერსიებით და იმედოვნებს, რომ ასეთი ხერხით ახალ თაობას კლასიკური მუსიკისადმი ლტოლვას გაუღვივებს.

საკუთარი ნახატების წარდგენისას ბონომ ჩვეული იუმორით თქვა: "როკ-ვარსკვლავები ფიქრობენ, რომ მათ ყველაფერი შეუძლიათ". საბოლოო ჯამში, ბონომ ამ ნახატების წყალობით 368 ათასი აშშ დოლარი აიღო. ეს თანხა ავადმყოფების მკურნალობას მოხმარდება.

## ოლეგ ბასილაშვილი შეშფოთებულია

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, რუსეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ოლეგ ბასილაშვილი თვლის, რომ საქართველოს კრიზისს შეიძლება სერიოზული მოვლენები მოჰყვეს.

"მე ვთვლი, რომ ედუარდ შევარდნაძემ, ყველაფერი გააკეთა საქართველოში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ, შეწყვიტა მკვლელობათა რიგი, რომლებიც გამსახურდიას მოსვლის შემდეგ დაიწყო. მისი მმართველობის დროს, საქართველოში სტაბილიზაცია დაიწყო. თუმცა, რესპუბლიკაში სოციალური დონე კვლავ დაბალია, მათ შორის ჩემი ახლობლებისაც, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ" – აღნიშნა ოლეგ ბასილაშვილმა.

საქართველოში მიმდინარე მოვლენებში ნინო ბურჯანაძის და მიხეილ სააკაშვილის როლის შესახებ, ბასილაშვილმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, - "ბურჯანაძე თავისთავს პრეზიდენტად წარმოიდგენს, ამ როლზე სააკაშვილიც მთავარი პრეტენდენტია. ამასთან დაკავშირებით, ვერ ვიწინასწარმეტყველებთ როგორ განვითარდება მოვლენები".

თუმცა, სიტუაცია საქართველოში, მსახიობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

# თავისუფლების პირველი დღე

## ვარდების რევოლუციის იმპროვიზებული ფინალი

ვერა ნეფარიძე

*ასეთი შანსი იშვიათად, ზოგან კი არც არასდროს დგება – იმღერო პარლამენტის წინ; როდესაც რამდენიმე დღის წინათ გაშინებდნენ, რომ შესაძლებელი იყო ეს ადგილი სამოქალაქო დაპირისპირების ეპიცენტრი გამხდარიყო; სადაც ქვეყნის ისტორიაში, ალბათ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უპრეცედენტო ფინალით, საკმაოდ დაძაბული მოვლენები ვითარდებოდა. საქართველოში არ განმეორდა სადღაც შეთხზული ე.წ. "ხავერდოვანი რევოლუციის" გეგმა; ალბათ. უნიკალური "ვარდების რევოლუცია" ნამდვილად იმსახურებდა კიდევ უფრო ლამაზ დასასრულს და ეს გუშინ, ისევ და ისევ პარლამენტის წინ მოხდა. ქართველმა მუსიკოსებმა დროში გაწელილ სამოქალაქო ვნებათაღელვას ღირსეული აკორდი მიუძღვნეს.*

გუშინდელი კონცერტი მეტ საფუძველს მაძლევს თამამად გავიმეორო ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში მიხეილ სააკაშვილის საკმაოდ ამაყად ნათქვამი ფრაზა (რომელმაც ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა): "ჩვენ არავის არ ვბაძავთ; აქეთ ისწავლოს მსოფლიომ ჩვენგან". და ეს რომ გამარჯვებული პოლიტიკური ლიდერის პათეტიკა არ არის მხოლოდ, მგონი, ამაში უკვე ყველანი დავრწმუნდით. გუშინ პარლამენტის წინ გამართული კონცერტის ყოველ მონაწილეს სწორედ იგივე განწყობა ჰქონდა (რაც მათივე კომენტარებიდან ირკვევა კიდეც).

კონცერტი პარლამენტის წინ იმპროვიზებული იყო: არ იყო შეზღუდული მონაწილეთა შემადგენლობა და გამომსვლელთა ხანგრძლივობა. უბრალოდ, გუშინ პარლამენტის კიბეები იმ მუსიკოსებმა დაიკავეს, ვინც ორი კვირის განმავლობაში სხვადასხვა ფორმით – საკუთარი საქმითა და მოქალაქეობრივი პოზიციის თუნდაც სატელევიზიო ეთერში საკმაოდ ხშირად გამოხატვით, არ ერიდებოდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ საკუთარი მოსაზრების ფართო საზოგადოებისთვის გაზიარებას. ამ ადამიანებმა ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ, საპროტესტო აქციების დაწყებისთანავე, წვიმაში, როდესაც ყველაზე სუფთა ფორმით გადაწყვიტეს ხალხის მხარდაჭერის გამოხატვა, გვაჩვენეს, რომ მათსა და მათ კოლეგებს შორის განსხვავება მხოლოდ ფონოგრამის მოხმარება არ არის; რომ იმღერო ფონოგრამაზე, იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ ტექნიკურ დეტალს. ამიტომ, არ მაღიზიანებს ხოლმე, როდესაც ქართველ მუსიკოსებს სწორედ ამგვარად ყოფენ: "ფონოგრამშიკებად" და "ცოცხალ მუსიკოსებად". ხალხმა კარგად იცის რას გულისხმობს ეს განსხვავება. ამიტომაც, ჩემთვის სიმბოლურად რჩება, როდესაც არჩევნების წინ, სააგიტაციოდ "ცოცხალმა მუსიკოსებმა" თავისუფალ არჩევანს მისცეს ხმა, "ფონოგრამშიკები" კი "ლოკომოტივის" სტადიონზე სახელისუფლებო ბლოკს უმღეროდნენ. გუშინდელი, "ვარდების რევოლუციის" იმპროვიზებული აკორდის ავტორები სწორედ ეს "ცოცხალი მუსიკოსები" იყვნენ. უბრალოდ, პარლამენტის წინ კონცერტზე რამდენიმე მათგანი (ირაკლი ჩარკვიანი, ნიაზ დიასამიძე) სრულიად ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოვიდნენ. მაგრამ, ამ ადამიანებმა ხომ უკვე რამდენიმეჯერ გამოხატეს საკუთარი პოზიცია.



Soft Eject



ბაკურ ბურდული



პანჩო



ძებნილი



ვახო ბაქლიას ფოტოები

რობი კუხიანიძე

**ბაკურ ბურდული:**

"მე ვუმღერი იმას, რომ ქართველ ხალხს ასე უყვარს ერთმანეთი; რომ ჩვენ, მართლაც, საამაყო ერი ვართ; მე მეამაყება, რომ ქართველი ვარ; ასეთი რაღაც არ მინახავს და არც გამიგია, რომ სადმე მომხდარიყოს; ანუ ჩვენ შეგვიძლია მთელ მსოფლიოს ვუთხრათ, რომ დაგვეწიოს. შეიძლება ერთი სიმღერა ვიმღერო, შეიძლება ორი, სამი. არ ვიცი, რა ენერგიაც იქნება; უბრალოდ, ხმა მაქვს ძალიან ცუდ დღეში. ვიცი, რომ ნამდვილად შევასრულებ სიმღერას "გამოგვივა ხვალ" იმიტომ, რომ დღეს ძალიან კონცეპტუალურია, დანარჩენს სიტუაცია მაჩვენებს".

**ვახო ბაბუნაშვილი**
*Soft Eject*

"მე ამ საღამოს დავარქმევდი ყველაფრის მშვიდობიანად დამთავრების სიხარულს. იმ იმედის გამოხატულებას, რომ ეს ადგილი აღარ იქნება, დავუშვათ, საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთმანეთთან პრეტენზიების გარკვევის ადგილი. ის რაც მოხდა გუშინ, მინდა დავიჯერო, რომ ბოლოჯერ იყო ეს ადგილი დაძაბულობის ეპიცენტრი. მუსიკა ასრულებს იმ დაძაბულ დღეებს, როგორც მუსიკას სჩვევია, ლამაზად. ხვალიდან ვიწყებთ უკვე მშენებლობას. ჩვენი შემოქმედებით გვინდა კიდევ ერთხელ გამოვხატოთ არაძალადობრივი ცვლილებების მხარდაჭერა".

**აჩიკო გულედანი**
*მწვანე ოთახი*

"ვზეიმობთ იმას, რომ არავის არაფერი დაემართა და ჩვენ, ხალხმა, ყველამ ერთად შევძელით, რაც გვინდოდა ის გაგვეკეთებინა. ჩვენ ვამბობდით, როდესაც დამთავრდება ეს ყველაფერი მშვიდობიანად, კონცერტით აღვნიშნავთ და დღეს ვასრულებთ ჩვენს სიტყვას".

**ძებნილი**

"ჩემგან განსხვავებით, დღეს ბევრ სახეს ვხედავ, ვინც იმ დღეებში არ იყო და დღეს მოვიდა მხოლოდ. ალბათ, ეს ხალხი კონცერტისთვის არის მოსული; ხოლო, როდესაც მათი პროფესია სასწორზე იდო, ელოდა როგორ დასრულდებოდა. მე პირადად, ორი ნოემბრის შემდეგ დღემდე აქ ვდგავარ და ყოველთვის ვიდგები ქართველი ხალხის გვერდით და არა რომელიმე პარტიასთან. ჩემი სურვილია, დღევანდელ საღამოს გაენეიტრალებინოს ყველაფერი, რაც ორი კვირის განმავლობაში ხდებოდა აქ. და ეს კონცერტი გამარჯვების სიმბოლოდ მიმაჩნია".

**პანჩო**

"ეს დღე ალბათ ყველას დაამახსოვრდება იმიტომ, რომ ასეთი, ალბათ, აღარ იქნება. ეს არის თავისუფლების პირველი დღე".

**ლადო ბურდული**

"სიმართლე რომ გითხრა, მე არა ვარ მიტინგების კაცი. მაგრამ, მე იმედი მაქვს, რომ ეს, რაც დღეს ხდება, არის მონტაჟი 1989 წლის 9 აპრილსა და დღევანდელ დღეს შორის. ეს რაღაც საშინელება, რაც საქართველოს ცხოვრებაში 1989 წლის 9 აპრილიდან დღემდე ხდებოდა, ეს ამოიჭრება, გადაებმება და გამოვა კარგი კინო";

**რობი კუხიანიძე**
*აუტსაიდერი*

"ჩემთვის ეს კონცერტი არ არის. ჩემი აზრით, მთელი ქართველი ერისთვის ეს უნდა იყოს კონცერტი-რეპეტიცია. ბევრი რომ გაგვიხარდა და გადავყევით სიხარულს. მე მაინც მიმაჩნია, რომ უნდა ვიმღეროთ, ვიცეკვოთ, გვიხაროდეს, მაგრამ "უნდა გადავაგდოთ", უნდა დამთავრდეს. სამშობლო ჩემთვის ლამაზი ქალივითაა კარგ ქალებში ცხოვრება ოდესღაც მოსაწყენი უნდა გახდეს. 38 წლის ვარ და მიხარია, რომ ეს პერსპექტივა შექმნეს ჩემი თაობის ადამიანებმა. რაღაცა უნდა შეცვლილიყო და მე უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ მშვიდობიანად, მამაშვილურად გადაწყდა. კარგი იქნება, თუ ამ ემოციებს, რაც გვაქვს დაგროვილი, ყოფით ცხოვრებაში გამოვიყენებთ".

# ლაიონელ ჩეტვუდი - ამერიკელი ჭიაურელი

ანუ პოლიტბიურო თეთრ სახლში

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

დრამატურგმა და სცენარისტმა, ლაიონელ ჩეტვუდმა აღიარა, რომ "გაიჭედა". ლაიონელი ჰყვება: "საშინელება იყო. მთელი დღე ვიჯექი ხოლმე და ერთ ეპიზოდს ძლივს ვერეოდი. შემდეგ მეორე სართულზე ავდიოდი, ლოგინზე მივეგდებოდი და ტელევიზორს ვრთავდი. და აი, ეკრანზე ჩნდებოდნენ ადამიანები, რომელთა შესახებაც მთელი დღის განმავლობაში ვცდილობდი რამის დაწერას. ისინი მჭერმეტყველები და მკაფიოები იყვნენ, თავიანთი თვალსაზრისი გააჩნდათ. მე კი რას ვფიქრობდი, რას ვჯღაბნიდი?"

ჩეტვუდის მარტვილობა გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო, როცა ტელეარხმა "შოუთაიმმა" მას დოკუმენტური დრამის "DC 9/11: კრიზისის დროს" (DC - კოლუმბიის ოლქი, რომელშიც შეერთებული შტატების დედაქალაქი, ვაშინგტონი შედის) სცენარი შეუკვეთა. დოკუმენტური დრამა ეწოდება რეალური მოვლენების გადმოცემას, სინამდვილესთან მაქსიმალურად მიახლოებულს. ჩეტვუდს შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის "ცხოვრებისა და მოღვაწეობის" აღწერა ევალებოდა, ერთი – მაგრამ როგორი! – დღის განმავლობაში: 2001 წელის 11 სექტემბერს, როცა ტერორისტებმა სარეისო თვითმფრინავები გაიტაცეს და ნიუ იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტყუპები და ვაშინგტონში პენტაგონის ხუთი ფრთიდან ერთ-ერთი დაანგრიეს.

ტრაგიკული კრიზისის ჟამს პრეზიდენტისა და მთავარსარდლის ჰეროიკული სახის შექმნის საპატიო ამოცანა ჩეტვუდს შემთხვევით როდი ხვდა წილად. ის დემოკრატ-ლიბერალებით სავსე ჰოლივუდში იშვიათი მოვლენა ბრძანდება. "მე ერთადერთი ვარ ჰოლივუდში – შიშველი, განძარცვული, რომელიც რესპუბლიკელთა კომოდში არ იმალება," წერს ჩეტვუდი თავის შესახებ. და აი, ეს იშვიათი სულიერი გაიჭედა.

შემოქმედებითი კრიზისიდან გაშიშვლებული ჰოლივუდელი რესპუბლიკელი კეთილმა კაცმა – პრეზიდენტის მთავარმა პოლიტიკურმა მრჩეველმა, მისმა ნაცრისფერმა კარდინალმა, კარლ როუვმა გამოიყვანა. როუვმა ფართოდ და სტუმართმოყვარედ გაუღო ხელოვანს თეთრი სახლის კარი, რამაც ამ უკანასკნელს შემოქმედებითი ბიძგი მისცა (ანალოგიურ შემთხვევებში მიხეილ ჭიაურელი, კინემატოგრაფიული სტალინიანას შემოქმედი, კრემლს მიაშურებდა ხოლმე. "მე ფეხით ვაღებ კრემლის კარიბჭეს და კრემლში დრედნოუტივით შევდივარ," მეუბნებოდა ხოლმე ბატონი მიხეილი).

თეთრ სახლში ნაკლებად ენერგიულად შემავალი ჩეტვუდის თქმით, მისი "DC 9/11" "პრეზიდენტის აღფრთოვანებული თაყვანისმცემლების მიერ შეთხზული ჰოლივუდური ფანტაზია კი არაა, არამედ თეთრ სახლთან მრავალდღიანი თანამშრომლობის შედეგი გახლავთ". ფილმი მოვლენებს ისე კი არ აშუქებს, როგორც ავტორს გაუხარდებოდა, არამედ ისე, როგორც ბუშის ადმინისტრაცია ისურვებდა ისტორიაში შესვლას. ეს ჰოლივუდელი რესპუბლიკელისგანაც კი იშვიათი აღიარებაა!

მაგრამ, თეთრი სახლის დერეფნებში სიარულიც არ აღმოჩნდა საკმარისი ავტორის შემოქმედებითი პოტენციის გამოსახსნელად, და მან მოკრძალებით მიუთითა კარლ როუვს, რომ ძალიან სჭირდება დოკუმენტური დრამის მთავარ გმირთან – თავად პრეზიდენტთან შეხვედრა. "ვნახოთ, რა გამოგვივა," უპასუხა ნაცრისფერმა კარდინალმა. და აი, გასული წლის დეკემბერში ჩეტვუდი თეთრ სახლში გამოიძახეს. როუვმა ის პრეზიდენტის ოვალურ კაბინეტში შეიყვანა და სცენარისტი ბუშთან პირისპირ ერთი საათით დატოვა.

"რით შემიძლია დაგეხმაროთ?" ჰკითხა მწერალს მთავარსარდალმა.

"მე ვერ შევძლებ კინოფილმის შექმნას, სანამ სამ განსხვავებულ ადამიანში ვერ გავერკვევი. ესენი არიან პრეზიდენტი, უზენაესი მთავარსარდალი და უბრალო ბიჭი სახელად ჯორჯ უოკერ ბუში, რომელსაც ცოლ-შვილი ჰყავს და უამრავი განცდა გააჩნია," უპასუხა მწერალმა მთავარსარდალს. მწერლის თქმით, პრეზიდენტმა მას გაუგო და მის მიმართ სიმპათიითაც კი განიმსჭვალა. მან თქვა: "მე ჩინებულად მესმის თქვენი. მაშ, მოისმინეთ, რა მოხდა." და პრეზიდენტმა მწერალს 9/11-ის ისტორიის თავისი ვერსია უამბო.

მწერლის კრიზისი უკვალოდ გაქრა. ბუშის იდეებით გამდიდრებულმა ჩეტვუდმა სცენარი სამ კვირაში დაასრულა. ერთი თვის განმავლობაში არხმა "შოუთაიმმა" ფილმი არაერთგზის აჩვენა.

კრიტიკოსებმა ლაიონელ ჩეტვუდის ქმნილება მტრულად მიიღეს და ასე დაახასიათეს: "გულისამრევი პროპაგანდისტული ფილმი, რომელიც მისტერ ბუშის საარჩევნო კამპანიისთვისაა მისადაგებული" ("ნიუ იორკ თაიმსი"). კინოკრიტიკოსი ტომ შეილი "ვაშინგტონ პოსტში" წერდა: "ჩეტვუდის ფილმს ერთი რამ აკლდა: პრეზიდენტისთვის ცხენი არ შეაკაზმვინა და ავღანეთისკენ არ გააჭენა, ოსამა ბინ ლადენთან შესარკინებლად". აპოლიტიკურმა, გასართობმა ჟურნალმა "პიპლმაც" კი დამანგრეველი კრიტიკა გამოაქვეყნა და "DC 9/11"-ს "სერიოზულად მოსაწყენი" უწოდა.

ჟურნალმა ორ ყურადსაღებ მომენტზე გაამახვილა ყურადღება. პირველი: პრეზიდენტ ბუშის როლს ფილმში მსახიობი ტიმოთი ბოტომსი ასრულებს. ის საოცრად ჰგავს ორიგინალს. ეს სულ არაა გასაოცარი. დიდი ხნის განმავლობაში, არხზე "კომედი ცენტრალ", ტელესერიალში "ეს ჩემი ბუშია", ბოტომსი ბუშს თამაშობდა. ამ სერიალში პრეზიდენტი შანტაჟირებულ უბრალო ბიჭს ჰგავს (Boob). ამრიგად, მსახიობმა, უბრალოდ, (Boob) კომიკოსის ამპლუა დრამატული გმირის ამპლუათი შეცვალა, და ეს იმდენად დრამატული არაა, რამდენადაც კომიკურია. სხვათა შორის, კომიკოსი ბოტომსი შეუდარებლად უფრო შთამბეჭდავია. მისი გმირი ბუში მანეკენს ჰგავს, მაშინ, როცა შანტაჟირებული ბუში შესანიშნავად გამოუვიდა. მეორე: ჟურნალი "პიპლ" წერს, რომ დანარჩენი ადამიანები – რეალური პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც ფილმში არიან გამოყვანილი, მათ შორის ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი (მსახიობი ლოურენს პრესმენი), პენტაგონის შეფი რამსფელდი (ჯონ კანინგჰემი), ეროვნული უსაფრთხოების თანაშემწე კანდოლიზ რაისი (პენი ჯონსონ ჯერლდი) და სხვები, ხან ერთ სხდომაზე და ხან მეორეზე დამუნჯებულები სხედან. მათი ძირითადი დანიშნულება ისაა, რომ ბუშის შთამბეჭდავ ძალასა და მიზანსწრაფულობას განასახიერებდნენ".

ამ პასაჟმა კვლავ ჭიაურელი მომაგონა. მის ფილმებში პოლიტბიუროს, შემდგომ კი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრები, ძირითადად, ასევე დუმან და ასევე არიან აღტაცებული ბელადისა და ყველა დროისა და ხალხის უდიდესი სარდლის სიბრძნით. მიხეილ გელოვანი, რომელმაც სტალინი ითამაშა, ცხადია, მანამდე არავითარ კომიკურ სკეჩში მას არ ასახიერებდა. მაგრამ თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე მან ბრწყინვალედ შეასრულა მთავარი როლი სპექტაკლში "სულელი". მართალია, მას შემდეგ, რაც გელოვანმა ბელადის სახე შექმნა, სპექტაკლი მოხსნეს – ხომ არ შეიძლებოდა, რომ ერთსა და იმავე მსახიობს სულელიც ეთამაშა და ბრძენი ბელადიც! სტალინის როლის შესრულებამ დიდი მსახიობი დაღუპა. მას ოფიციალურად აუკრძალეს კინოსა თუ თეატრში სხვა როლების თამაში.

სხვათა შორის, მიხეილ გელოვანი სტალინს არასოდეს შეხვედრია, ისევე, როგორც ბოტომსი – ბუშს. მიხეილ ჭიაურელი მათი შეხვედრის სასტიკი წინააღმდეგი იყო. როცა სტალინი ორივე პატიჟებდა ხოლმე, ჭიაურელი მარტო მიდიოდა. ბელადის კითხვას "სად არის გელოვანი?" ის, ჩვეულებრივ, პასუხობდა: "ისევ დათვრა". მიხეილ ჭიაურელს შური ამოძრავებდა. ის ენამოსწრებულ კაცად ითვლებოდა და გიტარაზე კარგად უკრავდა. სტალინის კრემლში ჯამბაზის ოფიციალური თანამდებობა არ არსებობდა (ხრუშჩოვი არ ითვლება). ამ როლს ყველაზე უკეთ ჭიაურელი უძღვებოდა, რომელსაც კუშტი ბელადის გართობა და გაცინება შეეძლო. მაგრამ ჭიაურელმა იცოდა, რომ გელოვანი უფრო ენამოსწრებული იყო და გიტარაზეც ვირტუოზულად უკრავდა. ჭიაურელს ეშინოდა, რომ გელოვანი მას დაჩრდილავდა და კრემლის სულელის თუ ჯამბაზის როლს წაართმევდა.

მაგრამ, კვლავ "DC 9/11"-ს დავუბრუნდეთ. თურმე ჩეტვუდმა ინტერვიუს მცირერიცხოვანი "ადამიანური მომენტებიც" კი პროპაგანდისტულად გამოიყენა. ერთ მაგალითს მოვიყვან. 9/11-ის ტერაქტის შემდეგ ნიუ იორკში მოგზაურობის შესახებ თხრობისას ბუშმა ასეთი სცენა გაიხსენა: "მაშველი მომიახლოვდა. ხელები დასისხლიანებული ჰქონდა, ფრჩხილები – დამტვრეული. მან გაჯავრებულმა მითხრა: "მე აქ ჩემი ძმის პოვნას ვცდილობ. მე თქვენთვის ხმა არ მომიცია, მაგრამ თქვენ უნდა იპოვნოთ ადამიანები, რომლებმაც ეს ჩაიდინეს (ანუ ტერორისტები – მ.ს.). გესმით ჩემი?!" ბუშის თქმით, "ვიგრძენი, რომ შურისძიების და რისხვის ტალღა მომაწვა. თავბრუ დამეხვა". თითქოს, საუკეთესო მასალაა დრამატურგ-სცენარისტისთვის. მაგრამ უზენაესი ხელისუფლების წინაშე მოწიწება უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ფილმში მაშველი მოწიწებით ეახლება პრეზიდენტს და შემდეგ თბილად ართმევს მას ხელს.

ნიუ იორკში, "გრაუნდ ზეროზე" მომუშავე ამერიკელი მაშველის დასისხლიანებულმა ხელებმა უნებურად უბრალო რუსი ქალის ნაჯაფარი ხელები მომაგონა, რომელმაც გამარჯვებას თავის ვაჟები შესწირა. მის როლს ფილმში "გამარჯვება" მსახიობი გიაცინტოვა ასრულებს. ფილმის დასასრულში სტალინ-გელოვანი მას სახალხო მადლიერების ნიშნად ხელზე ჰკოცნის. კრემლში ფილმის ჩვენების შემდეგ სტალინმა ეშმაკურად ჰკითხა ჭიაურელს: "ოდესმე გინახავთ, რომ ამხანაგი სტალინი ქალს ხელზე ჰკოცნიდეს"? მეფის კარზე გამოცდილმა ჭიაურელმა დაუფიქრებლად მიუგო: "ხალხს უნახავს, ამხანაგო სტალინ!" ბელადს ულვაშებში ჩაეცინა და მან მოწყალედ დაიქნია ხელი. ხელზე კოცნის ეპიზოდი გადარჩა. ასე იქმნება მითები, რომლებიც ცალკეული ადამიანებისა თუ მთელი კაცობრიობის მეხსიერებაში ნებისმიერ ფაქტზე, ნებისმიერ რეალობაზე მკაფიოდ რჩება.

ხელზე კოცნის ამბავი, რომელიც თავად ჭიაურელისგან მოვისმინე, სადღაც უკვე მაქვს მოყოლილი. მაგრამ, გამეორება ცოდვა არაა. თან, მე მგონი, არც უადგილოდ გამხსენებია. გავა წლები, ათწლეულები, ნიუ იორკის "გრაუნდ ზეროზე" ახალი ცათამბჯენები აღიმართება, და თეთრი სახლის ოვალურ ოფისში სხვა პრეზიდენტები ისხდებიან. 9/11-ის მომდევნო წლისთავებზე კი ტელეეკრანებზე ჩეტვუდის, ამერიკელი ჭიაურელის ფილმს დაატრიალებენ, რომელშიც ჯორჯ ბუში ტერორიზმის დამლახვრელი წმინდა გიორგის სახით მოგვევლინება.

ვიმეორებ: ასე იქმნება მითები – ისტორიის საბოლოო ვერსია.



ბოტომსი ბუშის როლში

# დედოფლის ქუდი და ბეისბოლის კეპი

"ვაშინგტონ პოსტი" ისევე, როგორც მთელი დასავლური მედია, იმდენად იყო გართული ჩვენი ფლორისტული რევოლუციის გაშუქებით, რომ ცოლ-ქმარი ბუშების ბოკინგემის სასახლეში ვიზიტის დეტალების განხილვისთვის გუშინღა მოიცალა. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ისე კი, გუშინ აშშ-ს პრეზიდენტის ბრიტანეთში სტუმრობის თემას "ვაშინგტონ პოსტი" მართლაც დაუბრუნდა. ამჯერად, ვიზიტის პოლიტიკური ასპექტების გაშუქების შემდეგ, სადავეები ხელში გაზეთის სტილისა და კულტურის განყოფილებამ აიღო და მკითხველი საქმეში მოდის კუთხით ჩაახედა. ასე რომ, ბუნებრივად დაუპირისპირდა ერთმანეთს ელიზაბეტის სასახლის დიდფარფლიანი ქუდებითა და ბრილიანტებით გადატვირთული მკაცრი ეტიკეტი და ტეხასური ჩექმითა და ბეისბოლის კეპით გაჯერებული ამერიკული ყოველდღიურობა.

ეს დიდ ბრიტანეთში ბუშის პირველი სახელმწიფო ვიზიტი გახლდათ. თუმცა, ის ისტორიული იყო არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით. როგორც ჩვენი შესავლიდან დარწმუნდებოდით, თავიანთი კომპეტენტური დასკვნები გააკეთეს მოდისა და იმ პოპულარული სფეროს წარმომადგენლებმაც, რომელსაც ქართულად "ცხოვრების სტილი" ჰქვია. თუმცა, აქვე უნდა აღვიშნოთ, რომ ჩაცმის ეტიკეტზე ამერიკული პრესა ალაპარაკდა და არა ბრიტანული. ეს უკანასკნელი ბუშის ვიზიტის ოფიციალური მხარის სხვადასხვა დონეზე განხილვა-გაქილიკებით შემოიფარგლა (გახსოვთ, ალბათ, "მირორის" "ათი ტურისტული რჩევა ბრიტანეთში მოგზაურობის მსურველთათვის").

რაც შეეხება სახელმწიფო ვიზიტების მოდას, "ვაშინგტონ პოსტის" საერთო დასკვნა ასეთი იყო: ლორა ბუში ბრიტანეთის სასახლის პომპეზურ ეტიკეტს არ შეუშინდა და საკუთარი მოდური შტრიხები გამბედავად დააფიქსირა.

ეს, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატა, რომ ამერიკის პირველმა ლედიმ არად ჩააგდო ქორწილებსა და დაკრძალვებში დიდი, ფარფლიანი ქუდის დახურვის ინგლისური ტრადიცია და ელიზაბეტ დედოფლისგან განსხვავებით სამეფო მიღებაზე უქუდოდ გამოცხადდა. თვითონ დედოფალს კი შთამბეჭდავი და მდიდრული თავსაბური ამშვენებდა, რომელიც დაახლოებით ისე გამოიყურებოდაო, როგორც ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში წარმოქმნილი აისბერგის წვერი, - წერს "ვაშინგტონ პოსტი".

იქვე ირკვევა, რომ ქალბატონმა ბუშმა უქუდობა წარსული გამოცდილების გამოც აირჩია. მაღალი წრის მანდილოსნების ეს მდიდრული აქსესუარი ხომ არც მის წინამორბედებს, ჰილარი კლინტონსა და ნენსი რეიგანს მოსწონდათ. მეტიც, ქმრების ინაუგურაციების დროს დიდფარფლიანი ქუდის ტარების გამო ისინი თავს ძალზე უხერხულად გრძნობდნენ და პრესის ირონიული შენიშვნების მსხვერპლი ხდებოდნენ.



ბუში თავისი და გაერთიანებული სამეფოს დედოფალთან ერთად



REUTERS

ელიზაბეტ II და პირველი ლედი

და მართლაც, იმაზე უფრო გამომწვევი თავსაბურის ტარება, ვიდრე სათხილამურო ქუდი და ბეისბოლის კეპია, ხანგრძლივი ვარჯიში სჭირდება. ვაშინგტონი კი ის ქალაქი არ არის (ლონდონისგან განსხვავებით), სადაც ამგვარ ელიტარულ წვრთას გაივლის კაცი, - შენიშნავს ჟურნალისტი.

თუმცა, ის გაუბედაობა, რაც ლორა ბუშმა მდიდრულ ქუდზე უარის თქმით გამოავლინა, ძვირფასი სამკაულის განხრით გააქარწყლა. მეტიც, ბეკინგემის სასახლეში გამართულ სადილზე ბრილიანტებით თავით ფეხებამდე აბრჭყვიალებულ ელიზაბეტ დედოფალს ლორაც არ ჩამოუვარდებოდა ბზინვარებით: ამერიკის პირველ ლედის ბრილიანტისა და მარგალიტის ულამაზესი ყელსაბამი ეკეთა შესაფერისი საყურით და მთელი სახე უციმციმებდა.

თეთრი სახლის ოფიციალური ცნობით, ეს ელიტარული "აღჭურვილობა" ლორა ბუშს დედამთილმა, ყოფილმა პირველმა ლედიმ, ბარბარა ბუშმა ათხოვა. მას, თავის მხრივ, თითქმის გამუდმებით ეკეთა რამდენიმე აცმა მარგალიტის ყელსაბამი, რის გამოც ელიტარულ წრეებში მარგალიტის მოდის ფუძემდებლადაც მიიჩნევდნენ.

ბუშებთან გამართულ ოფიციალურ სადილზე დედოფლის ბრჭყვიალი კი ტელეეკრანიდანაც კარგად აღწევდა. მას ბრილიანტის დიადემა ეკეთა, რომელიც იმდენი კარატი ბრილიანტით იყო გაწყობილი, რამდენიმე პატარა სახელმწიფოს რომ შეინახავდაო, - მწარედ შენიშნავდნენ ჟურნალისტები. თუმცა, ეს კიდევ არაფერი. ელიზაბეტს ეცვა ოქროთი მოოქვილი კაბა და ხელში ოქროთივე გაწყობილი პატარა ჩანთა ეჭირა.

ერთი სიტყვით, ჩაცმა-დახურვის ეტიკეტი ბუკინგემის სასახლეში კიდევ ერთხელ პომპეზურად დაიცვეს. დედოფალს აკადემიურობასა და მდიდრულობაში არც პირველი ლედი ჩამორჩა. მისთვის თავისუფალი, მაგრამ, ამავე დროს. ძალზე დახვეწილი ფერისა და დიზაინის კაბა კაროლინა ჰერერას სამოდელო სახლმა შეარჩია. ფეხსაცმელი კი ლორა ბუშს ცნობილმა დიზაინერმა მანოლო ბლაჰნიკმა შეუკერა. ქალბატონმა ბუშმა ზედმიწევნით დაიცვა ხელთათმანის ეტიკეტიც: პროტოკოლის მიხედვით ე.წ. თეთრი ჰალსტუხის წვეულებებზე ხომ ქალბატონებს მხოლოდ და მხოლოდ თეთრი ფერის ხელთათმანი უნდა ეკეთოთ, სხვა ფერი ძალიან ცუდ ტონს ნიშნავს. ასე რომ, მართალია, ლორა ბუშის დიდი ზომის ხელთათმანის გამო "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტს თეთრხელება მინი მაუსი გაახსენდა, მაგრამ პირველი ლედი ეტიკეტში ზედმიწევნით იჯდა.

ასე რომ, მოდის თვალსაზრისით ლორა ბუშმა გამოცდა ფრიადზე ჩააბარა, რასაც მის მეუღლეზე ვერაფრით ვიტყვით. საგულდაგულოდ გამოპრანჭულ ჯორჯ ბუშს ხომ სამახსოვრო ფოტოებზეც კი ეტყობა დაძაბულობა. როგორც ამერიკელი ჟურნალისტი წერს, პრეზიდენტი ისე გაშეშებული დგას, თითქოს მთელი ტანი მზეზე ჰქონდეს დამწვარი და თითოეულ მოძრაობაზე სხეული საშინლად ეწვოდეს. რას ვიზამთ, ბუში მუდამ რჩება იმ მამაკაცად, რომელიც ყველაზე კომფორტულად თავს "ვრანგლერის" ჯინსსა და სპორტულ მაისურში გრძნობს. აუცილებელი ატრიბუტია უზარმაზარბალთიანი ქამარიც.

# საფეხბურთო ცხოვრება გრძელდება

**საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის განცხადება**

გუშინ "24 საათს" საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრესსამსახურმა მიაწოდა განცხადება, სადაც ნათქვამია:

"ქვეყანაში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, საფეხბურთო ცხოვრება ერთი წუთითაც არ შეფერხებულა. არ გადადებულა არც ერთი მატჩი როგორც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს და პირველ ლიგაში, ისე ასაკობრივ, ბავშვთა ლიგებში. ამჟამადაც საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ჩვეულ რიტმში აგრძელებს მუშაობას. დღეს გაიმართება ბავშვთა ლიგის თამაშები, ხოლო 25 და 26 ნოემბერს ჩატარდება უმაღლესი ლიგის მე-19 ტურის კალენდარული მატჩები.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა მხარს უჭერს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესს და ახალ, კანონიერ ხელისუფლებას. დარწმუნებული ვართ, ქვეყნის ხელმძღვანელობაში დემოკრატიული ძალების მოსვლის შედეგად კარდინალურად სასიკეთოდ შეიცვლება სპორტის და, კერძოდ, ფეხბურთის მიმართ დამოკიდებულება. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების დახმარებით, ქართული ფეხბურთი განვითარების გზით წავა".

# ქალები კაცებთან თამაშს ერიდებიან

შვედეთის ფეხბურთელ ქალთა ნაკრების ორმა წევრმა უარი განაცხადა იტალიურ "პერუჯასთან" კონტრაქტის გაფორმებაზე. არადა, "პერუჯას" პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩი ყოველმხრივ ცდილობდა, შვედი მანდილოსნები თავის გუნდში მიეწვია. ჰანა ლიუნგბერგი და ვიქტორია სვენსონი მიიჩნევენ, რომ მათ იტალიაში არაფერი ესაქმებათ.

"მე კარგად არც მესმის, რატომ უნდა გადავიდე ვაჟთა გუნდში", - განაცხადა ლიუნგბერგმა.

შეგახსენებთ, რომ ლუჩანო გაუჩის სურს, "პერუჯა" აქციოს მსოფლიოში ყველაზე ემანსიპირებულ კლუბად, რომელშიც მამაკაცების გვერდით ქალებიც ითამაშებენ. ბოლო თვეების განმავლობაში გაუჩი ეძებდა ქალს, რომელიც შეძლებდა იტალიის ლიგაში გამოსვლას არა როგორც თილისმა, არამედ როგორც მოთამაშე. გაუჩი ამტკიცებს, რომ მის გუნდში ქალბატონი უკვე ზამთარში გამოჩნდება, როცა სატრანსფერო დერეფანი გაიხსნება.

კლუბის აგენტები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სამოგზაუროდ ჯერ კიდევ ზაფხულში დაიძრნენ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ სწორედ აქ მოძებნიდნენ თავისთვის სასურველ ფეხბურთელ ქალბატონს. პრეზიდენტის თქმით, იქაური ქალები ტექნიკური თვალსაზრისით საკმაოდ კარგად არიან მომზადებულნი და მამაკაცებს არაფრით ჩამორჩებიან.

გაუჩის ახირებასთან დაკავშირებით იტალიის ფეხბურთის ფედერაცია დუმს, მაგრამ "პერუჯას" პრეზიდენტი აცხადებს, რომ ჩინოვნიკებთან საერთო ენას გამონახავს. "რეგლამენტის მიხედვით მამაკაცებს ქალთა გუნდებში თამაში სასტიკად ეკრძალებათ, მაგრამ ქალბატონებისთვის არავითარი წესი არ არსებობს", - ამტკიცებს იტალიელი.

## TV-სპორტი

**სამშაბათი. 25 ნოემბერი**

**НТВ + ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: კელვინ მერფი
08:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 1987. ფინალი. აღმოსავლეთ კონფერენცია. "BOSTON CELTICS" - "DETROIT PISTONS". მე-5 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
14:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. "სანტოსი" – "ფლუმინენსე"
16:40 თავისუფალი დარტყმა
17:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:00 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:00 "გამომჟღავნება"
19:30 "ცხრიანი"
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 თავისუფალი დარტყმა
20:05 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:00 ჩემპიონთა ლიგა. "ლოკომოტივი" (რუსეთი) – "დინამო" (უკრაინა). პირდაპირი ტრანსლაცია
23:25 ON-LINE ჩემპიონთა ლიგა
01:45 ჩემპიონთა ლიგა. "სელტიკი" – "ბავარია"
03:40 03:40-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: კარიმ ბდულ-ჯაბარი

**НТВ + СПОРТ**

09:00 09:00-დან 11:00-მდე შესვენება
11:00, 14:00, 17:15, 19:00 პრესცენტრი
11:15, 19:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 "რკინის ფაქტორი"
12:15 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. გადამწყვეტი მატჩი
14:15 "ორშაბათამდე მივატანთ"
14:45 "ყველაზე ძლიერი ადამიანი". ჰოლანდია. პირველი ნაწილი
15:15 ბრძოლა K1-ის ვერსიით. საერთაშორისო ტურნირი. გრან-პრი. გადაცემა იაპონიიდან
17:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. მეოთხედფინალი
18:30 "ბილიარდის მეუფენი"
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 "ყველაზე ძლიერი ადამიანი". ჰოლანდია. მეორე ნაწილი
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 ამერიკული ფეხბურთი. "TAMPA BAY BUCCANEERS" – "NEW YORK GIANTS". შესვენებისას (22:00) პრესცენტრი
23:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "ინტერი" – "არსენალი". პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 ახალი ამბები
01:50 01:50-დან 11:00-მდე შესვენება
06:00 ამერიკული ფეხბურთი. "TAMPA BAY BUCCANEERS" – "NEW YORK GIANTS". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
13:15 სნუკერი. ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
15:00 ფეხბურთი. ევროგოლები
16:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი
17:00 სნუკერი. ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
21:00 ფეხბურთი. ევროგოლები
22:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
00:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
02:30 ახალი ამბები
02:45 სნუკერი. ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
04:15 ახალი ამბები

## ფეხბურთი

# მეხუთე ტური „გალათასარაისა" და „იუვენტუსის" გარეშე

აკა ტონია

*ჩემპიონთა ლიგის დღევანდელ ტურში რვა მატჩის ნაცვლად მხოლოდ შვიდი შედგება. სტამბულში მომხდარი ტერაქტების გამო, D ჯგუფის შეხვედრა "გალათასარაისა" და "იუვენტუსს" შორის 2 დეკემბრისთვის გადაიდო. თუმცა, საინტერესო მატჩები დღევანდელ ტურში მაინც იქნება.*

### A ჯგუფი

**სელტიკი – ბაიერნი**
**ანდერლეხტი – ლიონი**

A ჯგუფის მონაწილე ოთხივე გუნდს ჯერ კიდევ აქვს მერვედფინალში გაღწევის შანსი, თუმცა, "ბაიერნის" მდგომარეობა უფრო რთულია, ვიდრე გლაზგოს "სელტიკისა", რომელიც დღეს საკუთარ მოედანზე ითამაშებს მიუნხენური კლუბის წინააღმდეგ. შოტლანდიის ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩი "დანდის" წინააღმდეგ "სელტიკმა" 5:1 მოიგო და ჩინებულ ფორმაშიცაა. "ბაიერნს" კი საკმაოდ დიდი პრობლემები აქვს. სებასტიან დაისლერი ფსიქიატრიულ კლინიკაში წევს, მენეჯერ ჰიონესს კი ბალაკის სპორტული ფორმა აეჭვებს. თუ "ბაიერნი" გამარჯვებას ვერ მოახერხებს, ჯგუფიდან გასვლის შანსს, პრაქტიკულად, დაკარგავს. ხოლო თუ "სელტიკმა" მოიგო, "ანდერლეხტისა" და "ლიონის" მატჩი კი ფრედ დასრულდა, შოტლანდიელები ვადაზე ადრე გაინაღდებენ მერვედფინალის საგზურს.

"ლიონთან" მატჩის ფრედ დასრულება კი არამც და არამც არ აწყობს თავად "ანდერლეხტს". გუნდი A ჯგუფის უკანასკნელ საფეხურზეა და თეორიული შანსის შესანარჩუნებლად მხოლოდ გამარჯვება სჭირდება.

### B ჯგუფი

**ინტერი – არსენალი**
**ლოკომოტივი – დინამო**

B ჯგუფში დღეს "ინტერისა" და "არსენალის" მატჩი გაიმართება, მატჩი, რომელიც უდიდეს ინტერესს იწვევს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს კლუბები ევროპული ფეხბურთის გრანდებად მიიჩნევიან. თუმცა, უფრო საინტერესო ის იქნება, შეძლებს თუ არა "არსენალი" ჯგუფიდან გასვლის შანსის შენარჩუნებას. არსენ ვენგერის გუნდი 4 ქულით უკანასკნელ პოზიციაზეა და "ინტერთან" მხოლოდ გამარჯვებისთვის მოუწევს ბრძოლა. არადა, ალბერტო ძაკერონის მოსვლის შემდეგ, "ინტერმა" აშკარად მოუმატა თამაშს და საკმაოდ შემტევ ფეხბურთს აჩვენებს.

B ჯგუფის მეორე მატჩი ქართველებისთვის არანაკლებ საინტერესოა. მიხეილ აშვეთიასა და მალხაზ ასათიანის "ლოკომოტივი" კიევის "დინამოს" მასპინძლობს. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს ორივე გუნდი ინარჩუნებს.

### C ჯგუფი

**მონაკო – ეინდჰოვენი**
**დეპორტივო – აეკ**

C ჯგუფის ლიდერი "მონაკო" დღეს ჰოლანდიურ "ეინდჰოვენს" უმასპინძლებს. იმისთვის, რომ მერვედფინალის საგზური მოიპოვოს, დიდიე დეშამის გუნდს ფრეც აძლევს ხელს. "ეინდჰოვენმა" კი აუცილებლად უნდა მოიგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯგუფიდან გასვლაზე ჰოლანდიელებმა არც კი უნდა იფიქრონ. მეორე მატჩში "დეპორტივო" ბერძნულ "აეკ"-ს უმასპინძლებს და, ცხადია, ფავორიტიც ის არის. ჯგუფიდან გასვლის შანსი "აეკ"-ს აღარა აქვს და მხოლოდ პრესტიჟისთვის თუ იბრძოლებს.

### D ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი – სოსიედადი**

მერვედფინალის გზაზე "ოლიმპიაკოსის" კონკურენტი ესპანური "რეალ სოსიედადია". დღევანდელ მატჩში გამარჯვება ბერძნებისთვის უკანასკნელი შანსი იქნება. თუ ისინი მოგებას ვერ შეძლებენ, შემდეგ მატჩს მათთვის უკვე ფორმალური ხასიათი ექნება. დღევანდელ შეხვედრაში წარმატების მიღწევა კი სულაც არ არის არარეალური. უკანასკნელ ხანს "სოსიედადი" ცუდად გამოიყურება და ესპანეთის ჩემპიონატში ნელ-ნელა ცხრილის ფსკერსაც უახლოვდება. "ოლიმპიაკოსი" კი ისევ ლიდერობს საბერძნეთის პირველობას.

| A | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| 2 | სელტიკი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-4 | 6 |
| 3 | ბაიერნი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 4 | ანდერლეხტი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |

| B | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 2 | დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 5-4 | 6 |
| 3 | ლოკომოტივი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| 4 | არსენალი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |

| C | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მონაკო | 4 | 3 | 0 | 1 | 14-5 | 9 |
| 2 | დეპორტივო | 4 | 2 | 1 | 1 | 7-8 | 7 |
| 3 | ეინდჰოვენი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-4 | 6 |
| 4 | აეკ | 4 | 0 | 1 | 3 | 1-8 | 1 |

| D | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-4 | 10 |
| 2 | სოსიედადი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| 3 | ოლიმპიაკოსი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-4 | 3 |
| 4 | გალათასარაი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |

# მიხაელ ბალაკი: „ჰიონესი ძალიან ცდება"

*მიუნხენის "ბაიერნი" დღეს გლაზგოს "სელტიკს" სტუმრობს. გერმანელთათვის ეს უკანასკნელი შანსია. თუ "ბაიერნმა" დღეს გამარჯვება ვერ შეძლო, შარშანდელი სეზონის მსგავსად, ჩემპიონთა ლიგას ჯგუფური ეტაპის დასრულებისთანავე დაემშვიდობება. ამ უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ, მიუნხენელთა რიგებში დიდი არეულობაა. სებასტიან დაისლერს მძიმე დეპრესია აქვს - ის ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს. მენეჯერი ული ჰიონესი ბალაკით უკმაყოფილოა. გერმანული ტელეარხის, ZDF-ის ეთერში ჰიონესმა განაცხადა, რომ ბალაკს სირბილი არ შეუძლია. გთავაზობთ ბალაკის პასუხს.*

**- უკვე რამდენიმე კვირაა გვესმის, რომ თქვენ ფორმაში არ ხართ. მენეჯერმა ჰიონესმა კი ტელევიზიით განაცხადა, რომ თქვენ სირბილი არ შეგიძლიათ. როგორ ფორმაში ხართ სინამდვილეში?**

- ჩინებულ ფორმაში ვარ. ამის შესახებ უკანასკნელი სამი კვირის მანძილზე არერთხელ განვაცხადე. ჩემი მისამართით კრიტიკა კი ბოლო ოთხიხუთი კვირის მანძილზე გაისმის.

**- ჰიცფელდმა განაცხადა, თუ ყველა ისე ითამაშებს, როგორც ბალაკი, მაშინ ნაკლები პრობლემები გვექნებოდაო. მაშ, რატომ ამბობს საპირისპიროს ჰიონესი?**

- მისი გამონათქვამების არ მესმის. მისი აზრი სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს. ყოველთვის ვცდილობ, მოედანზე ბოლომდე ვიბრძოლო და გამარჯვებისთვის ყველაფერი გავიღო. ამ დროს ჰიონესი ამბობს, რომ მე სირბილი არ შემიძლია. ძალიან ცდება. წარმოდგენა არა მაქვს, რას ნიშნავს მისი ეს განცხადება. მესმის, რომ მიუნხენურ დერბიში არც ისე კარგად ვითამაშე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე სირბილი არ შემიძლია.

**- შესაძლოა, ჰიონესი ცდილობს, რომ თქვენგან მეტ თავდადებას მიაღწიოს.**

- "ბაიერნისთვის" მუდამ ბოლომდე ვიბრძვი. თუ მენეჯერი ფიქრობს, რომ ფიზიკურად კარგ ფორმაში არ ვარ, გამოსავალის მოძებნას უნდა შევეცადოთ. მე არ ვარ ის ადამიანი, რომელთანაც დიალოგი შეუძლებელია. ხომ შეიძლება, მშვიდად დავილაპარაკოთ ყველაფერზე?

**- რაში ხედავთ გამოსავალს? გინდათ, რომ გლაზგოში წააგოთ და ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდეთ?**

- ყოველთვის ვცდილობ, ჩემ თავზე ავიღო პასუხისმგებლობა. მაგრამ ისიც მითქვამს, რომ ფეხბურთელმა, რომელიც ფორმაში არ არის, არ უნდა ითამაშოს. მე არ ვარ ეგოისტი. "სელტიკთან" მატჩი მეტისმეტად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ფეხბურთელებმა საკუთარ თავზე დავიწყოთ ფიქრი. მინდა, რომ ჩემს გუნდს მოედანზე დავეხმარო. მაგრამ ფიქრობენ, რომ მე დახმარება არ შემიძლია, რომ გუნდს ხელს შევუშლი. მაშინ ეს პირდაპირ უნდა მითხრან და არა ტელევიზიით. ჩვენ ზრდასრული ადამიანები ვართ. ჰიონესის განცხადებები "დორტმუნდთან" 4:1 გამარჯვების შემდეგაც წავიკითხე...

**- როდესაც თქვენ ერთი გოლი გაიტანეთ, ერთხელ ძელს მოარტყით ბურთი და მატჩში გარდატეხა შეიტანეთ, მაშინ თქვენ პრესამ უმაღლესი ნიშნით შეგაფასათ.**

- თუ ჩემით ვინმე უკმაყოფილო იქნება, გზაზე არავის გადაველობები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირადად მე სხვა აზრის ვიქნები.



ბალაკი ჰიონესს აკრიტიკებს.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ამსტერდამის "აიაქსის" ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი მომწიფდა იმისთვის, რომ გუნდი დატოვოს. შვედი ფეხბურთელის აგენტმა განაცხადა, რომ იბრაჰიმოვიჩს სხვებზე უფრო იტალიისა და ესპანეთის ჩემპიონატები ხიბლავს. "ზლატანის მომავალი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი კლუბი მიმართავს მას უფრო სარფიანი წინადადებით. თუ ეს წინადადებები ჩემს კლიენტს დააკმაყოფილებს, ის სიამოვნებით გადავა სხვა კლუბში", - თქვა აგენტმა. შვედი არ იქნებოდა უარზე, ეთამაშა "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაშიც. მისი მთავარი მიზანი კი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებაა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მარსელის "ოლიმპიკი" აკვირდება ბელგრადის გუნდის მცველს, მარკო ბასას. პერსპექტივაში ბასამ უნდა შეცვალოს ვან ბუიტენი, იმ შემთხვევაში, თუ ბუიტენი სხვა გუნდში გადავა. ამჟამად ბასა სერბეთის ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება. ის უკვე გამოდიოდა ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში, აგრეთვე, ბელგრადის გუნდებში - "პარტიზანსა" და "ცრვენა ზვეზდაში".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ქაბულში გაიმართა ისტორიული მატჩი: ავღანეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში თურქმენეთის გუნდს დაუპირისპირდა. მატჩი თურქმენთა გამარჯვებით - 2:0 დასრულდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მატჩში ანგარიში მთავარი არ არის. თამაში გაიმართა სტადიონზე, სადაც ჯერ თალიბები ხვრეტდნენ თავიანთ ოპონენტებს, შემდეგ კი ადგილობრივი მოსახლეობა უცხოური ოკუპაციის წინააღმდეგ პროტესტს გამოთქვამდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლატვიის ნაკრებმა გამოამზეურა 2004 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პროგრამა. 20 დეკემბერს კვიპროსზე ალექსანდრ სტარკოვსის გუნდი კუვეიტის წინააღმდეგ საკონტროლო მატჩს გამართავს. თებერვალში კი გუნდი ითამაშებს ამხანაგურ ტურნირში, რომლის მონაწილეები ჯერ არ დასახელებულან.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "გლაზგო რეინჯერსის" ნახევარმცველი მიკელ არტეტა გუნდს შტუტგარტში, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაზე არ გაჰყვება. კუნთის დაზიანების გამო არტეტა "აბერდინთან" მატჩის მეორე ტაიმში შეცვალეს. "ჩვენ სკანირება გავიარეთ და მისი შედეგები დღეს ცნობილი გახდება, - თქვა "რეინჯერსის" მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა, - თუმცა, ახლავე ცნობილია, რომ არტეტა ოთხშაბათის მატჩს გამოტოვებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ლიდს იუნაიტედმა" "საუთჰემპტონის" მწვრთნელს, გორდონ სტრაჩანს 5 დღე მისცა იმისთვის, რომ გაერკვეს, აპირებს თუ არა სტრაჩანი ლიდსში გადაბარგებას. იორკშირელებს სურთ, რომ სტრაჩანმა პარასკევამდე გასცეს პასუხი. შაბათს კი გუნდს "ჩარლტონის" წინააღმდეგ შეხვედრაში უხელმძღვანელოს. "კონტრაქტის მოქმედების ვადას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან არსებობს პრემიერლიგის წესები, რომელიც ამგვარ ღონისძიებებს კრძალავს, - განაცხადა "საუთჰემპტონის" პრეზიდენტმა რუპერტ ლოუმ, - თუმცა, ასეთი რამ ჩვენში მწვრთნელებსა და ფეხბურთელებთან უკვე მომხდარა".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაიან რობსონმა დაადასტურა ინფორმაცია, რომ სწორედ ის გახდება "ბრედფორდის" მწვრთნელი. ამ კვირაში ის ოფიციალურად წარდგება გუნდის წინაშე. მის თანაშემწედ დაინიშნა "ბოლტონის" ყოფილი მწვრთნელი კოლინ ტოდი. "ვვარაუდობ, რომ სამწვრთნელო საქმეს "ბრედფორდში" მომავალ კვირას შევუდგები, - თქვა რობსონმა, - ერთკვირიანი მოლაპარაკების შემდეგ შეთანხმებას მივაღწიეთ. მე სეზონის ბოლომდე ვიმუშავებ, შემდეგ კი კვლავ კონტრაქტს განვიხილავთ. ჩვენი მიზანი მარტივია - შევინარჩუნოთ ადგილი პირველ დივიზიონში".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლატვიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა გარი ჯონსონმა დაადასტურა ინფორმაცია, რომ ლონდონის "არსენალი" ფორვარდ მარის ვერპაკოვსკით დაინტერესდა. ჯონსონმა, რომელიც "სკონტოს" კონსულტანტის თანამდებობაზე მუშაობს, განაცხადა: "არსენალის" სკაუტები ვერპაკოვსკის თურქებთან ორივე მატჩში დააკვირდნენ და ფეხბურთელი ლონდონში მიიწვიეს. მარისი კარგი ფეხბურთელია". ვერპაკოვსკით, რომელიც აგვისტოში "ვულვერჰემპტონმა" დაიწუნა, იტალიური "რომაც" დაინტერესდა.



## ინფოთეკა

**კალათბურთი.** რომში, ფიბას სხდომაზე, დაადგინეს კალათბურთში ევროპის ჩემპიონატის ჩატარების ფორმულა და ვადები, რომელშიც კონტინენტის პირველობის შესარჩევი ტურნირი და ფინალური ციკლი გაიმართება. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს სერბეთი უმასპინძლებს. საკვალიფიკაციო რაუნდის კენჭისყრა 2003 წლის 13 დეკემბერს ბელგრადში გაიმართება. კენჭისყრაში მონაწილე 19 გუნდი, რომელიც ეგრეთ წოდებულ "ა" დივიზიონში მოხვდა, სამ და ოთხგუნდა, ხუთ ჯგუფად დაიყოფა. ჯგუფის ორი იღბლიანი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზურს მოიპოვებს. თამაშები მომავალი წლის სექტემბერში გაიმართება. დარჩენილი 9 გუნდი კი დამატებით საკვალიფიკაციო რაუნდში მოსინჯავს ძალას. სანუგეშო ტურნირის მატჩები 2005 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარდება. თავად ევროპის ჩემპიონატს კი სერბეთის ქალაქები ნოვი სადი, ვრსაჩი, პოდგორიცა და ბელგრადი უმასპინძლებს. ჩემპიონატი 2005 წლის 23 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართება.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ფედერაციის თასის ფინალური მატჩი აშშ-ისა და საფრანგეთის ნაკრებ გუნდებს შორის საბოლოოდ ევროპელთა გამარჯვებით დასრულდა (4:1). მატჩის ბედი გადაწყდა მესამე შეხვედრაში, როცა ამელი მორესმომ მეგან შონესი დაამარცხა. ამის შემდეგ კი უკვე არაფრის მთქმელ წყვილთა შეჯიბრებაში ამერიკელებმა პრესტიჟის გამარჯვება მოიპოვეს. ნავრატილოვა/რეიმონდის დუეტმა, კოენ ალორო/ლუას წყვილი დაამარცხა (6:4, 6:0).

■ ■ ■

**ფორმულა 1.** 2004 წელს ფორმულა 1-ის კალენდარში საფრანგეთის გრან-პრი არ იქნება. თუმცა, მანი-კურის ავტოდრომის ხელმძღვანელობა ბერნი ეკლსტოუნს შეუთანხმდა ახალ კონტრაქტზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ საფრანგეთი "სამეფო რბოლებს" 2005-2009 წლებში უმასპინძლებს. "სამეფო რბოლებში" კიდევ ერთი ცვლილებაა. დიდი ბრიტანეთის გრან-პრი, რომელიც ევრო 2004-ისა და უიმბლდონის ფინალებს ემთხვევა, სხვა უქმეებზე გადაიტანეს.

■ ■ ■

**კრივი.** უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკოს წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ კლიჩკო-უმცროსი თავის უახლოეს ბრძოლას 20 დეკემბერს გამართავს და ამერიკელ დანიელ ნიკოლსონს შეხვდება. აღსანიშნავია, რომ 36 წლის ნიკოლსონს თავის აქტივში აქვს გამარჯვება ჯონ რუისთან და მარცხი ტუას, გოლოტასა და ჯონსონთან. კლიჩკოს პრომოუტერი კლაუს პეტერ კოლი მიიჩნევს, რომ ამერიკელი ხისტი მოკრივეა და ამ სიტუაციაში ვლადიმირს სწორედ ასეთი მეტოქე მოუხდება.

■ ■ ■

**ჭადრაკი.** "ჩემი დიდი წინამორბედები" - ასე ეწოდება ჭადრაკში მსოფლიოს ექს-ჩემპიონის გარი კასპაროვის ტრილოგიას, რომლის თარგმანიც ახლახან გამოაქვეყნა იტალიურმა გამოცემა "ედიშერემ". "დიდი ხანია მინდოდა დამეწერა ჭადრაკის სრულიად ახალი ისტორია და ამ უძველესი, მართლაც, მეფური თამაშის ტრადიციული შეხედულებებისგან გამიჯვნით მეჩვენებინა მისი მუდმივი განახლება და განვითარება, რომელიც მსოფლიო ჩემპიონების დიდი შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგია", - წერს ავტორი პირველი ტომის წინასიტყვაობაში. ლონდონსა და ნიუ-იორკში, სადაც კასპაროვის შემოქმედების ნაყოფი ინგლისურ ენაზე გამოიცა, წიგნი წარმატებით უწევს კონკურენციას სახელგანთქმული "ჰარი პოტერის" ბოლო ნაწილს. გამომცემელთა ვარაუდით, აპენინებზე წიგნის გავრცელებას ხელს შეუწყობს ის ფაქტი, რომ ამას წინათ კასპაროვმა ყაიმით (2:2) დაასრულა მატჩი კომპიუტერულ პროგრამასთან.

■ ■ ■

**რალი.** მონცაში, ფორმულა 1-ის ტრასაზე, გაიმართა შეჯიბრებები რალიში. მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ჩემპიონმა Moto GP-ში ვალენტინო როსიმ, რომელმაც სტეფანო დასტეს დაუთმო გამარჯვება. სამაგიეროდ, გადაასწრო მამას, გრაციანო როსის, რომელმაც მე-11 პოზიცია დაიკავა.

■ ■ ■

**ციგურაობა.** ან ფრიზინგერმა მოიგო მსოფლიო თასის ეტაპი ციგურაობაში, რომელიც ჰოლანდიის ქალაქ ჰერენვენში გაიმართა. 1500 მეტრ დისტანციაზე მან ჩამოიტოვა რენატა გრენევოლდი და ამერიკელი ჯენიფერ როდრიგესი. საერთო ჩათვლაში როდრიგესი ლიდერობს.

■ ■ ■

**სათხილამურო სპორტი.** ბელტოშტოლენში გამართულ მსოფლიო თასის ეტაპზე დასრულდა ესტაფეტა. კაცებს შორის პირველობა წილად ხვდათ გერმანელებს, რომლებმაც ნორვეგიის პირველ და მეორე გუნდებს გაუსწრეს. ქალებს შორის გაიმარჯვეს ნორვეგიელებმა. მეორე ადგილზე გავიდა გერმანია, ხოლო მესამეზე - რუსები.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატი დახურული დარბაზებისთვის 2006 წელს მოსკოვში გაიმართება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ბერლინში, სხდომაზე, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ.

კალათბურთი

# NBA - „რევოლუციური" სენსაციების გარეშე

სანდრო ნავერიანი



გუშინწინ, როდესაც საქართველოში ხავერდოვანი, ვარდების რევოლუცია ვითარდებოდა, როდესაც საქართველოს უკვე ექს-პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა, ამ დროს ოკეანის გაღმა, ჩრდილოეთ ამერიკაში, კერძოდ, აშშ-ში, ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის რამოდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართა. nba განსაკუთრებული "რევოლუციური" სენსაციების გარეშე აგრძელებს რეგულარულ ჩემპიონატს.

რომ გითხრათ, კალათბურთს პირდაპირ ეთერში ვუყურე-მეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ ამა თუ იმ ტრანსლაციის ჩანაწერის მოპოვება დღეს პრობლემა აღარ არის. მეც ამ ხერხს მივმართე.

ყველა მატჩი საინტერესო და დაძაბული გამოდგა, გარდა "ლეიკერს"-"მემფის გრიზლისა". კალიფორნიელებმა იოლად გაიმარჯვეს. შაკილ ო`ნილის არყოფნის მიუხედავად, "ლეიკერსს" არავითარი პრობლემა არ შექმნია - ისინი იმას აკეთებდნენ, რაც სურდათ. შაკილ ო`ნილი, რომელიც ტრავმას იშუშებს, სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალყურს თავისი გუნდის თამაშს. მის გარდა, კალიფორნიელთა რიგებში საკმაოდ არიან ისეთები, ვისაც გუნდის წინამძღოლობა შეუძლია. ასეთია კობი ბრაიანტი, რომელიც საუკეთესო იყო თავისი გუნდის შემადგენლობაში - მან 28 ქულა და 3 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. კარლ მელოუნმა 20 ქულა და 10 მოხსნა გააკეთა. საერთოდ, ამ სეზონში აღსანიშნავია კარლ მელოუნის კარგი თამაში. რა თქმა უნდა, მის პროფესიონალიზმში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ უიღბლო "იუტა ჯაზიდან" ვარსკვლავებით სავსე "ლეიკერსში" გადასვლა და ერთ-ერთი ლიდერის სახელის მოხვეჭა არც ისე იოლია. გერი პეიტონმა, რომელიც ასევე წლეულს გადავიდა "ლეიკერსში", 17 ქულა და 10 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. კალიფორნიულ კლუბს დაუბრუნდა უკრაინელი სტანისლავ მედვედენკო, რომელსაც გასული სეზონიდან დღემდე ტრავმა აწუხებდა. ფილ ჯექსონმა პირველივე მატჩში მისცა უკრაინელს თავის გამოჩენის საშუალება და მოედანზე 30 წუთი გაატარებინა. უკრაინელმა, თავის მხრივ, დააფასა მწვრთნელის ნდობა: 14 ქულა შესძინა საკუთარ გუნდს და 11-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. მემფისელთა შემადგენლობაში საუკეთესონი იყვნენ შეინ ბატიე (18) და ესპანელი ლეგიონერი პოუ გაზოლი (14), მაგრამ მათ მიერ მოპოვებულ ყოველ ქულას პრესტიჟის სახე ეძლეოდა. საბოლოოდ კალიფორნიელებმა გაიმარჯვეს - 121:89.

ყველაზე საინტერესო "სუპერ სონიქსისა" და "ვაშინგტონ ვიზარდსის" მატჩი გამოდგა. სეზონის დაწყების წინ სიეტლელი გულშემატკივარი ძველ დროს შესტრფოდა და ყველას ეგონა, რომ პოსტკემპურ და პოსტპეიტონურ ეპოქას მხოლოდ იმედგაცრუება ელოდა, მაგრამ, ყველას გასაოცრად, სიეტლური გუნდი ერთ-ერთ ლიდერად იქცა. მატჩი სიეტლში "ქეი არენაზე" გაიმართა და სრული ანშლაგი იყო. "სუპერსონიქსის" თამაშზე იმ დროიდან არ ყოფილა ამდენი ადამიანი, რაც სიეტლელთა ცოცხალმა ლეგენდამ, შონ კემპმა, გუნდი დატოვა. ვლადიმერ რადმანოვიჩი, რონალდ მიურეი და რაშარდ ლუისი ის ხალხია, რომლებმაც "სუპერსონიქსს" ისევ ლიდერის სახელი დაუბრუნეს. კონკრეტულ მატჩში ეს სამი კალათბურთელი შეუდარებელი იყო. მათ ყველაფერი გამოსდიოდათ და ამ ყველაფერს ისე ლამაზად აკეთებდნენ, რომ თვალს ვერ მოსწყვეტდი. რადმანოვიჩმა 25 ქულა და 5 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. 24 და 21 ქულა შესძინეს გუნდს რაშარდ ლუისმა და რონალდ მიურეიმ. ამ თამაშში სიეტლელთა შემადგენლობაში მხოლოდ ხუთმა კალათბურთელმა შეძლო ქულების მოპოვება, მაგრამ, როგორც საბოლოოდ გაირკვა, ქულათა ეს რაოდენობა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა მატჩის მოსაგებად. ვაშინგტონელთა შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანები იყვნენ ხუან დიქსონი და ქუეიმ ბრაუნი. მათ 17-17 ქულა მოუტანეს გუნდს. დაცვაში ყველაზე კარგად გამოიყურებოდა ითენ ტომასი. მან 10-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი, 6-ჯერ ჩაჭრა მეტოქის გადაცემა და ერთხელ დააფარა. ამ მატჩს, კონკრეტულად კი, "სუპერსონიქსის" გამარჯვებას გამოეხმაურა ამ გუნდის ყოფილი ლიდერი გერი პეიტონი, რომელიც ახლა "ლეიკერსის" ღირსებას იცავს. მან განაცხადა: ძალიან გახარებულია იმით, რომ გუნდი, რომელმაც მას კალათბურთის თამაში ასწავლა და დიდება მოუტანა, დღეს ერთ-ერთ ლიდერად ითვლება ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში. მან ისიც აღნიშნა, რომ დიდი სიამოვნებით ითამაშებდა ფინალში თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ და, ნებისმიერი შედეგის მიუხედავად, ძალიან გახარებული იქნება.

კიდევ ერთი მატჩი, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო, ეს იყო "გოლდენ სთეით უორიორზსა" და "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერს" შორის. პორტლენდელთა შემადგენლობაში ვლადიმერ სტეფანია გამოდის. მატჩი კალიფორნიაში, გოლდენსთეითელთა საშინაო სტადიონზე, "ზე არენა ინ ოკლენდ"-ში გაიმართა. ოქროს შტატის მებრძოლებმა, მართლაც, ბოლომდე იბრძოლეს და "ბლეიზერსი" აიძულეს, ზედიზედ მეხუთე მატჩი დაეთმო. ჯეისონ რიჩარდსონი, რომელიც ამ სეზონის ერთ-ერთ აღმოჩენად შეიძლება ჩავთვალოთ, ამ მატჩში საუკეთესო იყო (21 ქულა და 10 მოხსნა). კარგად ითამაშეს მაიკ დანლივიმ (17), ფრანგმა ლეგიონერმა ერიკ დამპიემ (11) და კლიფორდ რობინსონმა (10). "ბლეიზერსმა" ზედიზედ მეხუთე გასვლითი მატჩი წააგო. ხელმძღვანელობა უკვე იმაზე ფიქრობს, თუ როგორ გამოიყვანოს გუნდი კრიზისიდან. ერთ-ერთი ვარიანტია, რომ მწვრთნელი შეიცვალოს, მაგრამ რამდენად სერიოზულად ფიქრობს ამაზე პორტლენდური გუნდის ხელმძღვანელობა, ვერ გეტყვით. "ბლეიზერსის" შემადგენლობაში ვლადიმერ სტეფანიამ 12 წუთი გაატარა მოედანზე და ორი ქულის მეტი ვერ აიღო. დაცვაში კი ორჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. საუკეთესო კი პორტლენდელთა შემადგენლობაში ზაკ რენდოლფი (17) და ბონზი უელსი (13) იყვნენ. "ბლეიზერსმა" წააგო - 72:78. გაიმართა კიდევ რამდენიმე მატჩი, რომელთა შედეგები ასეთია:

| | |
|---|---|
| **ლ.ა.ლეიკერსი - მემფისი** | **121:89** |
| **საკრამენტო - ჩიკაგო** | **110:99** |
| **ტორონტო - მილუოკი** | **62:82** |
| **გოლდენ სთ. - პორტლენდი** | **78:72** |
| **დეტროიტი - ნიუ ორლეანი** | **80-81** |
| **სიეტლი - ვაშინგტონი** | **88:85** |

ფორმულა 1

# რაიკონენი და ბავშვები, კითხვები და პასუხები

"მაკლარენის" ფინელ პილოტს კიმი რაიკონენს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და "რენოს" ესპანელ მრბოლთან, ფერნანდო ალონსოსთან ერთად, მიხაელ შუმახერის ერთგვარ მემკვიდრედაც თვლიან. ასეთი პოპულარობის გამო, ბუნებრივია, ხშირად უწევს ინტერვიუს მიცემა. ინტერვიუ "მაკლარენის" პილოტს ცოტა ხნის წინათაც ჩამოართვეს. უჩვეულო ის გახლავთ, რომ ფინელი მრბოლი ბავშვების კითხვებს პასუხობდა. სხვათა შორის, წლეულს, ზაფხულში, მონაკოში, კიმის იახტას უპატრონო ბავშვთა სახლის ბინადრები - 9 წლის ნიკო და 10 წლის კრისტინა სტუმრობდნენ. რაიკონენი ამჯერადაც შეხვდა თავის პატარა გულშემატკივრებს. მათი შეკითხვები არაფრით ჩამოუვარდებოდა პროფესიონალი ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვებს.

**- რომ არა ფორმულა 1, რას გააკეთებდით?**

- ძნელია პასუხის გაცემა. ალბათ, სადმე, რომელიმე ავტოფარეხში ვიმუშავებდი.

**- რბოლებში ყველაზე კარგი რა არის?**

- ალბათ, ის, რომ შეგიძლიათ, მართლაც, სწრაფად ქროლვა და სხვა პილოტებთან პაექრობა. რომ არ მომწონდეს, საქმეს არც მივუჯდებოდი. რბოლა – ეს ბრწყინვალე რამაა!

**- დაიღალე თუ, უბრალოდ, ასეთი ხმა გაქვს?**

- არ დავღლილვარ. მართლაც, ასე ვლაპარაკობ ხოლმე.

**- რომელია შენი საყვარელი ტრასები?**

- სპა (ბელგიის გრან-პრი) და მონაკო.

**- რამდენი წლის ხარ?**

- 24-ის.

**- ჩვენ კი გვეგონა, რომ 18 წლის იყავი!**



*რაიკონენმა ბავშვებისთვისაც მოიცალა.*

- კარგად შევინახე თავი.

**- ჯენი (მეუღლე) სადაა, შენთან რატომ არ არის?**

- ძალიან უნდოდა აქ მოსვლა, მაგრამ მუშაობს.

**- თუ არსებობს ისეთი მანქანა, რომლის საჭესთან ჯდომაც არასდროს გდომებია?**

- ერთხელ "ლადას" მივუჯექი. ამაზე უარესი თუ რამ არსებობს, არ ვიცი.

**- ყოველთვის ტყავის პიჯაკი გაცვია?**

- არა, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ჩვეულებისამებრ, ქურთუკს და სპორტულ ფეხსაცმელს ვატარებ.

**- მაგარი ბიჭები ყოველთვის ტყავის პიჯაკებით დადიან.**

- მე არ ვარ მაგარი ბიჭი.

**- გზაზე ოდესმე თუ დაუჯარიმებიხართ?**

- როგორ არა, როდესაც უფრო ახალგაზრდა ვიყავი...

**- ალბათ, სიჩქარეს გადააჭარბე...**

- სწორედ ასე იყო.

**- სიგარეტს თუ ეწევი და ლუდს თუ სვამ?**

- არ ვეწევი. ლუდს კი ხანდახან ვსვამ.

**- შენს გვერდით მენეჯერი რატომ ზის?**

- იმიტომ, რომ საკუთარ თავზე ზრუნვა მაინცდამაინც არ შემიძლია. მენეჯერი ჩემს საქმეებს აგვარებს.

**- რომელი საჭმელი გიყვარს ყველაზე მეტად?**

- პასტა წიწილით.

**- რამდენად სწრაფად დაქრის შენი ბოლიდი?**

- მაქსიმალური სიჩქარე 370 კმ. საათია.

**- სეზონზე, როდესაც "შუმის" შენზე მეტი ქულა ჰქონდა, ზეწოლას თუ გრძნობდი?**

- რა თქმა უნდა. მე ეს მაღიზიანებდა, მაგრამ წნეხი არასდროს ყოფილა. ბუნებრივია, უკეთესია, როდესაც შენ ხარ ლიდერი, მაგრამ რას იზამ...

**- ფორმულა 1-დან მიკა ჰაკინენის წასვლამ შენზე როგორ იმოქმედა?**

- არც როგორ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ფორმულა 1-ში აღარ არის ფინელი, რომელთანაც ლაპარაკს შევძლებდი.

**- შენი კარგი მეგობარი იყო?**

- ჰო, ის ახლაც ჩემი საუკეთესო მეგობარია. მაშინ მას ჯერ კიდევ არ ვიცნობდი კარგად. ახლა კი ნამდვილად დავმეგობრდით.

**- მრბოლი როდის გახდი? რა, ბავშვობაში მართლა ასეთი ძლიერი იყავი ტრასაზე?**

- მოტოკროსში ჯერ კიდევ მაშინ გამოვდიოდი, როდესაც 5 წლის ვიყავი. 7 თუ 8 წლის ასაკში კარტინგში დავიწყე გამოსვლა.

**- ცოტა ხნის წინათ მიხაელ შუმახერმა მილიონი გადარიცხა იუნესკოს ფონდში.**

- ზოგიერთი ადამიანი სხვებს ეხმარება, ზოგიერთები კი ამას არ აკეთებენ. თუ საშუალება გაქვს, მე მგონი, უნდა დაეხმარო. დედამიწაზე ბევრი ადამიანია, რომელიც დახმარებას საჭიროებს.



ნინო I

## კარლ-ჰაინც რუმენიგე - „ბაიერნის" მორიგი მოღალატე



*რუმენიგე "ცუდ" გზას დაადგა.*

მოკლედ, ეს "ბაიერნი" უკვე ღალატისა და ორგულობის სიმბოლოდ იქცა. რამდენიც არ უნდა სცადონ მიუნხენელმა ვარსკვლავებმა საკუთარი სასიყვარულო თავგადასავლების დამალვა, სენსაციებზე მონადირე ბულვარული ჟურნალ-გაზეთების აქტიურ კორესპონდენტებს მაინც ვერაფერს გამოაპარებენ. ოტმარ ჰიტცფელდს, ული ჰიონესს, ოლივერ კანს, ფრანც ბეკენბაუერსა და კიდევ ბევრ სხვას მშვიდი ცხოვრება დაურღვიეს სწორედ ჟურნალისტებმა, რომელთაც მთელ გერმანიას გააგებინეს ბაიერნელების ამურული თავგადასავლების შესახებ. სულ ახლახან კი ჟურნალისტებმა კიდევ ერთი მოღალატე ამხილეს. ოჯახის ერთგულებისა და მზრუნველი მამის ეტალონად მიჩნეული კარლ ჰაინც რუმენიგე, თურმე ნუ იტყვით, სამი წლის განმავლობაში ახერხებდა, მეუღლისა და შვილებისთვის თვალები აეხვია!

48 წლის რუმენიგე და მისი მეუღლე, 46 წლის მარტინა, უკვე 25 წელია, დაქორწინებულნი არიან. აგვისტოში მათ ვერცხლის ქორწილიც კი გადაიხადეს. მაშინ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე იყო, მარტინამ არაფერი იცოდა მეუღლის ღალატის შესახებ. მარტინა კარლ ჰაინც რუმენიგეს ახალგაზრდობის სიყვარულია, ოცდახუთი წლის განმავლობაში მათ ურთიერთობას არასოდეს გასჩენია ბზარი. მარტინა იმდენად ლამაზი და მოსიყვარულე იყო, რომ ბევრს შურდა კიდეც "კალესი". მოკრძალებული ფრაუ რუმენიგე მუდამ თავისი სახელგანთქმული მეუღლის ჩრდილქვეშ იყო და საზოგადოებას არაფრით აძლევდა მასზე და "კალეზე" ჭორაობის საბაბს. მარტინას და "კალეს" ხუთი შვილი ჰყავთ - სამი ბიჭი და ორი გოგონა. უფროსი ვაჟი, ანდრე, 24 წლისაა, უმცროსი გოგონა კი - თორმეტის. რუმენიგეების დიდ ოჯახში ყველაფერი რიგზე იყო, სანამ ყოველკვირეული ჟურნალი "აქტუელე" ერთ ანონიმურ წერილს არ მიიღებდა: "უკვე სამი წელია, რაც კარლ ჰაინც რუმენიგეს საყვარელი ჰყავს. მას ალექსანდრა ჰქვია, 30 წლისაა და მიუნხენში ცხოვრობს. ისინი კვირაში რამდენჯერმე ხვდებიან ერთმანეთს ალექსანდრას სახლში. ალექსანდრა თან ახლდა რუმენიგეს იაპონია-კორეაში, პარიზში, ლონდონში, ლიონში, მილანში, მადრიდში, ჟენევასა და ციურიხში", - ეწერა ანონიმურ წერილში. ასეთი დამაინტრიგებელი მასალის მიღების შემდეგ "აქტუელეს" ჟურნალისტები გამოძიებას შეუდგნენ და მალე დაადგინეს, რომ წერილში ნახსენები ახალგაზრდა ქალი, მართლაც, არსებობდა. ალექსანდრა მაღალი, ქერა ქალია. წარმოშობით კარლსრუედანაა, მაგრამ უკვე დიდი ხანია, მიუნხენში ცხოვრობს. 1998-2000 წლებში ერთ-ერთი ფირმის ხელმძღვანელი გახლდათ. მას შემდეგ, რაც რუმენიგე გაიცნო, აღარ მუშაობს. დღისით თითქმის სულ სახლშია. ცხოვრობს ოთხსართულიანი სახლის პირველ სართულზე, ბინის ქირად 1022 ევროს იხდის.

ზოგადი ინფორმაციის შეგროვების შემდეგ ჟურნალისტები კომპრომატების ძებნას შეუდგნენ. მალე სრულყოფილი პროტოკოლიც შეადგინეს: "4 ნოემბერი. 14.50 სთ. რუმენიგე ალექსანდრასთან ორსაათნახევარს რჩება. 7 ნოემბერი. 15 სთ. რუმენიგე მანქანას აყენებს ალექსანდრას სახლის წინ. ტორტით ხელში გადმოდის მანქანიდან. უკან მხოლოდ ერთი საათის შემდეგ ბრუნდება. 14 ნოემბერი. 17 სთ. ალექსანდრა და "კალე" ერთად გამოდიან სახლიდან, ხელიხელჩაკიდებულნი მიემართებიან მანქანისკენ." რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია...

ასეთი მნიშვნელოვანი კომპრომატებით შეიარაღებული ჟურნალისტი მარტინა რუმენიგეს სახლში მიადგა და ყოველგვარი შესავლის გარეშე, პირდაპირ მიახალა: უკვე სამი წელიწადია, თქვენს ვითომცდა ერთგულ მეუღლეს საყვარელი ჰყავსო... მარტინა მაინცდამაინც არ გაოცებულა: "მე ეს ვიცოდი, ქალი ყოველთვის გრძნობს ასეთ რამეს. რამდენჯერმე ვცადე მასთან დალაპარაკება, ვეუბნებოდი, რომ ჯობდა, პირდაპირ ეთქვა, თუ რაიმე შეცდომა ჰქონდა დაშვებული. მე მზად ვიყავი მისი აღსარების მოსასმენად, მაგრამ ის ყოველთვის თავს არიდებდა ამ თემაზე საუბარს, ამბობდა, რომ ეს ყველაფერი სისულელე იყო და მე არ უნდა მეფიქრა ამაზე", - სევდიანად შენიშნა მარტინამ.

მარტინას, როგორც ჩანს, ძალიან აწუხებდა ეჭვები და ვერ ახერხებდა, თავისი პრობლემები ვინმესთვის გაენდო. ახლა კი, როცა ეჭვი სიმართლე აღმოჩნდა, ფრაუ რუმენიგე გულახდილი საუბრის გუნებაზე დადგა: "წელიწადნახევრის წინ მე მას ვუთხარი, რომ განქორწინება მინდოდა, მაგრამ ბავშვების გამო ეს ნაბიჯი ვერ გადავდგი. ასეთ დროს საკუთარ თავს მხოლოდ ერთ კითხვას ვუსვამ: რა შეცდომა დავუშვი? ბევრი ვიფიქრე, მაგრამ დასკვნა ვერ გამოვიტანე. არ ვიცი, რა შემეშალა. რომ გვეჩხუბა, მაშინ იქნებ უფრო გასაგები ყოფილიყო ყველაფერი, მაგრამ კონფლიქტი არასოდეს გვქონია. ის ყოველ საღამოს სახლშია, ჩვენთან ერთად. ლიონიდან საგანგებოდ ადრე ჩამოვიდა, რათა ჩემთვის სიურპრიზი მოეწყო. მაშინ ძალიან გამახარა მისმა საქციელმა..." - ამ აღსარების შემდეგ მარტინამ მოისურვა იმის გაგება, თუ მისი მეუღლე უკანასკნელად როდის იყო ალექსანდრასთან. "სწორედ ლიონიდან ჩამოსვლის შემდეგ, სანამ თქვენთან მოვიდოდა", - მიიღო პასუხად.

ამ მოულოდნელი თავდასხმით შეცბუნებული კარლ ჰაინც რუმენიგე ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს და არც არავინ იცის, რას აპირებს მომავალში "ბაიერნის" ბოსი.

# ვარდების რევოლუცია



გამარჯვების ზეიმი თბილისში.







# მოსარჩელე - კამერონ დიასი



შეერთებული შტატების ინტერნეტ-სააგენტოს E!Online-ის ცნობით, 8 დეკემბერს ფოტოგრაფი ჯონ რატერი ლოს ანჯელესის სასამართლოს წინაშე წარდგება. ბრალდება არცთუ სახუმაროა: შანტაჟი, ქურდობა და ყალბი ხელმოწერა. მას კამერონ დიასმა უჩივლა, რომელსაც რატერი ათი წლის წინათ შიშველს იღებდა. დიასი ამ სურათების გამოქვეყნების სასტიკი წინააღმდეგია.

დიასი ამტკიცებს, რომ რატერმა მას სამი მილიონი მოსთხოვა და დაემუქრა, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში ის ფოტოებს გაყიდდა და შესაბამისად, სურათებს მთელი მსოფლიო იხილავდა. გარდა ამისა, ფოტოგრაფმა მისი ყალბი ხელმოწერა გააკეთა, ვითომდა ვარსკვლავი ამ სურათების გაყიდვაზე თანახმა ყოფილიყო.

რატერი აგვისტოში დააპატიმრეს. ჩხრეკის შედეგად მის სახლში უამრავი "ცუდი ფოტო" იყო აღმოჩენილი. ამჟამად ის თავდებითაა საპატიმროდან გამოშვებული.

# დოკუმენტური ფილმი პრინც ჩარლზზე

ტელეშოუ Top Gear-ის წამყვანი ჯერემი კლარკსონი უახლოეს მომავალში პრინც ჩარლზზე დოკუმენტური ფილმის გადაღებას დაიწყებს. სავარაუდოდ, ფილმში სხვა წინამორბედებისგან განსხვავებით, ძირითადი აქცენტი გაკეთებული იქნება უელსის პრინცის პოლიტიკურ როლზე და ინგლისის ტახტის მემკვიდრის სტატუსზე და არა იმ უამრავ სკანდალზე (პირადი ცხოვრებიდან), რომელსაც მსოფლიო საზოგადოება კარგად იცნობს. პრინცმა ჩარლზმა სკანდალურ-ოდიოზური რეპუტაცია 1994 წელს მიცემული ტელე-ინტერვიუს წყალობით "მოიპოვა", რაც საფუძვლად დაედო დოკუმენტურ ფილმს The Private Man, The Public Role. შეგახსენებთ, ამ ინტერვიუებში პრინცი ადასტურებს კამილა პარკერ ბოულსთან ინტიმური კავშირის ფაქტს.



ამჟამად ახალი დოკუმენტური ფილმი ჩარლზის შესახებ, საწყის ეტაპზეა. BBC თავს იკავებს დეტალების გახმაურებისგან. ცნობილია მხოლოდ ამ ფილმის ამოცანა – მან უნდა შეძლოს პრინცის შელახული რეპუტაციის რეანიმაცია.

# იდეურად გაშიშვლებულნი

ამერიკელი ქალები ბარიკადებზე აიჭრნენ და მკერდი გაიშიშვლეს. არა იმიტომ, რომ ვინმეს მოხიბვლა ეწადათ, არამედ იმიტომ, რომ ერთსულოვნად აქვთ გადაწყვეტილი: შვილებს ძუძუ უნდა აწოვონ.

28 წლის ტრისტინ ანდერვუდი, იუტელი დიასახლისი, ვინმე დაიანა ქოლი და კიდევ 14 დედა იმის დამტკიცებას ცდილობენ, რომ ბავშვებს დედაზე უკეთ ვერავინ დააპურებს. მათი გამოსვლა იმან გამოიწვია, რომ ერთ-ერთ რესტორანში ვიღაც პატიოსანი ქალისთვის უთქვამთ, მაინცდამაინც აქ ნუ აჭმევ შვილს ძუძუსო, და ქალს ამის გაკეთება საპირფარეშოში მოუწია. "ჩვენ იმიტომ კი არ ვაწოვებთ საჯაროდ ძუძუს, რომ ვინმე აღვაგზნოთ. ჩვენ ჩვენს შვილებზე ვზრუნავთ," განაცხადეს თავდადებულმა დედებმა.

# პირდაპირი რეპორტაჟი მარსიდან

წინასაშობაო დღესასწაულზე მეოთხე არხი ტელემაყურებელს უნიკალურ სატელევიზიო პროგრამას წარუდგენს. პირველად სატელევიზიო პროგრამების ისტორიაში, მაყურებელი პირდაპირ ეთერში იხილავს ტრანსლაციას მარსიდან. ეთერში გადაიცემა კადრები, როდესაც კოსმოსური ხომალდი Beagle 2 წითელ პლანეტაზე ზუსტად მაშინ დაჯდება, როდესაც ინგლისში შობას აღნიშნავენ. გადაცემა პროფესორ მონიკა გრედის სამეცნიერო ლექციის პარალელურად გავა ეთერში. გადაცემის მუსიკალური ფონის ავტორია Blur-ის წევრი ალექს ჯეიმსსი.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

25 ნოემბერი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 01.50** კურიერი **18.20** სერიალი "ჯადოქარი" **18.50** ბუნება **19.15** პერეკროსტოკი **19.50** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. "სელტიკი"-"ბაიერნი" **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი "პრინცესა ნერი" **10.05** მხ. ფილმი "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება" **11.45** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი "ნაწვიმარზე" **16.55** დოკ. სერიალი "კვალდაკვალ" მე-26. **17.20** მულტსერიალი "ჩემი პატარა ძვირფასი პლანეტა" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.25** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** კრიმინალური ქრონიკა **21.45** "სათავეებთან" **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი "ცოლი წავიდა"

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "ჯუნგლებიდან ჯუნგლებში" მთ.რ-ში ტიმ ალენი, მარტინ შორტი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "ფანფან ტულპანი" მთ.რ-ში ვენსან პერესი, პენელოპა კრუსი. **01.40** "ღამურა" მხ. ფილმი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "არგაი" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "მივუკაკუნოთ სამოთხის კარს" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "წყალქვეშა ნავი"

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი "ვიწრო ზღვარი" **21.00** ისტორიანი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი "ლამაზი მამაკაცი" მე-2 ს.

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "სასაცილო გოგონა" **15.00** მხ. ფილმი "საცდელი დღე" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "ნიკო" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "შემართულად" **22.30** მხ. ფილმი "დოქტორ მოროს კუნძული"

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი "საჰაერო პოლიცია" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "პირველი მილიონი" **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **21.00** სერიალი "საჰაერო პოლიცია" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "დენთის კასრი" **00.55** მუსიკა

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** ანონსი **10.15, 15.10, 16.20, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "გატაცება 60 წამში" **13.15** დოკ. ფილმი "ჰაროლ ლოიდი" 1-ლი ნ. **14.00** მულტფილმი "სიმბა მეფე ლომი" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" მე-26. **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** მხ. სერიალი "ქალთა სავანე" **16.35** დოკ. სერიალი "ამოუცნობი ცოცხალი ორგანიზმები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ქალთა სავანე" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელემეტრი" **22.45** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი "უცხოელი"

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.20, 00.40** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **09.30** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "მოქუფრული დაისი" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.25** ქრონიკა **17.25** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** ლარის მახე **22.50** მძაფრსიუჟეტიანი კინო "მომკალი კიდევ ერთხელ"

### არხი

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** სათავგადასავლო ფილმი "მალაზიელი მეკობრეები" **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** მხ. ფილმი "ბაიკერები" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მხ. ფილმი "ბაიკერები" (გაგრძელება) **14.15** მუსიკა **14.25** კომედია "არლეტი" **16.20** მულტფილმი "კატა ლეოპოლდი" **17.30** ისტორიული ფილმი "მეფეთა მეფე" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.00** მუსიკა **20.25** კომედია "ქაღალდის ჯარისკაცები" **21.50** "გალერეა" **23.00 Пресс-папье 23.10** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.30** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** მელოდრამა "მიწიერი სურვილები" **02.40, 05.45** მუსიკა **03.40** თრილერი "სახელმწიფოს მტერი"

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** "ბედნიერი ერი" **09.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** მელოდია **10.10** მობილურები **10.40** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **11.15** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.00** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" **12.45** დისნეი და მისი მეგობრები **13.05** მელოდია. **18.15** მოკლედ... საქართველო, ეკონომიკა **18.20** აუდიო -ვიდეო- ტელე **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.15** "ავტოტრეკინგი" **22.00** მობილურები **22.30** "კინოკლუბი" - "ჯაშუშთა შვილები". სათავგადასავლო . რეჟ. რობერტ როდრიგესი. როლებში: ანტონიო ბანდერასი, სილვესტერ სტალონე. **00.15** მელოდია **00.20** ტელესერიალი -"აღმოსავლეთ -დასავლეთი" **01.00** კომპიუტერული ტექნიკა

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **09.30** Выборы-2003 **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.10 Боевик "Родина ждет". 1-я с. 11.20, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.10** "Ураза-Байрам". Трансляция из Уфимской соборной мечети **13.20** Город женщин **14.10 Иннокентий Смоктуновский в детективе "Линия смерти" 16.20, 02.00** "Фабрика звезд-3" **16.30** "Угадай мелодию" **17.00 Сериал "Берег мечты" 18.00** "Большая стирка" **19.30** Выборы-2003 **21.00 Сериал "Нина" 22.00, 00.30** Время **22.30 Боевик "Родина ждет". 2-я с. 23.40** Тайны века. "Эдуард Стрельцов. Зона для центра нападения" **01.00** "На футболе" **01.30** "Подводный мир Андрея Макаревича" **02.20 Триллер Стивена Кинга "Мертвая зона" 04.20 Бен Кингсли в мелодраме "Черепаховый дневник" 06.05 Сериал "Убойная служба" 06.20** "Шутка за шуткой"

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45, 21.55 Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ" 10.45** Праздник Ураза-Байрам. Трансляция из Московской соборной мечети. **11.45, 14.50, 17.30, 01.25** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.30, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Короткое замыкание". Ток-шоу **13.50, 23.00 Сериал "ОПЕРАТИВНЫЙ ПСЕВДОНИМ" 15.30** "Что хочет женщина" **16.30 16.30 Сериал "ЛЕДИ МЭР" 18.10 Сериал "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ" 19.10 Сериал "УНДИНА" 20.00** Выборы-2003 **21.50** Спокойной ночи, малыши! **00.00** Вести+ **00.20** Премьера. "Тегеранский лабиринт: Сталин, Черчилль, Рузвельт". 1-я серия. **01.15** Народный артист **01.40 Настасья Кински и Джефф Фейхи в фильме "ХОЛОДНОЕ СЕРДЦЕ" 03.40** Дорожный патруль **03.55** Агентство одиноких сердец **04.20 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.45 Сериал"ЧЕРНЫЙ ВОРОН-2" 11.00** Сегодня утром. **11.25** "Их нравы" с Дмитрием Захаровым. **12.15** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.45** "Сегодня" **13.30** "Первобытный инстинкт". "Профессия - репортер". **13.55 Нина Русланова, Леонид Куравлев и Александр Лазарев в комедии "БЕРЕГИТЕ МУЖЧИН!" 15.35** По праву. **16.35** "Куда деваться от попсы?" Ток-шоу "Принцип домино". **18.30 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 19.35** Территория выживания. **20.25 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 21.20 Футбол. Лига Чемпионов. "Локомотив" (Россия) - "Динамо" (Украина). 23.35** "Страна и мир" **00.05** Красная стрела **00.20 Сериал "КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ". 22-я с. 01.40 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 03.10** Дневник Лиги чемпионов. **04.15** Кома: это правда.

# მექალთანე მონარქი

ესპანეთის მეფე, ხუან კარლოსი, სავსებით სამართლიანადაა თავის ბიცოლაზე გაჯავრებული. ცისფერსისხლიანმა ბიცოლამ ბრძანა, ყველა ბურბონი მექალთანე და სექსის ნიადაგზე შერყეულიაო. სანათესაოს კრიტიკა, მით უმეტეს, საჯაროდ და თან ასეთი სახით, მეფის კარზე მიუღებელი რამაა. ესპანეთის სამეფო გვარი დიდი რუდუნებით უფრთხილდება საკუთარ სახელს და სკანდალებს საკმაოდ წარმატებულად ირიდებს ხოლმე თავიდან.

მაშ, ბიცოლა რამ გაამწარა? ემანუელა დამპიერე ღვარძლიანი მოხუცი ყოფილა. მრავალი ათწლეულის განმავლობაში ხუან კარლოსის ბიცოლა გულში იკლავდა ყველანაირ წყენას, მაგრამ 90 წლის ასაკისთვის, როგორც ჩანს, ვეღარ გაძლო და ყველაფერი "დაფრქვა".

მან თავისი მოგონებები გამოაქვეყნა, რომლებშიც არამარტო ახლანდელ სამეფო ოჯახს, არამედ ყველა ბურბონსაც დაასხა თავსლაფი. ის თავადაც არისტოკრატული ოჯახის ჩამომავალია, 21 წლისა არნახულად ლამაზი ყოფილა, და, ცხადია, სულ არ გაუხარდა, როცა ყრუ-მუნჯ უფლისწულს, მეფე ალფონსო XIII-ის (1886-1941) მეორე ვაჟს, დონ ხაიმეს გააყოლეს ცოლად. ქორწინება გარიგებით მოხდა, საპატარძლოსთვის წინასწარ არავის არაფერი უთქვამს.

ხელმწიფის უფროსი ვაჟი, რომელსაც ასევე ალფონსო ერქვა, იმხანად დევნილი იყო. მან ტახტზე უარი განაცხადა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ახალგაზრდა კუბელი ქალი შეჰყვარებია. ტახტზე ასვლა არც ყრუ-მუნჯ ხაიმეს შეეძლო. ამრიგად, ტახტის მემკვიდრე ახლანდელი მონარქის, ხუან კარლოსის მამა, ასევე ხუან კარლოსი გახდა.


განაწყენებული მეფე ხუან კარლოსი

თავის ყოფილ მეუღლეს, დონ ხაიმეს, ემანუელა დამპიერე ფრიად არასახარბიელოდ ახასიათებს. მისი თქმით, უფლისწული ყველა ქალს დასდევდა, საშინელი მფლანგველი იყო და უყოფაქცევო ქალებზეც კი არ ამბობდა უარს. "მეძავები სახლშიც კი მოჰყავდა," ჩივის ქალბატონი. მისი მოგონებებიდან გამომდინარე, არც ახლანდელი მეფის მამა იყო მაღალზნეობრივი არსება: "დონ ხუანი ერთხელ უკანალზეც კი წამეტანა და მითხრა, მაგარი უკანალი გაქვსო".

"ბურბონები უხეში და ვულგარული ხალხია," წერს ემანუელა. "როგორც ჩანს, გენეტიკური უბედურებაა, რადგან ყოველთვის ასეთები იყვნენ". მართალია, ახლანდელ მეფეს ის ნაკლებად ერჩის: "ხუანიტო დიდსულოვანი ადამიანია. მაგრამ ჩემთვის ის ყოველთვის ბიჭად დარჩება".

მიუხედავად იმისა, რომ ემანუელა ბურბონებს მაინცდამაინც კარგად არ მოექცა, სამეფო სახლში გადაწყდა, რომ ის უბედური ქალია და ამიტომ ბევრი რამ ეპატიება: ჯერ იყო და, 1989 წელს უფროსი ვაჟი, ალფონსო, თხილამურებით სრიალის დროს დაიღუპა. სამი წლის წინათ მისი მეორე ვაჟი, გონსალო, ლეიკემიამ იმსხვერპლა. მისი შვილიშვილი ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა. გადაირეოდა ქალი, აბა, რა მოუვიდოდა...

# მთავარი ჯილდო -


პლასტიკური ოპერაციის დროს

რა შეიძლება კაცმა ლოტოში მოიგოს? მანქანა, სახლი, საგზური... ერთმა ბელგიურმა რადიომ განსაკუთრებით ორიგინალური ჯილდო დააწესა: ახალი ცხვირი ან მკერდი.

ბრიუსელში რადიო და ტელეშოუ "თეთრი და შავის" (Zwart of Wit) გამარჯვებული პლასტიკურ ოპერაციას უფასოდ გაიკეთებს. არჩევანი მისია: ან კოხტა ცხვირს შეიძენს, ან ლამაზ მკერდს.

რამდენადაც ხალხი აღტკინებულია, იმდენად აღშფოთებული ბრძანდება პარლამენტის წევრი მაგდა დე მეიერი: განა გარეგნობაა მთავარი? გარდა ამისა, პლასტიკური ოპერაციები მას "ბანალურად" მიაჩნია, და თვლის, რომ მსგავსი მასხარაობა კატეგორიულად უნდა აიკრძალოს.

შოუს მესვეურები ძალიან კმაყოფილნი არიან: მთვარი ხომ მითქმა-მოთქმაა, და სკანდალი საუკეთესო რეკლამა შეიძლება იყოს. SMS-ის მეშვეობით უკვე 380-მა ადამიანმა განაცხადა, რომ შოუში მონაწილეობა სურს – უმრავლესობა მკერდის გაზრდისთვის იბრძვის. ზოგიერთ მამაკაცს მოგება თავის სატრფოს მკერდის ხატრით უნდა. იმედია, მათ სატრფოებსაც არაფერი აქვთ საწინააღმდეგო.

**PEPSI COLA**-ს
ოფიციალური ბოთლერი საქართველოში
შპს "იბერია რეფრეშმენტი" სამუშაოდ
იწვევს უმაღლესი განათლების მქონე 25
წლამდე ასაკის მამაკაცებს სავაჭრო
წარმომადგენლის თანამდებობაზე.
სამსახურში მიღება წარმოებს ტესტირებისა
და გასაუბრების საფუძველზე. უპირატესობა
მიენიჭება ა/მ მართვის მცოდნე პირებს.

დაინტერესებულ პირებს
გთხოვთ, გამოაგზავნოთ
ავტობიოგრაფია (CV) ფაქსზე: 91 11 36

განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 28. 11. 2003.













## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

